C M Y K

საერთო გაზეთი

№18 (330) ● 20 მაისი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

ახალი აბრეშუმის გზა და საქართველო

ბენდუქიძის მიერ „ნაცმოძრაობისთვის“ დაარსებული სპეცსამოთხე, რომელმაც საქართველოს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია

„ინტელექტუალი“ ვანო მერაბიშვილი „პროვინციელ“ ბიძინა ივანიშვილს განათლებას უწუნებს!

ნეიტრალიტეტზე 2004-შიც იყო საუბარი, მაგრამ სააკაშვილმა მაშინ პუტინი „გადააგდო“...

„ნაციონალური მოძრაობა“ დღეს არსებობს მხოლოდ როგორც „რუსთავი-2“-ის ტელეპროექტი

სასამართლოს კარებთან დაბმული „ცერბერი“ - 89-ე მუხლი, რომელიც უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებას, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდის

შინაური და გარეული პოლიტიკური აფერისტები ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას გეგმავენ

საქართველოში მოულოდნელად ისეთი რაღაცები მოხდება, რასაც ვერც ოპოზიცია წარმოიდგენს და ვერც ხელისუფლება

9 მაისის პროვოკაციას

კურირებდა ამირან მესხელი, ვანო მერაბიშვილის ყოფილი ბანდა, ბაჩო ახალაიას სამეგობრო, კობა ხაბაზი, „თავისუფალი ზონა“ და ორგანიზაცია „იდენტობა“

დაარსხებენ თუ არა განგაშის ზარს საქართველოს პარლამენტში?

ჩანიშნული შავი პარასკევი და დაწყევლილი კვირა დღე

სანამ ჩვენ ვზივართ და ფუფალასავით ზიოლას ველოდებით...

ახალი აბრეშუმის გზა და საქართველო

პარლამენტარი
დავით საგანელიძე

— ჩვენი ხელისუფლების საამაყოდ მინდა გითხრათ, რომ დიდ ინვესტიციას დებს ჩინეთი საქართველოში ახალი აბრეშუმის გზის მშენებლობისთვის.

ამ დღეებში საქართველოში იმყოფებოდა ჩინეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი. ძალიან დიდი გავლენა აქვს ამ ადამიანს და აქვე დავძენ, რომ ჩინეთში, ახალი კანონმდებლობით, რომელიც ორი წლის წინ მიიღო ჩინეთის ხელისუფლებამ თითოეული მაღალი რანგის ჩინოვნიკს ეძლევა ქვეყნიდან გასვლის ლიმიტი. რაიმე ძალიან მნიშვნელოვანი საქმე უნდა იყოს, რომ ქვეყნიდან გავიდეს. იმ ძალიან მოკლე ჩამონათვალში, სულ რამდენიმე ქვეყანა რომ შედის, საქართველოც მოხვდა და ეს მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი ინტერესები გააჩნია საქართველოს მიმართ ამ ორი წლის განმავლობაში. 2002 წლის შემდეგ ასეთი მაღალი დონის შეხვედრა არ ყოფილა.

სექტემბერში მოსალოდნელია, აგრეთვე, გვეწვიოს ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. ესეც ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენაა.

6-დან 9 ივნისის ჩათვლით საქართველოში იქნება ჩინეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი.

ახლა, მოდით, ვიზიტის მოსალოდნელ შედეგებზე ვისაუბროთ, რადგან ვიზიტი კარგია, მაგრამ

შედეგები უფრო მნიშვნელოვანი.

ამ დღეებში ბატონი პრემიერი ბრძანდებოდა რუსთავში, სადაც პრეზენტაცია შედგა იმ საჩუქრისა, რომელიც ჩინურმა მხარემ აგრარულ სექტორში გადმოგვცა. ჩვენ საჩუქრად მივიღეთ 253-მდე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა — ამწეკრანები, კომბაინები, მაღალი გამავლობის მანქანები და ა. შ. ყოველივე ეს რეგიონებში გადანაწილდება.

19 მაისს ჩინეთში მიემგზავრება ჩვენი დელეგაცია, რომლის ხელმძღვანელიც გახლავართ მე და დავაზუსტებ, მიწვევა გვაქვს სიიანიდან, საიდანაც იწყება სწორედ აბრეშუმის გზა, ეკონომიკური სარტყელი, რომელშიც სწორედ ზემოთნახსენები მილიარდები ცენტიც არ გადაგვიხდია, ისე იქნება წარმოდგენილი ჩვენი ქვეყანა ამ გამოფენაზე.

საყურადღებოა, აგრეთვე, რომ საქართველო იქნება ამ ფორუმზე ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ჩინეთის ფოლკლორთან ერთად ექნება საშუალება წარმოადგინოს ქართული ფოლკლორი და მე მაქვს ბედნიერება და პატივი ანსამბლ „რუსთავის“ წევრებთან და ჩვენი უნივერსიტეტის „შვიდკაცასთან“ ერთად გავემგზავრო ჩინეთში.

ჩინეთის კულტურის სამინისტრომ გვთხოვა, მიგვეღო მონაწილეობა 25-26 მაისს ფოლკლორულ ფესტივალში პეკინში. ასე რომ, შეგვიძლია გავშალოთ ჩინეთის რამდენიმე პროვინციაში,

იდება. აქ საინტერესო კიდევ ის არის, რომ გამოფენა-ფორუმზე, რომელიც 21-24 მაისს იმართება, საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც უსასყიდლოდ მისცეს პავილიონი. პრობლემად რჩებოდა პავილიონის დიზაინი, რომელიც ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა. თუმცა, ბოლოს თქვეს, დიზაინსაც ჩვენ გაგიკეთებთო. ერთი ქართული კულტურის კვირეული. გვექნება მაღალი დონის პოლიტიკური შეხვედრებიც. ყველაზე დიდ პროვინციაში ურუმჩიში გვექნება შეხვედრები პოლიტიკურ მმართველებთან, შემდეგ გავემგზავრებით სიანში, შემდეგ პეკინში გვექნება მიღება, სადაც შევხვდებით პოლიტიკურ და ბიზნეს-ელიტას, ბანკების წარმომადგენლებს და ა.შ.

ივნისში პარტია „ქართული ოცნება“ პეკინში გაემგზავრება და შეხვდება იქაურ პოლიტიკურ ლიდერებს. დელეგაციის ხელმძღვანელი კახი კალაძე იქნება, როგორც პარტიის გენერალური მდივანი.

სექტემბერში კი თვითონ ბატონი პრემიერი შეხვდება ჩინეთის პრემიერს.

ამავდროულად მიმდინარეობს რამდენიმე იქაური მსხვილი კომპანიის კონსორციუმთან ერთად ქართული კომპანიების მუშაობა იმ პროექტზე, რომელსაც ანაკლიის პორტი ჰქვია.

ანაკლიაზე უკვე გაკეთდა ხარჯთაღრიცხვები, სადაც გამოიკვეთა რამდენიმე ლიდერი კონსორციუმის როლი. სექტემბრისთვის საბოლოოდ გაირკვევა მათი ვინაობა, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ კონსორციუმში ლიდერი იქნება ჩინური კომპანიები, მაგალითად, როგორიცაა „პაუერ-ჩაინა“, რკინიგზის მსხვილი კომპანია და სხვები, რომლებიც დიდ აქტივობას გამოხატავენ.



ანაკლიის სამომავლო პორტის ერთ-ერთი სქემატური მოდელი

მთავარი ის კი არ არის, პორტს გააკეთებ თუ არა. ჩვენ, შეიძლება, ბრწყინვალე პორტი გავაკეთოთ შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მაგრამ თუ დატვირთვა არ ექნება, აზრი არ აქვს. ამიტომ კარგია, რომ ჩინეთს უჩნდება ინტერესი — ტვირთი, რომელიც ჩინეთიდან ევროპაში და ევროპიდან ჩინეთში მიდის, ამ ტვირთებმა საქართველოზე ნახოს გზა და პორტიც შესაბამისი იყოს, რომ მან სერიოზული კონკურენცია გაუწიოს რუსეთის, ირანის და სხვა ქვეყნების პორტებს.

პორტის პარალელურად, ბუნებრივია, უნდა აიწყოს რკინიგზა, საავტომობილო ხაზები და ა.შ. ეს, ცხადია, არ არის ერთი წლის პერსპექტივა, მაგრამ თუ ჩვენ ყოველივე ამას შევხედავთ, როგორც 5-7-წლიან პროექტს, საქართველოში ამ პროექტის განხორციელება, მერწმუნეთ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და მასშტაბური იქნება, როგორიც თავის დროზე იყო ბაქო-ჯეიჰანის პროექტი, ნავთობსადენები და ა.შ. კიდევ ვიტყვი, ჩინეთი არა მხოლოდ დამფინანსებელი იქნება, ის იქნება მომთხოვნი, დამტვირთველი ამ გზების, რაც ნიშნავს, რომ საქართველო წინ წავა ეკონომიკური კუთხით და მეტ პოლიტიკურ დატვირთვას შეიძენს.

მე დიდი ხანია ვსაუბრობ იმაზე, რომ საქართველოში უნდა შეიქმნას ქვეყნის განვითარების ბანკი, ძალიან ბევრ ქვეყანაში არსებობს ასეთი ბანკები. თავის დროზე კომერციულმა ბანკებმა გამოხატეს ამ იდეის შესახებ ეჭვები და შიში, მაგრამ ბოლოს დარწმუნდნენ იმაში, რომ შეიძლება მათ 80% არ ეჭიროთ საფინანსო სექტორის, მაგრამ რაოდენობრივად გაიზრდებიან. ქვეყნის განვითარების ბანკი სწორედ მეგაპროექტების დაფინანსებისთვის თანხების მოძიებას შეძლებს. ის იქნება მსხვილი პარტნიორი სხვა ქვეყნებისთვის ინვესტიციების განთავსების თვალსაზრისით.

არავის არ ვაკადრებ, მეგობრებო, რომ გითხრათ, თქვენზე მეტი ქართველი ვარ-მეთქი, მაგრამ არც არავისზე ნაკლებად მიძგერს გული ამ ქვეყნისთვის. თუ ვინმეს ის პრობლემა აქვს, არიქა, ჩინელები ჩამოვლენ და დავიღუპებით, ბარიერები არსებობს. თუ ასე დადგა საკითხი, შეიცვლება სავიზო რეჟიმი, შრომის კანონმდებლობა და აშ. მაგრამ თუ ვინმე ჩამოდის, აქ რაღაცას აშენებს, ფულს დებს, რატომ არ უყნდა შემოვიდეს?!

ამაზე საუბრობენ გაუთვითცნობიერებელი ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენაც არ აქვთ, რაზე საუბრობენ და კიდევ ისინი, რომლებმაც მშვენივრად იციან ყველაფერი, მაგრამ შური აწუხებთ, ეს ხელისუფლება რომ ქვეყნის გადარჩენისთვის საქმის გაკეთებას ცდილობს.

ვინმე გვკითხავს, რატომ საუბრობთ მხოლოდ ანაკლიაზე და არა, მაგალითად, ფოთზე. საქმე იმაშია, რომ ფოთში, ბათუმში და სხვა პორტებში მხოლოდ დაბალი წყალწყვის გემების შემოსვლაა შესაძლებელი. ანაკლია, ამ მხრივ, უნიკალურია. ღმერთმა გვაჩუქა ეს უნიკალური პატარა ყურე და უნდა გამოვიყენოთ.

რამდენიმე ხნის წინ შევხვდი ყირგიზეთის პრეზიდენტს და ვესაუბრე, რომ დათმობებზე წასულიყო, უზბეკეთის და ჩინეთის რკინიგზით შეერთების საკითხზე, სხვა შემთხვევაში, ტვირთები რუსეთის გზით მოდის, ხოლო ყირგიზეთი-ჩინეთის გზა ბევრად მოკლეა. მინდა გითხრათ, რომ შეთანხმება მოხდა. ყველაფერი კი იქეთკენ მიდის, რომ საქართველო იყოს კარიბჭე. ეს მომავლის ფუნქციაა, რუსეთიც, ირანიც, თურქეთიც ანგარიშს გაგვიწევს და ქვეყანაც ეკონომიკურად წელში გაიმართება.

მასალა მომზადებულია ტელეკომპანია „კავკასიაზე“ გასული დავით საგანელიძის ინტერვიუს მიხედვით

中国电建
POWERCHINA

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ლევან ლორთქიფანიძე:
ბენდუქიძის მიერ „ნაცმოძრაობისთვის“ დაარსებული სპეცსამოთხე, რომელმაც საქართველოს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია

გვესაუბრება პოლიტოლოგი **ლევან ლორთქიფანიძე:**

— ლევან, ლარის დასტაბილურებას ყოველდღიურად გვპირდებიან, თუმცა ჯერჯერობით, შედეგი საპირისპიროა. ეროვნული ბანკის დანაშაული სახეზეა, მაგრამ მომკითხავი არავინაა. რატომ არ დგება დღემდე იმ გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ქვეყანა ამ დღეში ჩააგდო?

— დიდი მადლობა, ძალიან საინტერესო შეკითხვაა. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ლარის გაუფასურებაზე მუშაობს, დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკაა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების აზრით, ბიზნესისთვის რეგულაციების დაწესება საჭირო არაა, მან მინიმალური გადასახადი უნდა გადაიხადოს, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს და ბიზნესი თურმე, თავად მოაგვარებს ყველაფერს. ანუ, სახელმწიფო უარს ამბობს კანონის საფუძველზე რეგულატორი იყოს — მოაწესრიგოს ურთიერთობა საქართველოს მოსახლეობასა და მსხვილ ბიზნესმენებს შორის. სახელმწიფო არაფერში ერევა. იცით, შედეგად რას ვიღებთ? — ბიზნესმენები ჩვენი რესურსების, სიმდიდრეების ხარჯზე კოლოსარულ მოგებას ნახულობენ, ბიუჯეტში მინიმალურ გადასახადს იხდიან, დასაქმებულებს მინიმალურ, სრულიად არაადეკვატურ, ხელფასს უხდიან და რესურსების რეალიზაციისგან დარჩენილი მოგება ქვეყნის გარეთ გააქვთ, რასაც ხან ოფშორულ ზონაში აბანდებენ, ხან საერთაშორისო საბანკო დაწესებულებაში. ანუ, ჩვენი რესურსებიდან მოპოვებული თანხის — დოლარის უდიდესი ნაწილი, მასა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადის და უკან არაფერი ბრუნდება. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველი საბჭო ორი ჯგუფისგან შედგება — ერთია, უშუალოდ ყოფილი მმართველი პარტიის „ნაც.მოძრაობისადმი“ დაქვემდებარებული ჯგუფი ვგულისხმობ, ადეიშვილის სამეგობრო წრეს, მეორე — უბრალოდ, ტექნოკრატები არიან, რომლებიც ნებისმიერი მმართველის პირობებში ნებისმიერ დავალებას ასრულებენ, მნიშვნელობა არ აქვს ვინ გასცემს დავალებას — ჰიტლერი თუ ნებისმიერი კეთილშობილი ადამიანი. როცა ასეთი ბალანსია — ადეიშვილის მხარდამჭერები და უბრალოდ კარგი შემსრულებლები, ბუნებრივია, მმართველი საბჭო ისე იქცევა, როგორც „ნაც.მოძრაობას“ აწყობს: რეფინანსირების განაკვეთს არ ზრდიან, რაც შეიძლება ლარის კურსის რეგულირების საშუალება იყოს, დოლარის მასას ისევ ბაზარზე არ აბრუნებენ, ქართულ ბაზარზე დოლარის რეალიზაციას არასწორი თანმიმდევრობით ახდენენ — ხან გამოუშვებენ, ხან შეწყვეტენ, მერე, უცებ, ჩვენი სარეზერვო ფონდებიდან ერთბაშად უშვებენ დოლარს. ეს, ცხადია, დივერსიული პოლიტიკაა. შევაჯამოთ, ლარის გაუფასურებით გამოწვეული ფაქტორები: პირველი — საქართველოში ბიზნესს არავინ არეგულირებს; მეორე — ადეიშვილთან დაახლოებული კლანი ეროვნული ბანკის ხელში არსებული რესუურსებით მანიპულირებს; მესამე — საქართველოს მთავრობა არ ზრუნავს, რომ იმპორტული პროდუქცია ჩავანაცვლოთ, ან საქართველოს ფარგლებს გარეთ, ექსპორტზე, რაიმე სერიოზული ინდუსტრიული ნაწარმი გავიტანოთ და მეოთხეა — საერთაშორისო ფაქტორები.

— გამოდის, ლარის ვარდნა წმინდა სპეკულაციაა. 2000 წელს ლარი დოლართან მიმართებაში 2.45-ზე ავიდა, თუმცა, მაშინ კურსის დასტაბილურება მალევე მოხერხდა. რა ხდება ახლა, რატომ ვეღარ „ვიჭერთ“ ლარს?

— 2000 წელს მსოფლიოში ეკონომიკური ბუმი იყო. 2008 წლის მერე მთელი მსოფლიო კრიზისშია. საერთაშორისო მდგომარეობაც გაუარესებულია და, რაც მთავარია, ეროვნული ბანკი პოლიტიკური მექანიზმია. კონსტიტუციაში დევს მუხლი: პრეზიდენტს ვირჩევთ ხუთი წლით, პარლამენტს — ოთხი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს — 7 წლით. რატომ? — ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კონსენსუალური ფიგურა უნდა იყოს, ყველას ინტერესების გამტარებელი და დამცველი, რომელიც პოლიტიკურ ბატალიებში და დაპირისპირებებში კი არ უნდა ერთვებოდეს, არამედ ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის ისეთივე გარანტი უნდა იყოს, როგორიც წესით, პრეზიდენტი კონსტიტუციური უსაფრთხოებისა. ეროვნული ბანკი პოლიტიკური პროცესისგან სრულიად გამიჯნული უნდა იყოს. ამის ნაცვლად, სახეზე გვაქვს ის, რომ ეროვნული ბანკი, მთლიანად, ქვეყნის დესტაბილიზაციაზე მუშაობს.

— მიუხედავად იმისა, რომ დოლარზე ვართ მიბმული, იგი ქვეყანაში მაინც არ მუშაობს. დოლარით ვაჭრობის ექსკლუზიური უფლება მხოლოდ ბანკებს აქვთ. სწორედ, აქ ხომ არ მარხია ძაღლის თავი, მცირედი რყევებითაც კი ხომ დიდი ფული კეთდება?

— რა თქმა უნდა, ეს მანიპულაციები, ლარის თამაში გარდა იმისა, რომ ეროვნული ბანკის მხრიდან პოლიტიკური დესტაბილიზაციისკენაა მიმართული, ასევე ემსახურება იმას, რომ ყოფილ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა საბანკო დაწესებულებებმა კიდევ უფრო მეტი მოგება ნახონ. თუ ოდესღაც, ვთქვათ, ხელფასი 167 ლარი მქონდა, დღეს, ჩემი ხელფასი ისევ 167 ლარია, მაგრამ ბანკში გადასახდელი მაქვს 238 ლარი. ანუ დამატებით უნდა ვიშრომო, მოვიპოვო რესურსი - დამატებითი 70 ლარი და ისიც ბანკს გადავუხადო, ანუ მთელი მოგება მათთან მიდის. მაგრამ, თქვენ, სხვა კუთხით, ძალიან საინტერესოდ დასვით შეკითხვა. ვინ არეგულირებს საქართველოში ბანკებს? — წესით, ეროვნულმა ბანკმა უნდა დაარეგულიროს. ეროვნული ბანკის ვალდებულებაა ისიც, რომ ლარი როგორც ეროვნული ვალუტა არამხოლოდ გაამყაროს, არამედ მის მიმოქცევაში შესვლას, სიძლიერეს შეუწყოს ხელი. საქართველოში, ფაქტობრივად, არანაირი რეგულაცია არ არსებობს, რომელიც ლარს მხარს დაუჭერს. ბანკები კრედიტებს დოლარში გასცემენ. ქვეყანაში ბინას ლარად ვერ იყიდით, ეს შეუძლებელია. ბანკები, მიზანმიმართულად, ყველა ოპერაციას დოლარში ახორციელებენ — დოლარით ხდება კრედიტის გაცემა, ბინის, მანქანის შესყიდვა და ა.შ. სერიოზული რამის ყიდვა თუ გინდა, დოლარში უნდა იყიდო, თუ კრედიტის გამოტანა შედარებით შეღავათიან პირობებში გინდა, დოლარში უნდა გამოიტანო. ლარი მეორეხარისხოვან, არაფრის მსყიდველობითუნარისმქონე ერთეულადაა გადაქცეული, რაშიც დიდი წვლილი სწორედ საქართველოს ბანკებს მიუძღვით. რატომ აკეთებენ ამას? — იმიტომ, რომ თუ ისინი კრედიტებს ლარში გასცემენ, სხვადასხვა ურთიერთობებში ლარის ბრუნვას შეუწყობენ ხელს, მაშინ ისინი კურსის მონაცვლეობით მანიპულაციას და საკუთარი მოგების მაქსიმალიზაციას ვეღარ მოახდენენ. მათ აწყობთ ეს მოგებები, კურსის მერყეობა და ისიც, რომ მოსახლეობამ, რომელიც ლარზე მუშაობს ყველანაირი გადასახადი თუ კრედიტი დოლარში გადაიხადოს, რათა ამით მათი შემოსავალი, ძალაუფლება, შესაძლებლობები გაიზარდოს. საქართველოში ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ ბანკებისთვის არაპროფილური ბიზნესის ფლობა შეეზღუდათ. დღეს, საქართველოში, არიან ბანკები, რომელბიც ფლობენ ღვინის, ბოთლის, საცობის წარმოებებს, უნივერსიტეტს, სარეკლამო, სალიზინგო დაწესებულებებს, ტურისტულ, სამშენებლო კომპანიებს, ანუ ყველაფერს. ნორმალურ, ევროპულ ქვეყანაში ბანკი შეიძლება იყოს ან კომერციული ან საინვესტიციო დაწესებულება. მათ, უფლება არ აქვთ არაპროფილურ, სხვა დარგის ბიზნესებში ჩაერიონ, იქ მონოპოლიები დაამყარონ, ამით საკუთარი ჯიბეები გაისქლონ, მერე, ეროვნული ბანკი დაიმორჩილონ, რითაც ლარის კურსის მერყეობა გამოიწვიონ და მერე, ამით თავისი მოგება გაჭირვებული მოსახლეობის ტანჯვის, შრომის და მინიმალური ანაზღაურების ფასად, გაიორმაგონ, გაიასკეცონ. სახელმწიფო დუმს იმიტომ, რომ მას ბანკების წინააღმდეგ წასვლის ეშინია. იმიტომ, რომ რეალურად, ქვეყანაში შიდა სახელმწიფოები არსებობს. საქართველო პოლიტიკური სახელმწიფოა, მაგრამ აქ, რამის გაკეთება თუ გინდა შიდა სახელმწიფოსა და ბანკების მიერ შექმნილი დიდი იმპერიებისგან მხარდაჭერა გჭირდება. შესაბამისად, დღეს, პოლიტიკური ელიტის უდიდესი უმრავლესობა კომერციული და ბიზნეს-ელიტის მონაა. ისინი, მათ, თავიდან ბოლომდე აკონტროლებენ.

— კომერციული ბაკები 90-იანი წლებიდან მომრავლდა, სახელმწიფო დიდ აფიორაში გაეხვა, მოსახლეობას მთელი ფული ჯიბიდან ამოაცალეს, გააპროლეტარიატეს. ფაქტობრივად, ქვეყანა დაანგრიეს...

— ... და ეს ნგრევა დღემდე გრძელდება, არ შეჩერებულა. იცით, რას აკეთებენ დღეს, ეს ბანკები? — მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებზე, ინტერნეტ-საბანკო დაწესებულებებზე კრედიტებს გასცემენ. წელიწადში 392%-ია გადასახდელი. ნებისმიერ ახალგაზრდას მხოლოდ პირადობის მოწმობით შეუძლია ინტერნეტ-ვალის — ელექტრონული კრედიტის აღება. კრედიტებს იღებენ კიდეც იმიტომ, რომ პირადობის მოწმობის გარდა, სხვა არაფერია საჭირო და შემდეგ, მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებისთვის 392%-ის გადახდა უწევთ. ვგულისხმობ, ვივუს.ჯის და სხვა ორგანიზაციებს. ანუ, ეს ბანკები იმის ნაცვლად რომ მართლა რაღაცაში აბანდებდნენ ფულს, რაც ქვეყანას შედეგს მოუტანს, ძირითადად, თანხას ასეთ მძარცველურ ორგანიზაციებში აბანდებენ. სახელმწიფო კი მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონს არ იღებს, რაც ამ ბაზარს დაარეგულირებდა და ადამიანს ხელს შეუწყობდა ასეთი კოლოსალური პროცენტული განაკვეთი არ გადაეხადა.

— კომერციული ბანკები, აბსოლუტურად, უკონტროლო ზონაა.

— რა თქმა უნდა, ასეა. აქვე, ერთიც უნდა აღინიშნოს. ვინ დგანან ბანკის სათავეებთან: ნიკა გილაურის ძმა, რომელიც „საქართველოს ბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მოწილეა; ლადო გურგენიძე, სააკაშვილის მთავრობის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, „ლიბერთი-ბანკის“ მფლობელი, რომელიც სხვადასხვა ტიპის ბიზნესზე უამრავ მონოპოლიას ფლობს; „თი-ბი-სი ბანკი“, რომელიც არამარტო საბანკო, არამედ ყველა სხვა სფეროში ცდილობს მონოპოლიის მოპოვებას და საქართველოს წყლის რესურსებს კაპიკების ფასად ხელში იგდებს. ანუ, ამ ბანკების უკან, რეალურად, არამხოლოდ ის ბოროტი ძალები დგანან რომლებიც ჩვენ გვაღარიბებენ, არამედ ისინი „ნაცმოძრაობის“ დროს გაჯეჯილებული, გაძლიერებული ხალხია, რომელთა დიდი უმრავლესობა დღემდე კონკრეტულ

5 gv.

მერაბ შათირიშვილი:

შინაური და გარეული პოლიტიკური აფერისტები ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას გეგმავენ

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მერაბ შათირიშვილი. მწერალი, საზ. მოძრაობის „ახალი რეალობისთვის“ დამფუძნებელი.

— ბატონო მერაბ, როგორ შეაფასებდით დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას, ხელისუფლება რესპუბლიკურმა პარტიამ ჩაიგდო ხელში, პარტია ქართული ოცნება კი გარდაიცვალაო, ამბობენ გარკვეული პოლიტიკური ძალები, თქვენც ასე ფიქრობთ?

— მთავარი პრობლემა არის ის, ქვეყანაში რომ 2012 წლის განცდა დაიკარგა. ე.ი. რა მინდა ამით გითხრათ? იცით, „ქართულმა ოცნებამ“, და მის კოალიციაში შემავალმა პარტიებმა დაკარგეს 2012 წლის პირველი ოქტომბრის განცდა. განცდა, რისთვისაც მოდიოდნენ ხელისუფლებაში და რა მდგომარეობაში იყო მაშინ საქართველო. ახლა რა ხდება და რა კატასტროფული შედეგები მოიტანა ამან პოლიტიკური თვალსაზრისით? საქართველოში 90-იანი წლებიდან პარტიები, რომლებიც დამარცხდნენ არშემდგარ პარტიებად გამოცხადდნენ და პირველი შემთხვევა იყო, რომ 2012 წელს დამარცხებული პარტია შედგა პარტიად. თანაც, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთი დამარცხებული პარტია 2012 წლამდე არ ხასიათდება იმ დანაშაულებებით, იმ მასშტაბის დანაშაულებები არავის ჩაუდენია ქვეყანაში, როგორიც ჩაიდინა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ეს შეცდომა ყველა შემთხვევაში ეკისრება „ქართულ ოცნებას“ და მის კოალიციას. „ნაცმოძრაობა“ და მათი ლიდერები, იდეოლოგები, თავები, ასე ვთქვათ, ცხადდებიან სახელმწიფო დამნაშავეებად, სხედან ციხეებში და მათთვის სასამართლოს კანონიერად აქვს მისჯილი, ასე ვთქვათ, დამსახურებული სასჯელი, რიგი ფიგურები კი, რომლებიც ასევე იდეოლოგები არიან ამ პარტიისა, იძებნებიან და ისინი, ფაქტობრივად, ქვეყანას არიან გარიდებულნი. ამ სამართლებრივ დევნას უცხოელები აფასებენ, როგორც პოლიტიკურ დევნას და არც ერთი დამნაშავის ექსტრადირება არ მოხდა. რატომ? იმიტომ რომ, საქართველოში სახელისუფლებო ძალა და მთავრობა თვითონვე აცხადებს, რომ ეს პარტია არის ოპოზიციური ძალა. ჩვენ ვიცით, 9 წლის განმავლობაში „ნაცმოძრაობა“ თვალში აყრიდა ნაცარს ევროპას და უმტკიცებდა, რომ აქ იყო დემოკრატია აყვავებული და „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები იყვნენ დემოკრატიის ახალი პიონერები და ამ დროს ვიცით, რომ ყველაფერი იყო ფასადური. ახალმა ხელისუფლებამ ევროპას არ დაუმტკიცა, რომ ეს იყო 9-წლიანი ტყუილი, ფარდა ბოლომდე არ გაუხსნა, არ გააშიშვლა რეჟიმი.

— რატომ არ გააშიშვლა რეჟიმი, რატომ აცოცხლებს ამ პარტიას?

— იმიტომ რომ, აქ იყო ქვეცნობიერი შიში, შიში იმის, რომ ამ ხელისუფლებას პრორუსულობა არ დაბრალებოდა. ე.ი. 2012 წელს ბრძოლა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. მე ადრეც ვამბობდი, რომ გველეშაპი კუდს აქიცინებს, საჭიროა კუდის მოკვეთა, არ მოხდა ეს, და გველეშაპი წამოიწია. დღეს, უკვე ბრდღვინავს და თავებიც მოუმრავლდა. 2012 წელს საბოლოოდ უნდა ამოძირკვულიყო „ნაცმოძრაობა“, როგორც პარტია და ამის საფუძველი უკვე გამარჯვებულ ძალას ჰქონდა. ჩემოდნებზე მსხდარი ნაცები, რომლებიც კანკალებდნენ და იმას გეგმავდნენ, როგორ გადარჩენილიყვნენ, ამათი გაცოცხლება არ უნდა მომხდარიყო, უნდა დაწყებულიყო იმ ავადსახსენებელი ფარული ჩანაწერების გამოაშკარავება ზუგდიდში, რაც ამოთხარეს და ნახეს. დიახ, ამ ფაილების გასაჯაროება იყო საჭირო. კამეჩის ნეხვს ქერქი ბოლომდე უნდა მოხდოდა, ეს ჭიები უნდა აფუთფუთებულიყვნენ, ის სიმყრალე უნდა გასულიყო სივრციდან, გამიგეთ?! არ მოხდა ეს. „ქართულმა ოცნებამ“ თავისი გაუბედაობით, იმით, რომ ევროპის გული მოეგო, დაინდო „ნაცმოძრაობა“ და როგორც პოლიტიკური პარტია, შეინარჩუნა. ყველაფერ ამას ხელი შეუწყვეს „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალმა პარტიებმაც, კერძოდ, „რესპუბლიკელებმა“ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“. მერწმუნეთ, ეს პარტიები იდეოლოგიურად დღესაც „ნაცმოძრაობას“ ეყრდნობიან, „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, ამიტომაც ვერ შედგა. **მერწმუნეთ, „რესპუბლიკური პარტია“, ალასანია, მარგველაშვილი და ბოკერია, იგივე სააკაშვილი გაერთიანდებიან, ეს არის შესანიშნავი ოთხეული, ევროპა ცდილობს, რომ, აი, ეს ძალა მოვიდეს 2016 წელს ხელისუფლებაში, დიახ, ამას ცდილობს ევროპა, არსებობს გეგმა, რომ ბიძინა ივანიშვილი გადააგდონ. მისი რესურსების გამოყენება მოხდა და მორჩა, აღარ სჭირდებათ, ვიმეორებ, ივანიშვილის გადაგდებას აპირებენ. მათ პოლიტიკაში სახალხო პერსონები არ სურთ, ამიტომ მოხდა მისი რესურსის გამოყენება, და ახლა აღარ სჭირდებათ,** ცხადია, ამას ხელი შეუწყვეს მისმა მრჩევლებმაც და მისმა პოლიტიკურმა გულუბრყვილობამ. მეტსაც გეტყვით, წარმოიდგინეთ, არა მარტო ამ პარტიებზეა საუბარი, ლაპარაკია თვითონ „ქართულ ოცნებაში“ მყოფ ადამიანებზეც, რომლებიც იდეურად უკვე ვექტორს მოატრიალებენ ამათკენ, როგორც კი პრინციპში ამ ძალის მობილიზება მოხდება პოლიტიკურ სივრცეში. არ მინდა ახლა თქვენი გაზეთის საშუალებით გავამწვავო ურთიერთობა და მათი სახელები ვთქვა, მაგრამ მიმიხვდებიან თვითონ „ქართული ოცნების“ ის მოთავეები, ვისაც ნამდვილად უნდა საქართველოში სიკეთე, რომ შიგნითვე ჰყავთ უკვე ფიგურები, რომლებმაც მოაძლიერეს თავიანთი კლანი და მზად არიან, როგორც კი, აი, ეს ევროპაში დაგეგმილი და კარგად გათვლილი პოლიტიკური მიზანდასახულობა აციმციმდება, იმ წამსვე ამ ძალებთან გადაინაცვლებენ.

— ვის გულისხმობთ?

— ამ ეტაპზე დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მოკლედ, ჩამოვთვალეთ ახლა ჩვენ პარტიები და დავხატეთ, რა სცენარი შეიძლება განვითარდეს ქვეყანაში და თქვენ გგონიათ, რომ ესენი მართლაც პროევროპული ძალები არიან, რა თქმა უნდა, არა, ესენი არიან მედროვე პოლიტიკური ძალები. საქართველოში საქართველოსთვის არსებული ძალები აღარ არიან უკვე. ეს არ უნდოდა ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ მან თავიდანვე პოლიტიკური თამაში დაიწყო შეცდომით. მე არაერთხელ მითქვამს თქვენი გაზეთის საშუალებით, როცა ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა - არ გაცოცხლოთ პოლიტიკურ სასაფლაოზე დაკრძალული პოლიტიკური გვამები, ნუ იზამთ ამას-მეთქი, მაგრამ ვინ დაიჯერა. ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ „ქართული ოცნების“ სახელით რომ შეექმნა ერთობა, ის შედგებოდა, როგორც პარტია და ის გაცილებით მეტი დეპუტატით, აბსოლუტური უმრავლესობით მოვიდოდა პარლამენტში. ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი და ყველაფერს უყურებდა ვარდის ფერებში. მას ეგონა, რომ თუკი ამ პარტიებს გვერდზე დაიყენებდა და დაამარცხებდა „ნაცმოძრაობას“ ყველაფერი წავიდოდა ისე, როგორც იყო ჩაფიქრებული, თუმცა შეცდა.

მერწმუნეთ, რომ საქართველოში, როგორც კი საგარეო ვექტორი გადმოიხრება რუსეთისკენ, ამ ძალებს, რომლებიც ახლა პროევროპულობას „აწვებიან“ და დუღილის ტემპერატურას ძალიან მაღლა სწევენ, რითაც, სხვათა შორის, აზიანებენ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას, აზრი შეეცვლებათ. ასე რომ, საქართველოში პოლიტიკური ნებელობა არ არის ქართული. ხიდაშელის დანიშვნა არ არის ქართული ინტერესებისთვის. ეს არის დამღუპველი ქვეყნისთვის და თავად ბიძინა ივანიშვილისთვისაც, ვიდრე მმართველ გუნდში გონს არ მოეგებიან, არაფერი გვეშველება.

— ბატონო მერაბ, ვინ იღებს დღეს გადაწყვეტილებებს რეალურად?

— ახლა რომ გითხრათ, ვინმე იღებს დღეს გადაწყვეტილებებს საქართველოში-მეთქი, ტყუილი იქნება. ქართველი საქართველოში გადაწყვეტილებას ვერ იღებს, გადაწყვეტილებების მიღება ხდება გარე და შიდა პოლიტიკური იძულების მიხედვით. **ლუკაშენკო ბელარუსი ხალხის ბელარუსელი პრეზიდენტია, იგივე ალიევი აზერბაიჯანელი ხალხის აზარბაიჯანელი პრეზიდენტი, საქართველოს კი არ ჰყავს ქართველი ხალხის ინტერესების გამტარებელი პოლიტიკური ფიგურები.** აი, ასეთი სურათით 2016 წელსაც ქაოსს მივიღებთ. პარლამენტში ძირითადად იგივე ძალები იქნებიან წარმოდგენილნი. უფალი თუ გადმოგვხედავს, თვითონ ხალხის წიაღიდან უნდა წამოვიდეს რაღაც ძალა, რომელიც საქართველოს ინტერესებს დაიცავს, სხვა შემთხვევაში ქვეყანა წავა სწორედ იმ გზით, რა გზითაც მიდის უფსკრულისკენ. მედროვეების პოლიტიკური იდეოლოგიაა ქვეყანაში და მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ნებისმიერ ნავში გადასკუპდება. **კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ბიძინა ივანიშვილი მთელი თავის სიკეთეებით და მთელი თავისი რეიტინგით დიდი საფრთხის წინაშეა. ის შეიძლება პოლიტიკური აფერისტების აფიორის მსხვერპლი გახდეს,** თუკი არ მოხდა ხელისუფლების ხალხთან ახლოს მისვლა და ახალი ძალების ამოწევა.

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03

ბენდუქიძის მიერ „ნაცმოძრაობისთვის“ დაარსებული სპეცსამოთხე, რომელმაც საქართველოს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია

3 gv.

პოლიტიკურ ბანაკს — „ნაცმოძრაობას“ წარმოადგენს. საქართველოს მთავრობა, მას, ვერაფერს უბედავს. ასე, რომ ჩვენს წინააღმდეგ დივერსია მოდის არამხოლოდ ეროვნული ბანკისგან, საპარლამენტო უმცირესობისგან და საკრებულოს რიგი წევრებისგან, არამედ ამ ბანკებისგანაც, რომლებიც კონკრეტულ პარტიას — „ნაცმოძრაობას“ და მის ინტერესებს წარმოადგენენ. მათ იმ პოლიტიკის შენარჩუნება აწყობთ, რაც სააკაშვილის დროს იყო. მათ, სააკაშვილის დროს, ბიუჯეტში დამატებით გადასახადს არავინ სთხოვდა, არაპროფილური ბიზნესის ფლობას არავინ უზღუდავდა, ასე ვთქვათ, ბენდუქიძისეული სამოთხე ჰქონდათ შექმნილი. მათ სამოთხეში ფული, ჩვენს ხარჯზე, კიდევ უფრო მეტად მიედინება. ესაა სამწუხარო, თორემ ბიზნესი რომ უნდა არსებობდეს და მოგება უნდა ნახოს, ამაზე არავინ დაობს. მათი გამდიდრება კონკურენციის ხარჯზე კი არა, ადამიანების ჩაგვრის, გაღარიბების ხარჯზე ხდება.

რებადი ქვეყნისთვის, მიუღებელია.

— მსოფლიო სავალუტო ფონდი არის დაწესებულება, რომელიც მთელს მსოფლიოში სძულთ. მან მხოლოდ საქართველოს საწინააღმდეგოდ როდი გადადგა ნაბიჯი. ახლახან, საბერძნეთში არჩევნები ერთ-ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ მოიგო, პრემიერ-მინისტრი მემარცხენე პარტიის წარმომადგენელი გახდა. მას ხალხის მხარდაჭერა, პოლიტიკური ხელისუფლება, რეფორმების ძალიან ამბიციური და სერიოზული გეგმა აქვს, მაგრამ ვერაფერს აკეთებს იმიტომ, რომ კრიზისის შემდეგ საბერძნეთზე ხელი აქვს დადებული „ტროიკას“, რომლის შემადგენლობაშია — იბიარდი, სავალუტო ფონდი და ევროკომისია. ანუ, ესენი ეროვნულ ხელისუფლებებზე მაღლა დგანან. მსოფლიო სავალუტო ფონდი ნებისმიერ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე მაღლა დგას. მათ უკვე საერთაშორისო ძალაუფლება მოიპოვეს და საქართველოსაც, სხვა ქვეყნებსაც ძალიან ცუდად ექცევიან. მათ თავიანთი მიზნები აქვთ, მიაჩნიათ რომ ჩვენისთანა ქვეყანაში ინდუსტრია არ უნდა განვითარდეს იმიტომ, რომ ეს

— ბენდუქიძე ახსენეთ და მისი გეგმით ლარი საერთოდ უნდა ამოეღოთ მიმოქცევიდან.

— არ ვიცი, მაგ მხრივ, რას აპირებდა, მაგრამ მან მთავარი გეგმა განახორციელა — ჩვენ არაფერს არ ვფლობთ. საქართველოში, ახლაღა დაიწყო პროცესი, რამდენიმე სახელმწიფო საავადმყოფოს გაკეთების. ალბათ, იცით, ფოთის პორტში გაფიცვა მიმდინარეობს. ფოთის პორტი 17-მა კომპანიამ დაინაწილა. ქვეყნის კარიბჭეს, მთავარ ეკონომიკურ არტერიას სახელმწიფო კი არ ფლობს, არამედ 17 სხვადასხვა წვრილი კომპანია, რომლებიც მოგებას დოლარში ნახულობენ და დასაქმებულებს ლარში მიზერულ ხელფასებს უხდიან. ხალხი ხელფასის გაზრდას ითხოვს. ვიმეორებ, ბენდუქიძის პოლიტიკამ მოგვიტანა ის, რომ არაფერს არ ვფლობთ. როგორ შეიძლება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები სახელმწიფოს საკუთრება არ იყოს. ფოთის პორტი რომელიღაც ფუნდუკი, რესტორანი ხომ არ არის?! იგი საქართველოს გეო-პოლიტიკური მნიშვნელობის განმსაზღვრელი ობიექტია, ისევე როგორც რკინიგზა.

— ლევან, უკვე წლებია სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებით ქვეყნის „შენებას“ ვერ გავცდით. ეროვნული ბანკი ამჯერადაც სავალუტო ფონდის რეკომენდაციას მისდევს და ლარს მცურავ რეჟიმში ინარჩუნებს, რაც განვითა-

დამატებით პრობლემებს შექმნის. მათ საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობა, შემოსავალი, ჯანმრთელობის მდგომარეობა არ ანაღვლებთ. მათთვის მთავარია მსოფლიოში ამ საერთაშორისო კომერციულ ორგანიზაციებს საფრთხე არ შეექმნათ. ანუ საერთაშორისო ბიზნეს-ელიტებს კარგი მდგომარეობა ჰქონდეთ. სავალუტო ფონდს ან მსოფლიო ბანკს ვერ დავადანაშაულებთ იმაში, თუ რატომ არ ზრუნავენ საქართველოს მოქალაქეზე და რატომ შემოდიან ქვეყანაში თავიანთი ბოროტი მიზნებით. მაგრამ აქ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა უთხრას — ჩემს მოქალაქეზე ვზრუნავო და რაშიც საჭიროა შეეწინააღმდეგოს. მაგრამ არც 90-იან, არც 2000-იან წლებში და არც ახლა მათ ძირითად ხაზს ვერ ვეწინააღმდეგებით. არადა, მათი რჩევა მათთვისვეა სასარგებლო.

ეს მდგომარეობა კიდევ დიდხანს შენარჩუნდება. შეიძლება ერთ-ორ თვეში ლარი დაარეგულირონ და 2.30-ზე შეინარჩუნონ, მაგრამ იგი ძალიან მყიფე იქნება სანამ ექსპორტს არ გავზრდით, სანამ გადასახადებს არ დავაწესებთ, რათა ამ ადამიანებმა რაღაც ქვეყანაშიც დატოვონ. მანამდე კი როგორც კი ბანკებს დასჭირდებათ ლარის კურსის მერყეობა გამოიწვიონ, ასეც მოიქცევიან.

თამარ შველიძე
555 23 28 24

დაარისხებენ თუ არა განგაშის ზარს საქართველოს პარლამენტში?

ქართული ეკონომიკის ზრდის სტიმულირებისა და სტაბილიზაციისთვის ბრიტანულმა ჟურნალმა „**The Banker**“-მა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე ცენტრალური ბანკის საუკეთესო მმართველის ჯილდოთი დააჯილდოვა, ეს ღირსშესანიშნავი ამბავი კი მას გულმხურვალედ მიულოცა **EBRD**-ის პრეზიდენტმა სუმა ჩაკრაბარტიმ.

ხომ არაფერი გენიშნათ, პატივცემულო მეგობრებო და შემთხვევით მიხეილ სააკაშვილი ხომ არ გაგახსენდათ, რომელსაც ცხრაწლიანი „წარმატებული“ მოღვაწეობისთვის ასევე აჯილდოებდნენ და აჯილდოებენ დღესაც მისი საერთაშორისო მფარველები, როგორც გიორგი ქადაგიძეს აჯილდოებენ.

სააკაშვილი ვახსენეთ და ბარემ აქვე ვთქვათ: **გიორგი ქადაგიძე გაცილებით საშიშია დღეს საქართველოს ხელისუფლებისთვის, ვიდრე ძებნილი სააკაშვილი.**

საქართველოს ხელისუფლებას არ სჯერა ან არ სურს დაიჯეროს, რომ იმ ფართომასშტაბიან შეტევაში, რომელიც მის წინააღმდეგ ხორციელდება, „ნაცმოძრაობასთან“ ერთად შეიძლება ძალზე სერიოზული გავლენების მქონე საერთაშორისო საფინანსო და პოლიტიკური ჯგუფები მონაწილეობდნენ, რომლებსაც საერთო პოლიტიკური და ბიზნესინტერესები აქვთ საქართველოში.

მთელ მსოფლიოს მეტასტაზებივით მოდებული საერთაშორისო საფინანსო მაფია, როგორც ჩანს, არც საქართველოში აპირებს პოზიციების დათმობას და თავის ერთგულ კადრებს ბოლომდე პატრონობს.

საქართველოს გაღატაკების ნამდვილი მიზეზები სწორედ ამ საერთაშორისო მაფიის დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგია.

იქნება თუ არა გულახდილი საუბარი ყოველივე ამის შესახებ საქართველოს პარლამენტში გიორგი ქადაგიძესთან შეხვედრისას და დაერქმევა თუ არა ყველაფერს თავისი სახელი, ამას მიმდინარე კვირის ბოლოს გავიგებთ...

ლია ელიავა:

ლარის კურსის მკვეთრივარდნა და სავალუტო კრიზისი ესაა გენიალური საშუალება იმისათვის, რომ ქვეყანაში გამოიწვიო პოლიტიკური კრიზისი, მოახდინო სოციალური აფეთქება, უკმაყოფილო ხალხმა მოითხოვოს ვადამდელი არჩევნები, ამასთან განზე გადგე და თქვა: მე, არაფერ შუაში ვარ ეკონომიკაა ასეთიო. ეს სვლა, აბსოლუტურად, ხელეწიფებოდა ეროვნულ ბანკს.

„საერთო გაზეთი“, №16, 2015 წ.

„ამჟამად მსოფლიო ბანკი პრაქტიკულად ფლობს მთელ ჩვენს სავალუტო რეზერვებს, ეროვნული ბანკი ზის ნულზე. ქადაგიძემ თქვა, ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს მომავალ თაობებს არ გავუყიდითო. ჰოდა, მომავალი თაობების კუთვნილი სიმდიდრე მიბარებული აქვს მსოფლიო ბანკს, რომელიც გახლავთ კომერციული დაწესებულება, თავისი საქმიანობიდან იღებს მოგებას. ამიტომ ის არის დაინტერესებული, ხელთ ჰქონდეს ჩვენი 2 მილიარდ 400 მილიონი დოლარი და აქედან მიიღოს შემოსავალი. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიც მისი კანტორაა, სხვადასხვა კორპორაციებთან ერთად. ამ ყველაფერს მართავს ერთი ჯგუფი. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა ცრუობს, როცა აცხადებს, სავალუტო რეზერვებს არ დავხარჯავთ, ვუფრთხილდებითო, უბრალოდ, ვერ დახარჯავს, რადგან პრაქტიკულად არ გააჩნია. რაც ჰქონდა, უკვე დახარჯა, ახლაც 40 მილიონი გამოიტანა და მეტი აღარ დარჩა“.

ექსპერტი ლია ელიავა
გაზ. „ალია“ №71, 2015 წ.

ვახტანგ ხომიზურაშვილი:

როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არაკომპეტენტურობას, ტენდენციურობას იჩენს, რაც გამოწვეულია პოლიტიკური ნიადაგით თუ სხვა ინტერესებით, ეს ქვეყნის საზიანოა. უცხოეთში, ასეთ შემთხვევაში, ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელს მომენტალურად ხსნიან თანამდებობიდან და პასუხს სთხოვენ.

ასეთი რეკომენდაციები, რასაც სავალუტო ფონდი იძლევა, შაბლონურია. ასეთი შაბლონური ეკონომიკური მოდელების პირდაპირ გადმოტანა, კატასტროფამდე მიგვიყვანს.

„საერთო გაზეთი“, №17, 2015 წ.

დემურ გიორხელიძე:

კანონმდებლობა რომ შეცვლილიყო, ზეწოლა განხორციელდებოდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე, ის დატოვებდა თანამდებობას, მოიძებნებოდა ვინმე ღირსეული კანდიდატი, რომელიც იქნებოდა არა გავლენის ფიგურა, არამედ პროფესიულად და პასუხისმგებლობით გაცილებით მაღალ საფეხურზე მდგომი და აქამდე არ მიიყვანდა საქმეს.

„საერთო გაზეთი“, №17, 2015 წ.

სოსო მანჯავიძე:

საქართველოში მოულოდნელად ისეთი რაღაცეები მოხდება, რასაც ვერც ოპოზიცია წარმოიდგენს და ვერც ხელისუფლება

„საერთო გაზეთი“ საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატს, სოსო მანჯავიძეს ექსკლუზიურად ესაუბრა.

— ბატონო სოსო, ამასწინათ კერძო საუბარში მითხარით, „საქართველოში მოულოდნელად ისეთი რაღაცეები მოხდება, რასაც, ვერც ოპოზიცია და ვერც ხელისუფლება ვერ წარმოიდგენსო რას გულისხმობდით, ბატონო სოსო?

— დავიწყებ იმით, რომ ასეთი ამბები საქართველოში დაახლოებით უკვე მოხდა. ცხადია, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები ასე აშკარად, ყველას თვალწინ და ასეთი რაოდენობით შემოვარდებოდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, თანაც მაშინ, როდესაც მთელი „ქართული ოცნება“ ელოდა, რომ ეს პარტია დატოვებდა კოალიციას. და ამის მაგვრად მივიღეთ სრულიად არაპროპორციული წარმომადგენლობა რესპუბლიკური პარტიის აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ახლა კი, გეტყვით, რას ეყრდნობოდა ჩემი ნათქვამი იმის შესახებ, რომ საქართველოში ისეთი რაღაცები შეიძლება მოხდეს, რასაც არავინ ელოდება. იმ დროს, როდესაც ქვეყნის სათავეში მოდის პარტია, მით უმეტეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რომელიც არავის აურჩევია და რომლის წარმომადგენლობაც აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში ისევე, როგორც სასამართლო ხელისუფლებაში და მედიაში არის აბსოლუტურად არაპროპორციული მისი რიცხოვნობით და ელექტორალური რესურსით, კანონზომიერებაა ასეთი, რომ ამას აუცილებლად მოჰყვება რყევები, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური. შესაბამისად, აი, ამ ელემენტარული კანონზომიერების გაუთვალისწინებლობა დიდი შეცდომა იქნება, მოდით, მოვიყვანოთ მაგალითები: ბოლშევიკური პარტია ხელისუფლების სათავეში თავის დროზე სამხედრო გადატრიალების გზით მოვიდა, მივიღეთ 5 მილიონიანი მსხვერპლი, რუსეთის იმპერიის უპრეცენდენტო ნგრევა, რამ გამოიწვია ეს, ელემენტარული საკითხია, სხვა იდეოლოგიაც, რომ ყოფილიყო, ის აუცილებლად შეხვდებოდა წინააღმდეგობას რუსეთის იმპერიის წარმომადგენლობით ორგანოებში, დიახ, გამოიწვევდა წინააღმდეგობებს, რასაც მოჰყვებოდა რყევები. ეს ელემენტარული რამეებია, ეს არის ქვეყნის დაპყრობა, ფაქტობრივად, და არა, დავუშვათ, არჩევა, ეს არის მოსახლეობის ნების საწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც აუცილებლად იწვევს უკურეაქციას.

შესაბამისად, აუცილებლად მოხდება, აი, იმ უკმაყოფილების რაღაც ფორმით გამოხატვა, რომელიც იქნება მოულოდნელი. ვიმეორებ, ხალხის უკმაყოფილება, აუცილებლად, გამოხატავს თავის

თავს რაიმე ფორმით და ეს იქნება მოულოდნელი, ისევე როგორც სააკაშვილისთვის აღმოჩნდა ბევრი რამ მოულოდნელი.

— ჩვენს ამომრჩეველში რესპუბლიკური პარტიის რეიტინგი დაბალია. ასეთი ძალა რომ ხვდება ხელისუფლების სათავეში ის, რა თქმა უნდა, შევა წინააღმდეგობაში.....

— ნულია, რა თქმა უნდა, თან კიდევ რაშია საქმე, წარმოიდგინეთ, ეს ადამიანები ქართულ საზოგადოებას ფრუსტრირებულ ბიომასას და ქაჯებს ეძახიან. ბერძენიშვილმა ერთხელ განაცხადა, რომ ჩვენი ბრალი კი არ არის 3% რომ გვაქს, არამედ ქართველი ხალხის, მათ ჩვენი ინტელექტი ვერ შეაფასეს, ვერ მოვიდნენ ჩვენს დონეზეო. სხვათა შორის, ამაში ისინი ორიგინალურები არ არიან, ზუსტად იგივე ტერმინოლოგიას ხმარობდნენ ყველა ის პარტიები, ვინც ასეთი ფორმით მოვიდა ხელისუფლებაში და შემდეგ გამოიწვია უდიდესი სისხლისღვრები კაცობრიობის ისტორიაში. აი, იგივეა ეს, ზუსტად. ვინ არიან ისინი და რატომ სძულს ქართულ საზოგადოებას? ისინი ხედავენ თავიანთი სიღატაკის, ეროვნული ღირსების დამცირების და ყველა უბედურების სათავეს სამართლიანად ლიბერალურ ფაშიზმში, რომლის იდეოლოგებიც არიან ბატონი რესპუბლიკელები და მათი გენეტიკა, ასე ვთქვათ, სრულიად ნათელია ახლა - ლიბერალური ფაშიზმი, იგივე ფაშიზმია და იგივე ბოლშევიზმია, ანუ ეს იგივე ტროცკიზმია, ოღონდ სახეშეცვლილი, იგივე ღვთისმგმობელები არიან, ლგბტ-ს თავგადაკლული დამცველები და შესაბამისად, ხალხის დიდი უმრავლესობა, რომელიც ინტუიტურად გრძნობს მათში ეშმაკს, ასე დავარქვათ, ბუნებრივია, განწყობილია მათ წინააღმდეგ. ახლა როგორი ტექნოლოგიებიც არ უნდა გამოიყენონ, როგორი ხვანჯებიც არ უნდა დააგონ და როგორი პოლიტიკური ინტრიგებიც არ უნდა იხმარონ, საბოლოოდ მათი მოქმედების რეზულტატი იქნება მოსახლეობის შემდგომი გაღატაკება, საქართველოს ტერიტორიული დეზინტეგრაცია, საგარეო პოლიტიკური ბრძანებების ბრმა შესრულება, რომელიც მოდის მათი იდეოლოგიური ცენტრიდან და კერძოდ, დღეს ემსახურება იმას, რომ საქართველო გადააქციონ სადგისად რუსეთის ადგილებში, რაც აუცილებლად გამოიწვევს რუსეთის სასტიკ გაღიზიანებას. რუსეთი, როგორც ის ხედავს თავის ინტერესების დაცვას, სწორედ ისე დაიცავს ამ ინტერესებს და უბედურებაა, რა თქმა უნდა, რომ ჩვენ ამ ისტორიის საწისქვილე დოლაბებში კვლავ პირდაპირ თავით ვართ გაჩხერილები და ეს, ცხადია, ჩვენ კარგს არაფერს მოგვიტანს, მაგრამ, როგორც იტყვიან, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

— ტროცკის იდეოლოგია ახსენეთ, ეს იდეოლოგია ალი-კვალივით ჰგავს ლიბერალური პარტიების იდეოლოგიას. ახლა სხვადასხვა სახელები და ტერმინებია, უბრალოდ...

— დიახ, ეს არის ტროცკიზმი. ახლა კიდევ პრობლემა იმაშია, რომ არ არსებობს უფრო ეფექტური მართვის მექანიზმი, ვიდრე არის ქვეყნებისა და სახელმწიფოების დაფინანსება, დაკრედიტება. ეს არის ყველაზე უფრო სრულყოფილი მექანიზმი და ყველაზე უფრო მეტად შეგიძლია დაამონო ხალხები ამ დაკრედიტების სისტემით. და იმისთვის, რომ ხალხებს დაკრედიტების სისტემა დასჭირდეთ, ისინი უნდა აიძულო, რომ კრედიტები აიღონ. როგორ უნდა აიძულო? უნდა გაატარო ისეთი პოლიტიკა, რომ ეს ქვეყნები გაღატაკდნენ, ე.წ. მონეტარული პოლიტიკა, რომელიც წირავს შედარებით განუვითარებელ ქვეყანას, შედარებით განვითარებული ქვეყნის მუდმივ მაჩანჩალად გახდომისთვის და ამ იდეოლოგიის ადეპტები დღეს ყველაზე განვითარებული სახელმწიფოს აშშ-ს, ასე ვთქვათ, ოჯახურ კლანებს შეადგენენ, რომლებიც აკონტროლებენ მსოფლიო საფინანსო სისტემას. სწორედ მსოფლიო საფინანსო სისტემა და ე.წ. მონეტარული საფინანსო პოლიტიკაა, რომელიც არის სინამდვილეში ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ამერიკის სახელმწიფო ინტერესების ნაზავი, არის კონცეპტუალური მართვის მთავარი ბერკეტი მესამე ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში. აი, ეს კარგად უნდა გვესმოდეს, დიახ, სწორედ ამ წვეთოვანზე ჰყავთ შეერთებული საქართველოს მთავრობა, აი, ეს არის მათი უსიტყვო მორჩილების მთავარი მიზეზი.

— ...როგორც ექსპერტებმა აღმოაჩინეს, საქართველოს ეროვნულ ბანკს თავისი რეზერვები გადაცემული აქვს მსოფლიო ბანკისთვის, წარმოგიდგენიათ, ჩვენ ნულზე ვზივართ, სესხებს რომ გვაძლევენ, მსოფლიო ბანკმა მოგვცაო, რომ აცხადებენ, ჩვენი ფულია.

— დიახ, ჩვენი ფულია, მეტსაც გეტყვით, დაკრედიტების სისტემა გულისხმობს ქვეყნის ნაძარცვი ფულის (თავად კი არ გაძლევენ კრედიტს), იმას, რასაც, დავუშვათ, ჩვენ გვართმევენ და გვძალავენ იმ კანონებისა და არასამართლიანი საერთაშორისო ხელშეკრულებების ხარჯზე მიღებულ მოგებას, რომელიც ჩვენ უნდა მიგვეღო ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, აი, იმ ფულს გვაძლევენ კრედიტად. ყველაზე მინიმალური გათვლებით ჩვენ ჩვენი სატრანზიტო ფუნქციის შესრულებაში უნდა მიგვეღო დაახლოებით 13 მილიარდი დოლარი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. სხვათა შორის, შევარდნაძე, როდესაც ამ პროექტებზე იყო საუბარი, ყოველთვის იმეორებდა, რომ ყველა ქართულ ოჯახს პენსია ექნება აქედან გამომდინარე 300 დოლარიო და სხვათა შორის, რომ გადავიანგარიშოთ ზუსტად ეს ციფრი გამოგვდის, თუ ვინმეს უნდა, რომ იანგარიშოს, მაგრამ ნაყიდი ჰყავთ ექსპერტები, ისინი, ვინც კვალიფიციურად გამოთქვამენ ამას, დანარჩენები კი, ფიქრობენ, შიშის გამო, მათ შორის, პოლიტიკური პარტიებიც და არ ამბობენ იმას, რომ სინამდვილეში ჩვენი ვალი სახელმწიფო საგარეო ვალი, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ კორპორატიულ ვალებსაც, რაც გვაქვს, არის ჩვენი ფული. დიახ, ჩვენ ჩვენივე ფული პროცენტებითურთ მოგვასესხეს და გვკარნახობენ, რაში დავხარჯოთ, რომ უკან წაგვართვან ის ფულიც.

არის კიდევ ეკონომიკურ-ფინანსური მიმართულებები, სფეროები, რომლებიც საქართველოს ბიუჯეტს შეავსებდა და ჩვენი ბიუჯეტი გაცილებით დიდი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ესეც არ ხდება. მაგრამ, სამაგიეროდ, ამ წვეთოვანის დამოკიდებულება, რომელიც ჩვენ გვაქვს მმართველი ჯგუფებიდან, იმპერატივი, რომ ახლა თქვენ თუ არ გინდათ, რომ გამოგრთოთ ამ კვების რეჟიმიდან, უნდა გაატაროთ რეფორმები, რომლებიც გულისხმობს, მაგალითად ლგბტ თემის უფლებების დაცვას, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას, უნდა გაყიდოთ მიწები, უნდა დანიშნოთ თანამდებობაზე ხიდაშელი. ანა დოლიძე მოადგილედ დავუნიშნოთ, უნდა შემოიტანოთ გენდმოდიფიცირებული სოიო და ა.შ. ანუ ასეთი ტიპის პათოლოგიური ინსტრუქციები უნდა ასრულო შენივე წილის მოპარვის შედეგად დაკრედიტების პირობით. ასეთი ფაშისტური ბრძანებები უნდა ასრულო და ვინ არიან ამ ბრძანებების გამცემი, მოდით ესეც ვთქვათ, ეს არის ავადმყოფი ხალხი, რომელმაც მიზეზთა გამო დაიპყრო მსოფლიო საფინანსო პოლიტიკური და საინფორმაციო სივრცე. აი, ასეთი ვითარება შეიქმნა დედამიწაზე გლობალურად. პარადოქსალური სიტუაცია შექმნა, როცა კაცობრიობა განვითარდა ამ დონეზე ტექნოლოგიურად და მისი იდეოლოგია არის ის, რომ უნდა დაიცვას მისი წამყვანი მოტორის, ანუ აშშ-ს პრეზიდენტი ობამა და ვიცე-პრეზიდენტი ჰილარი კლინტონი გამოდიან და აცხადებენ, რომ მათი პრიორიტეი არის ლგბტ თემის უფლებების დაცვა მთელ მსოფლიოში, ბაიდენი გამოდის და ამბობს, რომ ტრადიციებზე უფრო მაღლა დგას ლგბტ უფლებების

8 gv.

სასამართლოს კარებთან დაბმული „ცერბერი“ – 89-ე მუხლი, რომელიც უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებას, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდის

რატომ „ძირავს“ პარლამენტი სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ინიციატივას?

რატომ არის უპერსპექტივო წინა ხელისუფლების დროს იძულებითი გარიგების გზით წართმეული ქონების დაბრუნება არსებული კანონმდებლობის პირობებში და რატომ „ძირავს“ პარლამენტი სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ინიციატივას? „საერთო გაზეთს“ ესაუბრება „ზურაბ ვანიშვილის საადვოკატო კომპანიის“ დირექტორი, საქართველოს პარლამენტის ლობისტი, ადვოკატი ზურაბ ვანიშვილი:

ზურაბ ვანიშვილი

– როგორც იცით, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლების მიმართ ერთ-ერთი მთავარი სოციალური დაკვეთა სამართლიანობის აღდგენა იყო. სხვა დანარჩენთან ერთად, ეს გულისხმობს წარსულში შელახული ქონებრივი უფლების რეალიზაციას. ამ სოციალური დაკვეთის აღსრულებისთვის ქვეყანაში უნდა არსებობდეს ქონებრივი უფლების რეალიზაციისთვის შესაფერისი გარემო. ეს პირველ რიგში გულისხმობს, დამოუკიდებელ სასამართლოს, რაც ჩემი აზრით მიღწეულია და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ვერ გავიხსენებ ვერც ერთ შემთხვევას, როცა მოსამართლის საქმიანობაში ვინმე ჩაერია. მიუხედავად ამისა, ერთია დამოუკიდებელი სასამართლო და მეორე აქვს თუ არა მოქალაქეს ამ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. რა თქმა უნდა, ეს უფლება კონსტიტუციით და საერთაშორისო პაქტებით გარანტირებულია, მაგრამ სასამართლოსთვის მიმართვას პერსპექტივა უნდა ჰქონდეს. სარჩელს რომ შევიტანო, მისი დაკმაყოფილების 1%-იანი შანსი მაინც ხომ უნდა არსებობდეს?

– იქნებ, დაგვიკონკრეტოთ, რას გულისხმობთ? სასამართლო საქმის მოგების გარანტიას ვერავის მისცემს.

– სამაგიეროდ, მე გაძლევთ 100%-იან გარანტიას იმისა, რომ დღეს არსებული საკანონმდებლო ხარვეზის პირობებში არც ერთი ეს სარჩელი არ დაკმაყოფილდება. სასამართლო ყველა სარჩელს სავალდებულო წესით მიიღებს, მოსარჩელეებს 3%-იან ბაჟს გადაახდევინებს, ჩანიშნავს ჯერ მოსამზადებელ, შემდეგ მთავარ სხდომას და სარჩელის დაკმაყოფილებაზე ყველას უარს ეტყვის. 1997 წელს ძალაში შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, სადაც არსებობს 89-ე მუხლი, რომელსაც არავინ ყურადღებას არ აქცევდა. ფაქტიურად, ამ მუხლს 2012 წლის 1 ოქტომბრამდე არავითარი გამოყენება არ ჰქონია, თუმცა მერე ძალიან აქტუალური გახდა. ამ მუხლში წერია, რომ იძულებით დადებული გარიგების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა 1 წელია. ეს ნიშნავს, რომ მე თუ თქვენ ქონება წაგართვით, მისი დაბრუნების შანსი ამ ფაქტიდან 366 დღე გაქვთ. 367-ე დღეს სასამართლო ვალდებულია ხანდაზმულობის გამო უარი გითხრათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

– მაშინ სარჩელი წარმოებაში რატომ მიიღო?

– იმიტომ, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება გაქვთ. წინა ხელისუფლების დროს ქონებაწართმეული 10 000-ივე თუ 100 000-ივე ადამიანი რომ შეიკრიბოს და სასამართლოში სარჩელი შეიტანოს, საქმეს ვერც ერთი ვერ მოიგებს. იბადება კითხვა, რატომ არის იძულებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისთვის ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადა და რამდენად ნორმალურია ეს მოცემულობა? ჩემი აზრით, ეს აბსოლუტური ანომალიაა. შეიძლება ვინმემ მითხრას, რომ ეს ევროპაში აღიარებული ნორმაა, მაგრამ ფაშისტურ გერმანიას თუ არ ჩავთვლით, ბოლო 500 წლის განმავლობაში ევროპაში ასეთი კატაკლიზმები არ ყოფილა. როცა სამოქალაქო სამართლის უდიდესი და აღიარებული სპეციალისტი, პროფესორი ლადო ჭანტურია სამოქალაქო კოდექსს წერდა, მას ველოსიპედი არ გამოუგონია. ჭანტურიამ მოახდინა გერმანული სამართლის რეცეფცია ანუ გადმოღება. სწორედ, გერმანულ კანონმდებლობაში წერია, ის რაც ჩვენ გვიწერია 89-ე მუხლში, მაგრამ გერმანულში ამას გაგრძელებაც აქვს, რომელიც ბატონ ლადოს არ გადმოუღია.

– კერძოდ?

– კერძოდ, ის, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება გაქარწყლება ხდება იძულებით დადებული გარიგებიდან 10 წლის შემდეგ. ანუ მიმართვის ვადა ერთი წელია, მაგრამ ამ უფლებას 10 წლის განმავლობაში არავინ გიზღუდავს. მეორე წინადადება ფაქტიურად, აბალანსებს პირველს და ჩვენთან სწორედ ეს მეორე წინადადებაა ამოგლეჯილი იმ შინაარსიდან, რაც გერმანიაშია. შედეგად, ის მივიღეთ ის, რომ სამართლიანობის აღდგენა შეუძლებელი გახდა. საკანონმდებლო დონეზე ჩვენ ვართ სრული კოლაფსის წინაშე. პირადად მე არ დავიშურე ძალა და ენერგია და 2014 წელს ორჯერ მივმართე პარლამენტს 89-ე მუხლის გაზრდის საკანონმდებლო წინადადებით. მიუხედავად იმისა, რომ დადებითი რეკომენდაცია მომცეს ადამიანის უფლებათა დაცვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებმა, უარი მივიღე იურიდიულ საკითხთა კომიტეტიდან და ინიციატივა არ გავიდა. უარი მივიღე იუსტიციის, ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებისგანაც.

– სამოქალაქო კოდექსის გარდა, ხომ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის თანახმად, ქონების იძულებით დათმობა დანაშაულია.

– დიახ, არსებობს და თუ დამტკიცდა, რომ ვიღაცამ ვიღაცას იძულებით დაათმობინა ქონება, ციხეში ჩასვამენ და ამით დამთავრდება ყველაფერი. ვიცი შემთხვევა, როცა 700 000 ლარის გამო ბიზნესმენი წინასწარი შემეცნებით ჩაჯდა ციხეში. ორ წელში გამოვიდა და ქონება გარეთ დახვდა. ეს ის შემთხვევაა, როცა „ჩიტი ბრდღვნად უღირთ“. მე მაქვს საქმე, რომელშიც იძულებით ქონების დათმობის მიზნით ზეწოლა პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მინისტრმა განახორციელეს, მაგრამ სამოქალაქო სასამართლო საქმეს არ იხილავს. ვგულისხმობ „თბილავიამშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პანტიკო თორდიას საქმეს: 2010 წლის ივნისში პანტიკო თორდია დაიბარეს ფინანსთა სამინისტროში და პირდაპირ უთხრეს, რომ მას და მასთან ერთად დაახლოებით 30 აქციონერს „თბილავიამშენი“ სახელმწიფოსთვის უნდა ეჩუქებინა.

2012 წელს პანტიკო თორდიამ და დანარჩენმა აქციონერებმა იძულებით დათმობილი ქონების დაბრუნების მიზნით სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ ამ საქმის განსახილველად სპეციალური კოლეგია შექმნა, მაგრამ რატომღაც სხდომა არ ტარდება. აქვე უნდა ავღნიშნო ერთი პოზიტიური მომენტი – ჩვენ მოვახერხეთ სარჩელის უზრუნველყოფისთვის სასამართლო წესით დაგვეყადაღებინა ქარხანა. ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ სახელმწიფოს არ გაესხვისებინა ეს წილები და შემდეგ კეთილსინდისიერ მყიდველთან არ გვქონოდა სადავო. სამაგიეროდ, სრული უძრაობაა პროკურატურაში, სადაც მიმართვის მიუხედავად, „თბილავიამშენის“ საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა.

პანტიკო თორდია

– გამოდის, რომ პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტის შექმნა ხელისუფლების მორიგი სატყუარაა და არავინ არაფრის აღდგენას და დაბრუნებას არ აპირებს.

– ვფიქრობ, პროკურატურა პანტიკო თორდიას საქმეს წინასწარი შემეცნებით არ იძიებს. რომ გამოიძიოს და მიხეილ სააკაშვილს, ბაჩო ახალაიას და რეზო ჭარბაძეს განაჩენი გამოუტანოს, პანტიკო თორდიას 68 მილიონი დოლარი უნდა აუნაზღაუროს. „სამოქალაქო კოდექსის“ თანახმად, თუ საჯარო მოხელე კერძო პირს ზიანს აყენებს, სახელმწიფო ვალდებულია ზიანი აანაზღაუროს. მარტო თორდიას 68 მილიონი კი არა, მთლიანობაში 7 მილიარდზე მეტი გაუხდებათ გადასახდელი, რაც სახელმწიფოს დეფოლტამდე მიიყვანს. ამიტომ ვფიქრობ, რომ მთელი ამ დეპარტამენტებისა და სამმართველოების შექმნა ტყუილია და არავინ ამ საქმეებს არ გამოიძიებს. ვინაიდან, პროკურატურა ამ საქმეებს არ იძიებს და არც გამოიძიებს, მე წარვადგინე კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ყველა ადამიანი, ვინც 2004-212 წლებში სახელმწიფოს ქონება აჩუქა ქონებაწართმეულად ჩაითვალოს და 59 წლის განმავლობაში აუნაზღაურდეს წართმეული ქონების ღირებულება. ეს საერთოდ არ მოეწონათ და იცით რა მითხრეს? იქნებ ზოგი მართლა ჩუქნიდა და ასე ხელაღებით, ყველა როგორ ჩაითვალოსო. მარტივი კითხვა დავუსვი, თქვენ რომელმა აჩუქეთ სახელმწიფოს ქონება და როგორ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა, რომელსაც ფორმა №100 აქვს აღებული, მილიონის ქონება სახელმწიფოს აჩუქოს და თვითონ იპოთეკური სესხი ჰქონდეს თქო?

– წართმეული ქონების დაბრუნების ვადად 59 წელი რატომ შეარჩიეთ?

8 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

6 gv.

დაცვა და ა.შ. აი, ამ პარადოქსალურ სიტუაციამდე მივედით. და ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი დაქორწინდა ბელგიელ არქიტექტორზე და ვინ გაიქცა პირველი მისალოცად - ანგელა მერკელი და ანგელა მერკელი ყველგან დარბის, სადაც ასეთი რამ ხდება. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ევროოსაბჭოს 60%-ზე მეტი არის, ლგბტ ლობირების ქვეშ არჩეული დეპუტატები. მათი მიზანია შემოიტანონ საკითხები, რომლებიც გულისხმობს ოჯახების დანგრევას, ტრადიციული რელიგიების განადგურებას და ა.შ. და ვიცით ჩვენ ეს მათი ადეპტები აქ ვინც არიან — ბოკერია, ვაჭარაძე და ძმანი მათნი. ევროპელები და ამერიკელები ზუსტად ისეთივე მსხვერპლნი არიან ამ ერთი წყება სატანისტებისა, როგორც ჩვენ. ჩვენ არ უნდა შეგვძულდეს ევროპელები და არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს იქ არ არის კარგი ხალხი. აი, **ექსკლუზიურად გეტყვით, რომ ლევან ვასაძემ გააკეთა ორგანიზება და იბრძვის ძალიან სერიოზულად იმისთვის, რომ შექმნას ანინტერნაციონალური, ასე ვთქვათ, ქსელი, რომელიც უკვე არსებობს - ოჯახის სიწმინდეს და ტრადიციული ღირებულებების დაცვისათვის, ასეთი უკვე ფუნქციონირებს მთელ მსოფლიოში.**

— ლევან ვასაძე პოლიტიკაში მოსასვლელად ემზადება?

— ღმერთმა ქნას, მოვიდეს, რადგან ჩვენ პოლიტიკაში გვჭირდება ხალხი, რომელიც ტრადიცულ ღირებულებებს და ეროვნულ ინტერესებს დაიცავს და ბატონი ლევანი თუ მოვა პოლიტიკაში, ამას მხოლოდ ორივე ხელით მივესალმები. პოლიტიკა არის დიდი ეროვნული საქმეების კეთება და ერის გადარჩენისთვის ბრძოლა.

— მთავარ თემას დავუბრუნდეთ, საქართველოში ისეთი რაღაცები მოხდება, რასაც არავინ ელის...

— ზევით რაც გითხარით, გახსოვთ. ახლა, პირველი: ცხადია, გააქტიურდება რუსეთი. დიახ, რუსეთი გააქტიურდება და ტრაგედიაა სწორედ ის, რომ ჩვენ ვკარგავთ ბოლო შანსს დავიწყოთ აქტიურობა ჩვენი ეროვნული ინტერესების დასაცავად, ხაზს ვუსვამ, ბოლო შანსს ვკარგავთ, პირდაპირ ვაცხადებ ამას. რუსეთი გააქტიურდება იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ გვაქვს ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოში თავდაცვის მინისტრად ხიდაშელის დანიშვნა მოხდა, ალბათ, საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავჯდომარედ დანიშნავენ ქალბატონ თამარ კორძაიას, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად ლევან ბერძენიშვილს, ის მოიაზრება ამ პოსტზე, არის ამაზე აქტიური საუბარი, იმედია, გადაიფიქრებენ, ანუ რესპუბლიკური პარტია მოდის ხელისუფლების სათავეში მთლიანად. და ქალბატონი ნულანდის ფავორიტი კი, გახლავთ ბატონი მიხეილ სააკაშვილი, ანუ იმ ძალას, რომელიც დღეს ამერიკის სათავეშია ვერ წარმოუდგენია საქართველოს მომავალი მიხეილ სააკაშვილის გარეშე. და ეს გეგმა, რომელიც გულისხმობს საქართველოს ჩართვას რუსეთის წინააღმდეგ კონტინენტალური რკალის შექმნაში, ანუ ე.წ. კონტინენტალური მასების მოწყვეტა რუსეთის კონტინენტალური იმპერიისთვის და დახშობა, მისთვის რკალის შექმნა, ანტირუსული რკალის. სწორედ მიხეილ სააკაშვილი მოიაზრება აქ, როგორც ამ ანტირუსული რკალის შექმნის იდეალური ლიდერი. შესაბამისად, ცხადია, რუსეთი

საქართველოში მოულოდნელად ისეთი რაღაცები მოხდება, რასაც ვერც ოპოზიცია წარმოიდგენს და ვერც ხელისუფლება

შეეცდება არ დაუშვას ასეთი რამ, მით უმეტეს, როდესაც ჩვენ ვნახეთ, რომ ამერიკელები პირველად შემოდიან, თავის სამხედრო ყოფნას აფიქსირებენ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე და ასევე ამერიკული წყალქვეშა ნავებისთვის შენდება ბათუმში პორტი. შეიძლება ბევრმა არ იცის ეს, მაგრამ ასეა. ორთა ბატონთა მონობა არ შეიძლება, მე მგონი, ვიცით ჩვენ ეს და ორი ბატონი გვთელავს ჩვენ. სჯობს 100 კაცს ჰქონდეს ღირსება და დაიცვას ის, ვიდრე 3 მილიონ და 10 მილიონ მონას. ასევე მინდა შევეხო იმას, რაც ხდება ჩვენს სატელევიზიო შოუებში, როცა არამკითხე მოამბეები ერთმანეთს ეჩხუბებიან, ერთი პრორუსულია, მეორე კი პროამერიკული. ამ დროს ორივე მონები არიან და არ ახსოვთ, რომ ქართველები არიან და ორივე გასახვეტია აქედან. თუ ასეთი დაპირისპირებული ხარ, რომ ეთერში ჩხუბობ, მაშინ გადი და გარეთ გააკეთე შენი გასაკეთებელი, რაღა იქ ყვირი. ესენი, უბრალოდ, არიან უვარგისი ადამიანები. მოკლედ, პირდაპირ გეტყვით, მოულოდნელი კიდევ შეიძლება მოხდეს შემდეგი: ისტორიულად ასეა, ანუ ისტორია მუდმივად იცვლება, როგორც კალეიდოსკოპს ატრიალებ და იცვლება სურათები, ნებისმიერი ღირსეული, თავისუფალი ნებისა და მსხვერპლის შემდეგ იცვლება დადებითისკენ. ამიტომ არის, რომ ერთ ადამიანს და ადამინათა ჯგუფს შეუძლია შეცვალოს ხშირად დადებითისკენ ყველაფერი, თუ ის იქნება თავისუფალი მსხვერპლი, ასეთია მოქმედება ისტორიაში. და ჩვენ სწორედ ასეთი რამე უნდა გავაკეთოთ და ასეთი რამ კეთდება კიდეც და ღვთის წყალობით, შეიძლება, რამე შეიცვალოს, თუ ამ ადამიანთა მოქმედება გონიერი და არაეგოისტური იქნება. დიახ, აქ შეიძლება მოხდეს ესეც და ეს ფატალიზმი ავიცილოთ თავიდან, რომელიც ჩვენ დაღუპვას გვიქადის. აი, ამის თქმა მინდოდა თქვენთვის ექსკლუზიურად. ხელისუფლებას კი ვურჩევ, რომ წაიკითხოს ეს ინტერვიუ და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები.

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03

სასამართლოს კარებთან დაბმული „ცერბერი“ - 89-ე მუხლი, რომელიც უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებას, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდის

7 gv.

— ჩემი აზრით, ეს ვადა კარგი ბალანსი იქნება სახელმწიფოსა და კერძო ინტერესს შორის. არც სახელმწიფო დაზარალდება, არც ეკონომიკა დასუსტდება და სამართლიანობაც გვიან, მაგრამ მაინც აღდგება. მაგალითად ავსტრია მოვიყვანე, რომელმაც თავის მოქალაქეებს ნაცისტების მიერ წართმეული მთელი ქონება დაუბრუნა, მაგრამ ამაზეც უარი მივიღე. მე არ ვამბობ, რომ მოქალაქეებს ქონება უპირობოდ უნდა დაუბრუნდეთ. მე ვამბობ, რომ მოქალაქეებს უნდა მივცეთ უფლება, რომ 89-ე მუხლმა ბრძოლა უპერსპექტივო არ გახადოს. თუ ვინმეს სახელმწიფოსთან რამე სადავო აქვს, დავის უფლება უნდა მივცეთ. ქვეყანას რომ 89-ე მუხლი აქვს, ეს ერის სირცხვილია. როგორ შეიძლება, რომ 21-ე საუკუნეში საქართველოს მოსახლეობას წართმეული აქვს სასამართლისთვის მიმართვის პერსპექტიული უფლება? ჩემი ინიციატივის შემდეგ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ გამოიტანა დასკვნა, რომ უნდა პარლამენტსა და მთავრობას შორის უნდა შეიქმნას ერთობლივი კომსია, რომელიც ამ საკითხს ერთობლივად განიხილავს. სამწუხაროდ, დასკვნა დასკვნად დარჩა და ამ ინიციატივას გაგრძელება აღარ მოჰყოლია..

ზაქარია ქუცნაშვილი

ბუნებრივია, დავინტერესდით, რას ფიქრობენ „სამოქალაქო კოდესის“ 89-ე მუხლზე თავად კანონმდებლები, რა აზრი აქვთ დოკუმენტში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით და რა პერსპექტივას ხედავენ არსებულ საკანონმდებლო სივცეში, პროკურატურის სპეციალური დეპარტამენტის საქმიანობაში? ამ კითხვებით პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრს ზაქარია ქუცნაშვილს დავუკავშირდით:

— პროკურატურაში შექმნილი სპეციალური დეპარტამენტის ერთადერთი უპირატესობა ისაა, რომ თუ აღმოაჩენს გარემოებას, რომელიც ცნობილი არ იყო სასამართლოსთვის, შეიძლება ეს გახდეს საქმის წარმოების განახლების საფუძველი ხანდაზმულობის ვადის მიუხედავად. რაც შეეხება, 1997 წლის 25 ნოემბერს ამოქმედებულ „სამოქალაქო კოდექსს“, კანონი იმის მიხედვით არ ფასდება, როდის არის მიღებული. კანონები ფასდება იმის მიხედვით, მის მიერ შექმნილი ნორმები რამდენად სამართლიანი და კარგია დროსა და სივრცეში. როგორც ჩანს, ამ კანონის ამოქმედების დროს ერთი აზრი ჩაიდო, რომ იძულებით ან მოტყუებით დადებული გარიგებები მუდმივად „ჰაერში დაკიდებული“ რომ არ ყოფილიყო, მიეცათ ერთწლიანი ვადა. ამ ვადაში ადამიანები ჩამოყალიბდებოდნენ, გაასაჩივრებდნენ თუ არა. ხომ არ შეიძლება გარიგება მე-20 საუკუნეში დადო და 21-ე საუკუნეში გაასაჩივრო? თუ რამე არ მოგწონს, შეიძლება ერთი ან ათი თვე იყოყმანო, მაგრამ ერთი წელი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდე, გაასაჩივრებ შენს მიერ დადებულ იძულებით თუ მოტყუებით დადებული გარიგებას თუ არა.

— გაცნობიერებას შეიძლება ამდენი დროც არ უნდა, მაგრამ იმ პოლიტიკურ რეალობაში, რა დროსაც ეს იძულება მოხდა, სამართლებრივი დავის დაწყებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ამასობაში ხანდაზმულობის ვადაც გავიდა..

— მე ცუდს ვერ ვხედავ იმაში, რომ ხანდაზმულობის ვადა გაიზარდოს, მაგრამ არის კიდევ ერთი მომენტი. თუ ჩვენ ხანდაზმულობის ვადას ძალიან გავზრდით, მაშინ გასაჩივრება უკვე კონიუნქტურას დაექვემდებარება. მშიშარა ადამიანები თავს ყოველთვის იმით იმართლებენ, რომ ცუდი რეჟიმი იყო და იმას ხომ არ დავუწყებდი ჭიდაობასო, მაგრამ ვინც ეჭიდავა და იბრძოლა, ისინი ცუდი ხალხია? ანუ ჩვენ როგორ გვინდა პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები გვყავდეს თუ კომფორმისტები და შემგუებლები? სამართალს ხომ მორალური ძალაც აქვს, გარდა რეპრესიული და პრევენციული ძალისა? თვალი უნდა მივადევნოთ რა დრო დაჭირდება ტყუილის გაცნობიერებას და რა დრო იძულების გაცნობიერებას და როგორი მოქალაქეები გვინდა წავახალისოთ ჩვენს ქვეყანაში.ისინი, ვინც ძალადობას შეეგუებიან, მოტყუებას „ჩაყლაპავენ“ თუ პირიქით. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ ეს ძალიან სერიოზული და კომპლექსური საკითხია, რომელიც შესწავლას მოითხოვს.

ნელი თორდია
ტელ.:571 35 36 88

ჩანიშნული შავი პარასკევი და დაწყევლილი კვირა დღე

რა ვალდებულება აქვთ ცალკეულ პიროვნებებს და რატომ მიდიან მათივე მასხრად ასაგდებად დადგმულ ინგა გრიგოლიას შოუებში?

ვინმეს რელიგიური შინაარსის წერილი რომ არ ეგონოს, ახლავე აღვნიშნავ, რომ საუბარი ეხება პარასკევ საღამოობით „იმედის“ ეთერით გადაცემა „რეაქციის“ გასვლას, ხოლო კვირა საღამოს „იმედის კვირას“. ერთ ფრაზაში ჩაეტეოდა სათქმელი — „რას დაამგვანეს ამ სულგაყიდულებმა ცხონებული პატარკაციშვილის „იმედი!“ მაგრამ ახსნა ხომ უნდა, ასე რატომ ფიქრობს ხალხი?

უპირველესად პატარკაციშვილის ოჯახის იმ წევრის (ან წევრების) ამბავია საკითხავი, ვისაც „იმედი“ ეკითხება. რა წყენა ჩარჩათ ასეთი გარდაცვლილისა, რომ მის ჯიბრზე უკუღმა დაატრიალეს „იმედი-ტელევიზია“ და „ნაცონალური მოძრაობის“ ტელევიზიად აქციეს?

მაგრამ ინგა გრიგოლია მაინც ხარობს — არ მაინტერესებს უარყოფითი რეაქცია რომ აქვთ, რადგან რეაქცია აქვთ, მაშასადამე უყურებენ, მაღალი რეიტინგიც ამის მაჩვენებელიაო; სალანძღავ ფრაზებს თუ წაიკითხავს, იტყვის „ანტირეკლამაც რეკლამააო“ ... ნეტავ, რა რეკლამა და ანტირეკლამა ჩამორეცხს იმ ჭუჭყსა და სიბინძურეს, რასაც ესვრიან? მამაკაცები რომ ტელეწამყვანის შეფასებას გარეგნობის მასხრად აგდებით დაიწყებენ, იქ დამთავრებულია „რეიტინგობანა“. დავიჯეროთ, გრიგოლიამ არ იცის, ვინც უყურებს, რატომ უყურებს მის დადგმულ პოლიტიკურ შოუებს? იცის, როგორ არ იცის, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს, აბა, რა გზას ეწიოს, ადამიანების ერთმანეთზე წაკიდების შეკვეთის შესრულების გარდა არაფერი ემარჯვება და სხვა რა ქნას?



გაღნიშნულ გადაცემებთან დაკავშირებით, ჯერ ის ვიკითხოთ, რატომ მიდიან საზოგადოებისთვის პატივსაცემი ადამიანები ამგვარ „ცხელ“ თუ უბრალოდ, შოუებში, სადაც „ხალხად“ არ აგდებენ, შემდეგ კი მივყვეთ, იქნებ რამენაირად დავასკვნათ, თვით გადაცემები ვის და რას ემსახურება?

ერთი რამ უტყუარია — არ ემსახურება საზოგადოებას, პირიქით, დამთრგუნველად მოქმედებს ის მომენტი, რომ მაყურებელი სახლშია, ტელეეკრანთან, არ შეუძლია თავისი სათქმელი სიტყვა შეაწიოს, არადა, ეკრანიდან მავნებლობის ნიაღვარი მოედინება.

გადავხედოთ „რეაქციის“ სტუდიას — სტუდიაში მუდმივად ზის „თავისუფალი ზონა“ და „პიკასოს კლუბი“ (ორივე ან რომელიმე), „ნაციონალური მოძრაობის“ კუდიმჭერელი არასამთავრობო ორგანიზაციების რამდენიმე წარმომადგენელი, საზოგადოებისთვის უცნობი „ნაცყლორტები“ და ერთი ორი მეტ-ნაკლებად ცნობილი „ნაცი“ — ამ შემადგენლობას ჰქვია „ხალხი“. ანუ გრიგოლია სიტყვას როდესაც აძლევს „ხალხს“, ხალხის აზრად ფიქსირდება მათი აზრი. წინა რიგში, სადღაც „არანაცებიც“ სხედან, რომელთაც წამიერად თუ ათხოვეს მიკროფონი და ორიოდე სიტყვა წაილუღლუღეს, მხოლოდ ერთი კითხვა ებადება მაყურებელს „სად ნახეს ეს მშვიდობის უტყვი მტრედებიო?“ საბოლოოდ იქმნება სურათი, რომ „ისინი“ მართლები იყვნენ, „ესენი“ კი უნიათოსთან ერთად, უვარგისებიც არიან. შედეგად, სუსტი და მერყევი მაყურებლის არსებაში ჯდება განცდა, რომ „ისინი“ ძლიერები არიან, მართლაც მობრუნდებიან და რაც დააკლეს, სამმაგად აუნაზღაურებენ. ამ განცდის თანმდევია შიში, შფოთვა, უიმედობა და მთლიანობაში იქმნება საზოგადოებრივი აზრი — „აგდებულია გოიმი...“

როგორც ამბობენ, საჭიროების შემთხვევაში რეკლამაზე გასული გრიგოლია შეტყობინებას უგზავნის დარბაზის კოორდინატორებს ვის უნდა მიაწოდონ მიკროფონი რომ შოუ „გავარვარდეს“ და მართლაც, იწყება ჩხუბი.

რაც შეეხება „იმედის კვირას“, რომელიც თავდაპირველად ხუთი წამყვანით იყო წარმოდგენილი. (კოდუა რომ ასე მყვირალად არ ყოფილიყო გამოჩხერილი პატარკაციშვილის წინააღმდეგ მოწყობილ სპექტაკლში, ახლა ნანუკა ჟორჟოლიანიც იქ იქნებოდა) რა სპექტაკლებიც იდგმება, კარგად ხედავს მაყურებელი, მაგრამ აინტერესებს: — გასაგებია, ადამიანებს მოსწონთ საკუთარი თავის ხილვა ტელეეკრანზე და ესწრაფვიან, მაგრამ მათ, ვისაც ასე თუ ისე ქვეყნის ბედ-იღბალი აბარიათ და არც ტელეკამერების ობიექტივი ენატრებათ, რატომ მიდიან ისეთ გადაცემებში, რომლებიც აკნინებთ და იმ ჟურნალისტებთან, რომლებიც პირდაპირ შავ პაირში ხარშავენ?

ხალხი არც ბრმაა, არც ყრუ, ყველაფერს ხედავს, ყველაფერი ესმის და შესაბამისი რეაქცია აქვს, ამდენად, რა დამოკიდებულებაც გაუჩნდათ ცალკეული, კონკრეტული ჟურნალისტების მიმართ, საწყენია, მაგრამ ლოგიკურია.

„ცხონებული პატარკაციშვილის სული როგორ არ აწუხებთ იმედის მფლობელებს?!“

„ნუ კლავთ ამ კაცს ხელმეორედ!“

„პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს, საინტერესოა, არც ერთს არ შერჩა შუბლის ძარღვი?“

„დიდი მტკიცება აღარ ჭირდება იმას რასაც ვხედავთ, პატარკაციშვილის ოჯახი გარიგდა „ნაცებთან“, ოღონდ დაგვიბრუნეთ ტელევიზია და სათქვენოდ ვიმუშავებთო“

„ფულზე გაყიდულებო, არც ერთს არ მოგასვენებთ ცხონებულის სული, მოგეკითხებათ!“

„ჩასაწიხლი გრიგოლია, გასაწკეპლი ჯაჯანიძე, გასასილაქებელი რამიშვილი, მიწაზე საგორავებელი დუტა, სახედარზე უკუღმა შემოსასმელი ხოფერია — აი, ესაა „იმედი“! ის ბატი ნანიკო ხაზარაძეე რატომ და ვინ ჩაჩხირა ამ „უიმედობაში?“

„ბადრის, კვირაში ორჯერ, ხელმეორედ, ამჯერად წამებით კლავს ინგა გრიგოლია!“

„საწყალი ბადრი, ხედავს, ალბათ, მის ტელევიზიაში რა ხდება...“

„ბადრი ვერაფერს ხედავს, ხოლო საწყლები ისინი არიან, ვინც მაგ ტელევიზიის და იქ მომუშავე აგენტურის გადაცემების იმედზეა!“

„მეუბნებიან, თუ არ მოგწონს, გადართეო. სად გადავრთო, როცა ყველა ქართული არხი ნაგავია, მეტის საშუალება კი არ მაქვს? ამის დედა ვატირე, ამ ბოზბანდის გამო ტელევიზორი გადავაგდო?“

„გადაცემები კი არა, გამიზნული პროვოცირებებია, ძირითადი ხაზი კი ისაა, რომ ხალხი ერთმანეთს უნდა დაეტაკოს უკვე ქუჩაში და მასშტაბურად“.

„წმინდა გიორგის ბაფთასთან“ დაკავშირებით რაც მოაწყეს, ეს იყო ერთ-ერთი პროვოკაცია, ან საქართველოს მთავრობა უნდა წამოგებოდა ან რუსეთის, მხოლოდ გრიგოლია, ხოფერია და დუტა საკუთარ თავზე ვერ აიღებდნენ პასუხისმგებლობას ნებისმიერი სალაფავის ფასად“.

„არავინ ამბობს იმას, რომ სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმს სწორედ ესენი აპიარებდნენ, ეკა ხოფერია კი სულაც 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალების პირდაპირი მონაწილეა „რუსთავი-2-იდან. გაქნილმა ჟურნალისტმა ხოფერიამ გაბედა და პატრიარქიც კი აიფარა...“

„გრიგოლია და ყველა, მისი მსგავსი ჟურნალისტი ფულზე გაყიდულები არიან. მე ასეთებს მეძავებსაც ვერ ვადარებ, რადგან მეძავები სხეულს ყიდიან, ესენი კი ჩვენს სამსობლოს. ესენი იმ ქუჩის მეძავებზე მეტად გარყვნილები არიან — სხვა რა ვუწოდო სამშობლოს გამყიდველს... ღმერთმა გაუნათოს გონება ყველა ქართველს!“

გიორგი ჩხეიძე

შოთა აფხაიძე:

9 მაისის პროვოკაციას კურირებდა ამირან მესხელი, ვანო მერაბიშვილის ყოფილი ბანდა, ბაჩო ახალაიას სამეგობრო, კობა ხაბაზი, „თავისუფალი ზონა“ და ორგანიზაცია „იდენტობა“

გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში შოთა აფხაიძე

— შოთა, გასულ კვირას დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა 9 მაისს ე. წ. გეორგიევსკის ბაფთებთან დაკავშირებით, ბაიკერებიც კი გამოვიდნენ „რუსული პროპაგანდის“ წინააღმდეგ, რას გვეტყვით ამის შესახებ?

— დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია გასულ კვირას 9 მაისს ე. წ. გეორგიევსკის ლენტების თემამ. ისე სურდათ წარმოეჩინათ, თითქოს ქართველი საზოგადოებისთვის ეს არის მიუღებელი და ფართომასშტაბიანი კამპანია გაიშალა გეორგიევსკის ბაფთის წინააღმდეგ. ეს არის სიცრუე, უბრალოდ, როგორც ჩვეიათ, ნაციონალებმა გააპიარეს, თითქოს საქართველოს მოქალაქეებს მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ ყოველივე ამის მიმართ.

სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარადაა. სააკაშვილისტებმა, იგივე „ნაციონალებმა“, თავიანთი კარის ბიზნესმენებისა და სატელიტი ორგანიზაციების მიერ დააფინანსეს გეორგიევსკის ბაფთების წინააღმდეგ მიმართული ისტერია და ამას მხარს უჭერდნენ ტელეკომპანიები „იმედი“, „რუსთავი-2“ და სხვა მათი ჯიბის ტელევიზიები და საინფორმაციო ქსელები.

— მაინც ვინ არიან ის ბიზნესმენები და როგორც თქვით, სატელიტი ორგანიზციები, რომლებმაც დააფინანსეს, როგორც ამბობთ, ეს კონფრონტაცია?

— ამ ღონისძიებას უშუალოდ კურირებდა **ამირან მესხელი, ვანო მერაბიშვილის** ყოფილი ბანდა, **ბაჩო ახალაიას** სამეგობრო, რომლებიც გარეთ დარჩნენ — **კობა ხაბაზი** და „თავისუფალი ზონა“ და ასევე ყველასთვის ცნობილი ორგანიზაცია „იდენტობა“ — ლგბტ ადამიანების დამცველი, პროვოკაციების მომწყობი 17 მაისს, **ირაკლი ვაჭარაძე** და ა.შ.

ახლა მე მოგახსენებთ მათ კავშირებზე: ამირან მესხელმა თავისი მეგობრის და სპეცსამსახურების „შნირის“ **არტურ ბალასანიანის** — ახალციხელი ბიზნესმენის მეშვეობით გამოყო, დაახლოებთ, 100 000 დოლარზე მეტი, რაც ჩაირიცხა ამ ღონისძიების ორგანიზებისთვის, რათა ედევნათ რუსი ბაიკერები და სამამულო ომის ვეტერანები. დაახლოებით, 200 000 დოლარი გადმოირიცხა ასევე ფონდი „იდენტობიდან“ და გადანაწილდა შემდეგნაირად: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ თანამშრომლებზე, ჯალათებზე, იმ ხალხზე, რომლებიც ადამიანებს აწამებდნენ და რეჟიმის ყოფილ უფროსებზე, ვითომ ბაიკერები **ლაშა ბრეგვაძის** მეთაურობით, შეგახსენებთ, ლაშა ბრეგვაძე იყო რუსთავის მე-17, ანუ ყოფილი მე-2 ზონის დირექტორი, იგი გამოირჩეოდა დაუნდობლობით და სისასტიკით, აუპატიურებდა და ცემდა პატიმრებს, მანამდე ის მე-6 სარეჟიმო დახურული დაწესებულების დირექტორი იყო. ლაშა ბრეგვაძე შემჩნეული იყო პატიმრების მეუღლეებთან ძალადობრივ სექსუალურ კავშირებში, სწორედ ამის გამო სცემეს ის საბურთალოზე. ის საბურთალოზე ცხოვრობს, მაგრამ გარეთ აღარ გამოესვლება. ბრეგვაძე იმ პატიმრებმა სცემეს, რომელთა მეგობრების მეუღლეებთან იყო შემჩნეული უწესო საქციელში. ეს ბრეგვაძე იყო გარეული ამ საქმეში, ვითომ ქართველი მოტობაიკერების ოფიციალური წარმომადგენელი იყო საქართველოში და ბაიკერები წინააღმდეგნი იყვნენ ასეთი ტიპის ღონისძიების. კიდევ ვიმეორებ, ეს არის ტყუილი. ესენი იყვნენ „ნაციონალების“ მხარდამჭერები 10-15 ადამიანი, მათ შორის **ვასილ ურუშაძე** და **ლაშა ფარულავა,** რომლებიც დღემდე „ნაცმოძრაობის“ ერთგული მხარდამჭერები არიან. ის 10 თვე თუ 15, ვითომ ბაიკერი იყვნენ ციხის ყოფილი თანამშრომლები, ამირან მესხელის უახლოესი გარემოცვა — სად-ის და კუდ-ის თანამშრომლები — **ლაშა ბრეგვაძე, ვასო ურუშაძე, ლაშა ფარულავა** და სხვები, რომლებიც თავს ასაღებდნენ, თითქოს ქართველი მოტომბრბოელები იყვნენ.

მათ მხარს უჭერდნენ „ქართველი ნაციონალისტები“. ჩემთვის გასაკვირია, ქართველმა ნაციონალისტებმა ლგბტ ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციაში მიიღოს მონაწილეობა. სად არის კაცობა, ნაციონალური ღირსება და ადამიანობა?

— შეიძლება არც იცოდნენ, რომ ეს ღონისძიება „ნაციონალების“ მხარდამჭერებისგან იყო დაფინანსებული?!

— რას ამბობთ, როგორ არ იცოდნენ. თვითონ **ქეთევან არახამია,** რომელიც გახლავთ ფონდი იდენტობის იურიდიული სამსახურის თანამშრომელი, ფულით სავსე ჩანთით დადიოდა და არიგებდა თანხებს. მიმიფურთხებია ისეთი ნაციონალიზმისთვის, რომელიც ლგბტ ორგანიზაციასთან ერთად იბრძოლებს სამამულო ომის ვეტერანების წინააღმდეგ.

„თავისუფალი ზონა“ პროვოკაციებისკენ იყო მიმართული. მათ ჰქონდათ, პირდაპირ, ფაშისტური დამოკიდებულება, ვითომ პატრიოტული სულისკვეთებით, რუსებისა და რუსეთისადმი. მაგრამ რა შუაშია რუსი, რუსეთი ან სხვა რომელიმე ერის წარმომადგენელი. აქ საქმე გვაქვს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებასთან.

ახლა ვიდეორგოლებს ატრიალებენ და ამაყობენ, თითქოს, ამით, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ ეს ძალიან ცუდად აისახება ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე და რუსეთში მცხოვრებ ქართველებზე. მე მინდა ყველას გავახსენო, რომ მილიონამდე ქართველი ცხოვრობს რუსეთში და იქ მათ არავინ ავიწროვებთ. მე თვითონ ვცხოვრობ რუსეთში, იქ მიწევს ძირითადი დროის გატარება და ჯერ არ მახსოვს, ვინმე ჩემთან მოსულიყოს და ან შეურაცხყოფა მოეყენებინოს, ან დამმუქრებოდეს იმის გამო, რომ ქართველი ვარ. არც მსმენია, რომ ქართული დროშისთვის, ან სიმბოლიკისთვის რაიმე სახის შეურაცხყოფა ვინმეს მიეყენებინოს.

რა დაგემართათ, ხალხო, ახლა ამოიღეს ენა. ფული ეგულებათ, არა?! ვიდეორგოლში ვნახე, ირაკლი წერეთელთან შემძვრალა კობა ხაბაზი და გიგა ბოკერია. წარმოიდგინეთ, რა დონეზე არის დაცემული „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი, რომ გიგა ბოკერია, რომელიც ზბიგნევ ბჟეზინსკის ხვდება, გამარგინალებული გიჟის და ავადმყოფის ირაკლი წერეთლის გვერდით გვევლინება.

ფინანსურ მოგებას ელოდება ირაკლი წერეთელი და სხვებიც, რომლებიც დღეს რუსეთის ოკუპანტობაზე ყიჟინებენ...

ძალიან სწორი ნარატივები არის გაკეთებული ქართველი პოლიტიკოსების მიერ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში კაზუალური კუთხით.

— რას გულისხმობთ?

— ჩვენ პოლიტიკური დილემის წინაშე ვართ. დიახ, გვაქვს რუსული ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე, რაც საერთაშორისო სამართლის ენაზე განიხილება, როგორც ოკუპაცია, მაგრამ, დეოკუპაციისთვის რას ვაკეთებთ?!

ზემოთ ვთქვი და გავიმეორებ: მე არ ვიყენებ ტერმინ ოკუპაციას, რადგან ეს შემდგომ ორმხრივ ურთიერთობას სასტიკად უშლის ხელს.

თუ რეალური დეოკუპაცია გვინდა, უნდა დავიწყოთ დიალოგი. რეალურად უნდა დავიწყოთ მუშაობა საგარეო კურსის გადახედვაზე, ანტიმილიტარისტულ პოლიტიკაზე და ა.შ. შიზოფრენიული პოზი-

→

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ციით, რომ რუსეთი არის ოკუპანტი, ვერაფერს მივაღწევთ.

თუ დიალოგი არ გვინდა, მაშინ გვრჩება მეორე – მილიტარისტული გზა. უნდა ვიომოთ. მაგრამ ვის აქვს დღეს ომის თავი და შესაძლებლობა საქართველოში?! არავის.

სამხედრო დაპირისპირებებით მხოლოდ პოლიტიკური ელიტა მოითბობს ხელს, გაიქცევიან საზღვარგარეთ და ქართველი ხალხი აღმოჩნდება ომის გაუმაძღარ ხახაში.

მერე განათავსებენ ბაზებს არა მხოლოდ აფხაზეთსა და ცხინვალში, არამედ ვაზიანში, გორში, ქუთაისში, სენაკში, ფოთში, ბათუმში და ა.შ.

– ამაზე არ ფიქრობენ, როცა რუსს პირდაპირ ოკუპანტს ეძახიან?

– მერწმუნეთ, ეს არის პროვოკაცია და ეს არის ანტირუსული ისტერიის და რუსოფობიის კლინიკური გამოვლინება, სხვა არაფერ შედეგზე ეს არ არის გათვლილი. ელოდებიან მეორე ფრონტის გახსნას საქართველოში, კავკასიის მხრიდან, რასაც, სავარაუდოდ, წელიწადნახევარში გახსნიან საქართველოში. ამას სჭირდება რაც შეიძლება მეტი რუსული ისტერიის დანერგვა და გაღვივება. გეგმა არის ასეთი: ახალგორიდან აპირებენ დარტყმის განხორციელებას, მეორე დარტყმა დასავლეთ საქართველოდან – გალის ტერიტორიიდან უნდა მოხდეს და ცეცხლის ალში უნდა გაეხვიოს საქართველო.

– ვისი გეგმაა ეს?

– ეს გეგმა ამერიკულ პოლიტიკურ წრეებში შემუშავდა, სწორედ ამ მიზნით დაინიშნა **თინათინ ხიდაშელი** თავდაცვის მინისტრად. წინა მინისტრი – **ჯანელიძე,** მეტ-ნაკლებად ზომიერი ადამიანი იყო, ის პროვოკაციებს ხელს არ მოაწერდა. მაგრამ ხიდაშელი, ისედაც ყველა ვხედავთ, მზად არის, რასაც ეტყვიან, ყველაფერი გააკეთოს.

წელიწად ნახევარში უნდა მოასწროს ოთხი ნატოს სამხედრო სწავლება. გაიზრდება ამერიკული სამხედრო კონტინგენტი საქართველოს ტერიტორიაზე და თუ დღესდღეობით 20-20 კაცი იღებს სწავლებაში მონაწილეობას 5000-მდე ავა კონტინგენტის რაოდენობა წლის ბოლომდე და წერტილოვანი დარტყმების განხორციელება დაიწყება ცხინვალში ახალგორის მხრიდან და მერე გალში მოხდება იგივე.

– ხელისუფლება ამას არ დასთანხმდება!

– ხელისუფლება უუფლებოა, ჩემო კარგო. ამ გადაწყვეტილებას **ვახტანგ კაპანაძე** მიიღებს და დაუდასტურებს **თინა ხიდაშელი**.

მე ბევრჯერ მითქვამს, ჩვენ ვართ დე-იურე სუვერენული სახელმწიფო – იურიდიულად ასეა დაკანონებული, მაგრამ, ფაქტობრივად, სუვერენიტეტის არმქონე ოკუპირებული სახელმწიფო.

– ოკუპირებული მაინც ახსენეთ, და ვისგან ოკუპირებული? ბარემ ესეც დააკონკრეტეთ.

– ქართული პოლიტიკური სივრცე, ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი გადაწყვეტილებების მიღებაში შეზღუდულია ამერიკული პოლიტიკური წრეების მიერ. სუვერენიტეტი მხოლოდ ფურცელზეა, მთლიანად არის მოსყიდული პოლიტიკური ელიტა, ქართველი პოლიტიკოსები გაყიდულნი არიან თავიდან ბოლომდე!

ნელ-ნელა სიტუაცია მიჰყავთ იქამდე, რომ წინასაარჩევნოდ სიტუაცია დაძაბული იყოს – ცეცხლი უნდა იყოს გახსნილი რუსეთის მიმართულებით და მერე ხელისუფლება უნდა დაკომპლექტდეს რესპუბლიკელებით, ალასანიას პარტიით და ნაციონალების ინტელექტუალური ფრთის წარმომადგენლებით – **ბოკერია, ვაშაძე, საყვარელიძე** და მისთანები. ეს უკვე გადაწყვეტილია ვაშინგტონში.

ირანდა კალანდაძე

593 56 11 18

არჩილ ჭყოიძე: ნეიტრალიტეტზე 2004-შიც იყო საუბარი, მაგრამ სააკაშვილმა მაშინ პუტინი „გადააგდო"...

გვესაუბრება „ერეკლე II-ის საზოგადოების" თავმჯდომარე არჩილ ჭყოიძე

– არჩილ, ტელეეთერში მწვავე დაპირისპირებები გაქვთ განსხვავებული შეხედულებების მქონეებთან. „ვაშლზე" ყიდით სამშობლოსო, გითხრეს.

– საქმე, იცის, რაში მდგომარეობს? პოლიტიკური თოქ-შოუები მხოლოდ სანახაობისთვის არ უნდა იმართებოდეს საქართველოში. ქვეყანაში, რომელსაც დღესდღეობით ჩამოჭრილი აქვს ტერიტორიების 20%, მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობაა. ჩვენ უნდა ვიჯდეთ სტუდიაში და ვმსჯელობდეთ, როგორ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება. ამის მაგივრად პროვოკატორებს სვამენ სტუდიაში, რომ ადამიანმა აზრის დაფიქსირება ვერ მოახერხოს. საინტერესო ისაა, რომ როგორც კი მე მიკროფონი მომცეს და საუბარი დავიწყე, მაშინვე მისცეს ჩემს გვერდით მჯდომს მიკროფონი. კაცს, რომელიც „ნაცმოძრაობის" წევრი და მათი პროვოკაციების გამხმოვანებელია.

ახალი ამბავი არ არის, რომ „ნაციონალები" მაშინაც პროვოკატორები და დესტაბილიზატორები იყვნენ, როცა ხელისუფლებაში ბრძანდებოდნენ და ახლაც იგივე არიან. რაც მათ მოაწყვეს 9 მაისს, ეს იყო სამარცხვინო. ამით რუსეთისადმი საპროტესტო განწყობა კი არ გამოხატეს, არამედ საკუთარი უკულტურობა, ისტორიის უცოდინარობა და ასაკოვანი ადამიანების შეურაცხყოფა დააფიქსირეს.

რაც შეეხება „ვაშლს". ეს ვაშლი რომ არა, ციტრუსი, ღვინო და სოფლის მეურნეობის მწირი, მაგრამ, მაინც, რუსეთის ბაზარზე გატანილი პროდუქცია რომ არ გაეყიდა გლეხს, შიმშილით მოკვდებოდა. ამით არსებობს ოჯახები საქართველოში და ესენი ამასაც ხელს უშლიან. ძლიერი გლეხი, ძლიერი სოფელი ქვეყნის კეთილდღეობის გარანტია, მაგრამ ამათ, „ნაციონალებს" და მათ მხარდამჭერებს, ამ ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობა არ სურთ. ამოჩემებული აქვთ დასავლეთი, ევროპა და ამერიკა. რითი დაეხმარა წლების განმავლობაში ევროპა და ამერიკა ქართველ გლეხს. რითი შეუმსუბუქა ეკონომიკური მდგომარეობა?!

დღეს გამოდიან ეს ლგბტ საზოგადოების წევრები, მათი დამცველები, ეს ვითომ ლიბერალები და ამბობენ: გეორგიევსკის ლენტი მოღალატურიაო. ესენი ისტორიას პატივს არ სცემენ და არც კი იციან ამ ლენტის ისტორია. ეს ლენტი სიმბოლოა იმისა, როგორ შევინარჩუნეთ აჭარა, როგორ დავაღწიეთ თავი მუსულმანურ აგრესიას.

– რუსეთი ოკუპანტი ქვეყანა არ არის?

– თუ რუსეთი ოკუპანტი ქვეყანაა, რატომ არ არის ოკუპანტი თურქეთი, რომელსაც ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილი აქვს მიტაცებული და იავარქმნილი აქვს ჩვენი კულტურულ-არქიტექტურული ძეგლები? სხვა მეზობელ ქვეყნებზე აღარ შევჩერდები.

მხოლოდ ბოლო 5 თუ 10 წლით არ ისაზღვრება ისტორია.

„ნაციონალები", ეს ვითომ პატრიოტები ,შუღლს რომ თესავენ და აღვივებენ, ჩვენისთანა ერთი მუჭა ქვეყანამ კი არა, უკრაინამ ვერ გაუძლო გაუაზრებელ პოლიტიკას და ვერც დასავლეთმა „უშველა", იმის მიუხედავად, რომ მას პირდაპირი საზღვრები აქვს ევროპის ქვეყნებთან. ევროპა მას ვერ თუ არ დაეხმარა, პირიქით, სწორედ მათივე წაქეზებით დაანგრიეს და დაშალეს სახელმწიფო თვითონ უკრაინელებმა.

აღარ გაუვათ „ნაციონალებს" საქართველოში ასეთი პროვოკაციები.

კიდევ ვამბობ, დასავლეთს დახმარება თუ უნდა ქართულ საზოგადოებას უნდა დაეხმაროს, მეწარმეს, გლეხს, ხალხს დაეხმაროს და არა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ქართველ ხალხს, ქართულ ტრადიციებს, მართლმადიდებლობას და პატრიარქს ებრძვის...

გასულ კვირა დღეს აქცია გავმართეთ და გავაპროტესტეთ ევროსასამართლოს მიერ საქართველოს რესპუბლიკისადმი დაკისრებული 32000-დოლარიანი ჯარიმა, რომელიც ჩვენს ქვეყანას დაეკისრა შარშან 17 მაისს ლგბტ-საზოგადოების აქციის ჩატარებაში ხელის შეშლის გამო. მსგავს აქციებს პერმანენტული ხასიათი ექნება. ყველანი კარგად ვხედავთ, რომ სექსუმცირესობების აღლუმები საქართველოში არავის მოსწონს. თვით სამართალდამცავებიც კი პროტესტს გამოხატავენ, რადგან ისინიც ნორმალური ადამიანები არიან, ოჯახებში არიან გაზრდილნი.

ყველამ ვნახეთ, NDI-ის კვლევების შედეგები. მოსახლობის 31% ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეა. ეს მრავლისმეტყველი ფაქტია. „ფინანსიალ ტაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიაშიც კი აღნიშნულია: „ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები აღიარებენ, რომ საქართველოში ადგილი აქვს პრორუსული ჯგუფების გაძლიერების ტენდენციას, მაგალითად, ისეთის, როგორიცაა „ევრაზიული არჩევანი – საქართველო". ეს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია ითვლის 16 000 წევრსო".

– ბოლო ხანებში გახშირდა საუბრები ნეიტრალიტეტზეც. რას ფიქრობთ საქართველოს სახელმწიფოს ნეიტრალური მოწყობის მოდელზე?

– მალე პარტიას ჩამოვაყალიბებთ და პოლიტიკური სახის დეკლარირებულ შეხედულებებს შემოგთავაზებთ. გეტყვით, რომ ჩვენ ვფიქრობთ ფინეთის ტიპის ნეიტრალიტეტზე. მოგეხსენებათ, ფინეთს აქვს ტერიტორიული დავა რუსეთთან. 1939 წელს კარელიის ნაწილი რუსეთმა მიიერთა, თუმცა ფინეთი იმთავითვე დაადგა ბრძნულ გზას – არ დაიწყო რუსეთის ლანძღვა-გინება და დღეს ნორმალურ ურთიერთობაში არიან. სერიოზული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აქვთ კარელიაში ფინელები ჭრიან ხე-ტყეს და ავეჯის სახით უბრუნებენ რუსეთს. მოსალოდნელია, რომ გავიდეს რაღაც დრო და ფინეთმა დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორია ისე, როგორც ჩვენ დავიბრუნეთ აჭარა და თბილისი... მთავარია, ერს ახსოვდეს, როგორც ილია ამბობდა, „შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მამა", ანუ ვიცოდეთ, რა იდეით და რა მიზნით ვცხოვრობთ...

ამ ეტაპზე, მიმაჩნია, რომ ნეიტრალიტეტი ყველაზე მისაღები ფორმაა ჩვენთვის.

ამაზე ლაპარაკობდა იმერეთის ეპისკოპოსი, უწმინდესი გაბრიელ ქიქოძე, ამაზე საუბრობდა ილია ჭავჭავაძე, პირველ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოსაც აქეთკენ ჰქონდა სწრაფვა.

– როგორც ვიცი, ნეიტრალიტეტის გამოცხადების სერიოზული პროცედურები უდევს წინ, მათ შორის მეზობლების თანხმობაც აუცილებელია.

– გეთანხმებით, ეს რთული პროცესი იქნება, თუმცა ჩვენ შეგვიძლია ნეიტრალიტეტის სიკეთეებში დასავლეთიც დავარწმუნოთ და რუსეთიც, რომ ყოველივე ეს მათთვის მომგებიანი იქნება.

თქვენ იცით, ნეიტრალიტეტის რამდენიმე მოდელი არსებობს. ჩვენს შემთხვევაში სრული ნეიტრალიტეტი შეიძლება ვერ შევძლოთ, მაგრამ ისე მოვაწყოთ ქვეყანა, რომ არ იყოს მუდმივად საჯილდაო ქვა რუსეთისა და დასავლეთისთვის.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ინტერესები, რათა რუსეთმაც ანგარიში გაგვიწიოს. ცალმხრივად არავინ არასდროს არაფერს გვიკეთებდა და არც აწი გაგვიკეთებს, ეს კარგად დავიმახსოვროთ.

ირანდა კალანდაძე

593 56 11 18

კობა ნარჩემაშვილი:

„ნაციონალური მოძრაობა“ დღეს არსებობს მხოლოდ როგორც „რუსთავი-2“-ის ერთ-ერთი ტელეპროექტი

რა პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგას დღეს საქართველო, გვესაუბრება შს ექსმინისტრი, პოლიტიკური პარტია „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ დამფუძნებელი კობა ნარჩემაშვილი.

- მოგეხსენებათ, ჩრდილოეთ კავკასია არის ყველაზე რთული, მოწყვლადი ადგილი ჩვენს რეგიონში. 2001-2003 წლებში, პრივატულ შეხვედრებში და საჯაროდ რუსები გვადანაშაულებდნენ, რომ ტერორისტები საქართველოს გავლით ხვდებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. საქართველო მაშინ ხდება ტერორისტების მასიურად გამტარი, როცა აქ არეულობა, საომარი ვითარებაა. ამ ეტაპზე რუსეთმა მოახერხა თავისი პრობლემის დროებითი ექსპორტი სირიაში, რადგან ძალიან ბევრი ადამიანი წავიდა ამ ქვეყანაში და ერაყში, რის გამოც იგი მომგებიან სიტუაციაშია, ფაქტობრივად მის ინტერესშიც იყო იქ მიმდინარე საომარი მოვლენები. რუსეთს რა თქმა უნდა აწყობდა ამ პრობლემური ხალხის ჩრდილოეთ კავკასიიდან გასვლა, მაგრამ ეს მაინც დროებითია, თუ საომარი ვითარება გაიშალა, იმ ხალხის, პირიქით შედინება მოხდება ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსეთს არსად აქვს ისეთი პრობლემა, როგორც ამ რეგიონში, ამიტომ ის არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ საქართველო გახდეს ჩრდილო კავკასიელი მებრძოლების ასე ვთქვათ, იოლად გამტარი, ღმერთმა ნუ ქნას, თორემ შეიძლება ერთ დღეში მოახდინოს საქართველოს ოკუპაცია, რაც სრულიად გამიზნული გადაწყვეტილება იქნება. იმიტომაცაა საშიში ნებისმიერი დესტაბილიზაცია ჩვენს ქვეყანაში, რომ ოკუპაციის საფრთხის წინაშე ვდგავართ. როცა ზოგიერთი ოპოზიციური ძალის ქმედებას ვაკვირდები, რომელსაც არაკონსტრუქციულსაც ვერ დავარქმევთ (უბრალოდ პროვოკაციულია), მე, როგორც უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტს ეჭვი მიჩნდება, რომ მათი მიზანია უმართავი პროცესების იმპულსი გახდეს ეს ამბები.

- ბატონო კობა, შეიძლება დოკუმენტურად არ არის დადასტურებული, მაგრამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს რეალურად რა მოხდა 2003 წელს, მით უმეტეს, რომ დღევანდელი ვითარება ძალიან გავს „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდს.

- ვფიქრობ, სწორედ დოკუმენტალურადაა დადგენილი ყველაფერი, მე უბრალოდ არამომგებიან სიტუაციაში ვარ იმ თვალსაზრისით, რომ მაინც მხარედ განვიხილები, მაგრამ არ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამ საკითხს ობიექტურად გამოიკვლევენ. ხელისუფლება მაშინ იცვლება, როცა მმართველი ელიტა იყოფა, თორემ უფულო ოპოზიცია, რომელიც მხოლოდ იდეებითაა აღჭურვილი, პოლიტიკაში გარღვევას ვერ ახერხებს. მმართველი ელიტის გაყოფის კლასიკური მაგალითი იყო შევარდნაძის მმართველობის პერიოდი, ივივე მოხდა ზვიად გამსახურდიას დროსაც. „ქართულ ოცნებასაც“ მაშინ დაეწყება პრობლემები, როცა კოალიციის მმართველი ელიტა გადაწყვეტს გაყოფას. დროინდელმა მმართველი ელიტის გარკვეულმა ჯგუფმა, რომელსაც

ახალგაზრდა დემოკრატები (ე.წ. რეფორმატორები – მ.ს.) უწოდეს, გადაწყვიტა ხელსუფლებაში ვადაზე ადრე მოსვლა. გაიხსენეთ 1997 წელი, რომელიც სამოქალაქო დაპირისპირებისა და ქაოსის შემდეგ ყველაზე უკეთესი წელი იყო ეკონომიკური ზრდის, სიმშვიდის, სტაბილურობის თვალსაზრისით, ამოქმედდა ეროვნული ვალუტა, კონსტიტუცია, დაიწყო სეპარატისტულ რეჟიმებთან დაახლოების პროცესი, პირველ რიგში ეკონომიკური კუთხით დაახლოება, რაც ჩემი აზრით, ყველაზე მყარი საფუძველია. როგორც კი გამოჩნდა ამის მკაფიო ნიშნები, მომდევნო წელს მმართველი ელიტა იყოფა, ჩნდება ჯგუფი ხელისუფლების შიგნითვე, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოსვლისთვის იწყებს ბრძოლას.

2000 წლიდან „რუსთავი-2“ იწყებს მასიურ შეტევას შევარდნაძის წინააღმდეგ, ჩნდება გადაცემა „60 წუთი“, რომელიც ყოველ კვირას შევარდნაძის ნათესავების კრიტიკით იყო დაკავებული. როგორ დავიჯერო, რომ 1999 წლის ოქტომბრამდე ქვეყანაში ყველაფერი კარგად იყო თუნდაც კორუფციის კუთხით, რაც არჩევნების მერე უცებ გაახსენდათ, რასაკვირველია, ეს ტაქტიკური გადაწყვეტილება იყო. ეს პროცესები პერმანენტულად გრძელდებოდა არჩევნების ჩათვლით პერიოდშიც, მაგრამ შევარდნაძემ დამაჯერებლად მოიგო არჩევნები. ამას მოყვა ნუგზარ საჯაიასა ზურაბ ჟვანიას შორის ცნობილი დაპირისპირება, საჯაიამ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ღიად დასდო ბრალი ამ გუნდს, თქვენ შევარდნაძე გამოიყენეთ, ახლა აღარ გჭირდებათ და მის მოშორებას აპირებთო, რის შემდეგაც პრაქტიკულად გაიყო მათი გზები. სწორედ მმართველი ელიტის გაყოფა იყო ამ გუნდის განზრახულობა, თორემ ისინი ხომ მინისტრები, საპარლამენტო კომიტეტებისა და ფრაქციის თავმჯდომარეები იყვნენ, მიხეილ სააკაშვილი 1995 წლიდან იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყო, ასე რომ, მთელი გუნდი იზიარებდა 2001 წლამდე იმ პასუხისმგებლობას, რაც ხელისუფლებას ჰქონდა. უბრალოდ პაარი იყო, რომ სააკაშვილი თითქოს გაემიჯნა „მოქალაქეთა კავშირს“ და კორუფციასთან მებრძოლად მოგვევლინა. სინამდვილეში ის იყო იმ მმართველი ელიტის ნაწილი, რომელსაც წმინდა პოლიტიკურ მნიშვნელობას არ ვაძლევ, რადგან ეს იყო ხალხი, რომელიც ფინანსური ნაკადებით იყო დაკავშირებული ხელისუფლებასთან. გეთანხმებით, რომ ძალიან გავს დღევანდელი ვითარება მაშინდელს, მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ საზოგადოების სოციალური მეხსიერება ჯერ კიდევ არ არის იმ დონეზე წაშლილი, რომ დაავიწყდეს ნაციონალების ცხრაწლიანი მმართველობა.

- მგონი უკვე დაწყებულია პოლიტიკური ელიტის გაყოფა, „თავისუფალი დემოკრატები“ გამოეყვნენ კოალიციას, რესპუბლიკელები შესანიშნავად ვაჭრობენ ამ თემით. რამდენად სერიოზულად მიგაჩნიათ საფრთხე იმისა, რომ 2003 წლის მოვლენები განმეორდეს?

- დღეს შიდა დაპირისპირების, მათ შორის შეიარაღებული დაპირისპირების უფრო მეტი საფრთხე არსებობს, ვიდრე 2003 წელს, რადგან იმ ნახევარი მილიონ ადამიანს კარგად ახსოვს ცხრაწლიანი რეპრესიები, რომელიც საკუთარ თავზე იწვნია და მათში აგრესია და რევანშის სურვილი ჯერ კიდევ არ გამქრალა. რითი იყო საინტერესო ბოლო პროცესები, განსაკუთრებით 21 მარტის აქცია - იმხელა პროპაგანდის მიუხედავად ნაციონალებმა 5.000 კაცზე მეტი ვერ მიიყვანეს აქციაზე. ამაში ნუ შემედავებიან, რადგან ზეპირად ვიცი სად რამდენი ადამიანი ეტევა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია დღეს არსებობს მხოლოდ როგორც „რუსთავი-2“-ის ერთ-ერთი ტელეშოუ. ამის აშკარა გამოვლინება იქნება 2016 წლის არჩევნები, როცა მათ შეიძლება ბარიერიც ვერ გადალახონ. საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ ხელოვნურია ის რეიტინგები, რასაც თვალებში გვაჩრიან, მათ შორის ჩვენი მეგობრები თავიანთი სოციალური კვლევებით, თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას“ ექნება გადამწყვეტი როლი. სწორედ მმართველი ელიტის გაყოფის, თუნდაც არაფორმალური გაყოფის საკითხია დღეს ძალზე მნიშვნელოვანი, რაც უკვე დაწყებულია.

მმართველი ელიტის გაყოფის შემთხვევაში ბუნებრივია, ელექტორატიც გაიყოფა, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ მომავალ პარლამენტში 4-5 პოლიტიკური ძალა იქნება წარმოდგენილი და ახალ მთავრობასაც ეს ძალები დააკომპლექტებენ და არა ერთი პარტია. ობიექტურად თუ განვსჯით, არცერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას, მათ შორის ნაცმოძრაობასაც, არ გააჩნია მთავრობის დამოუკიდებლად ფორმირებისისთვის საჭირო ინტელექტუალური რესურსი. გაიხსენეთ დიმიტრი შაშკინი, რომელმაც სამი უწყება „გამოიცვალა“, მაგრამ რა ექნათ, ვისაც ენდობოდნენ და ამ ვერტიკალისთვის ჭირდებოდათ, ის ყავდათ, ორი და სამი მერაბიშვილი რომ არ იყო, იმიტომ გააერთიანეს საზღვრის დაცვა, უშიშროების სამსახური და შსს. ეს ყველაფერი რეალურად მიანიშნებს ინტელექტუალურ სიმწირეზე. დღეს ვინც არ უნდა გამოიდოს თავი, საქართველოში უბრალოდ არ არსებობს იმის ინტელექტუალური რესურსი, რომ გვყავდეს 21 სრულფასოვანი, კვალიფიციური და აკადემიურად მომზადებული მინისტრი, მითუმეტეს ყავდეს ერთ პარტიას, ეს შეუძლებელია.

„ქართულ ოცნებას“ მოსვლისთანავე დაეტყო, რომ ის ვერ მოიპოვებდა იმ დონის საგარეო მხარდაჭერას, რაც გარკვეული მიზეზების გამო ჰქონდა ნაცმოძრაობას, რაც არ უნდა გაეკეთებინა ამერიკელებისთვის, მაინც არ იქნებოდა ნაციონალებივით მისაღები. სამაგიეროდ „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობის უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა ერთი პირობით, ადამიანები ელოდებოდნენ კომპენსირებას უფლებების, მატერიალური და სხვა კუთხით, რაც ვერ მიიღეს. „ქართულმა ოცნებამ“ უკიდურესად არაკეთილგონიერი პოლიტიკა განახორციელა, ფაქტობრივად იმ ტოტის ჭრა დაიწყო, რომელზეც იჯდა. მათ რამდენი დეკლარირებაც არ უნდა აკეთონ, პროდასავლურები ვართო, დასავლეთს მაინც ნაციონალები ურჩევნია, რადგან ისინი დავალებებს „პირნათლად“ ასრულებდნენ, ომის დაწყება იყო საჭირო, დაიწყებდნენ, ეს ხელისუფლება კი არ იწყებს და ამიტომაც არ აწყობთ. ვინმეს სჯერა, რომ აგვისტოს ომი სააკაშვილმა თავისი ინიციატივით დაიწყო? ეს წარმოუდგენელია, გახსოვთ ალბათ, მაშინ მაკეინის საარჩევნო კამპანია იყო და რასაკვირველია, იმ ფარგლებში მოხდა ეს ამბავი. საქმე იმაშია, რომ ხალხი ერთხელ მოითმენს, მეორედ მოითმენს, მაგრამ, როცა პირიქით შეტევაზე გადავა ძალა, რომელმაც რეპრესიები მოახდინა, ვინ განსაზღვრავს საზოგადოების როგორი რეაქცია ექნება, როცა საზოგადოება კარგად გააცნობიერებს, რომ ეს ძალა შეიძლება კიდევ დაბრუნდეს ხელისუფლებაში, რა ფორმებსა და მეთოდებს გამოიყენებს, რომ ამას წინ აღუდგეს, კაცმა არ იცის.

- ბატონო კობა, საქართველოში მიმდინარე შიდა პოლიტიკური რყევები, სახელისუფლებო გუნდის გახლეჩვა საერთაშორისო ძალების ჩარევით ხომ არ ხდება?

- რასაკვირველია, ეს ბუნებრივიცაა. პოლიტიკაში, როგორც წესი არასდროს არის არჩევანი ცუდსა და კარგს შორის, ყოველთვის ცუდსა და უარესს შორისაა, განსაკუთრებით საქართველოში, თავს ნუ მოვიტყუებთ, ჩვენც ჩართული ვართ გეოპოლიტიკურ თამაშებში. ჩვენთან პოლიტიკას იდეოლოგიური საფუძველი გამოცლილი აქვს, მაგალითად მემარცხენეობის იმ გაგებისგან, რაც ევროპაშია, ჩვენი პოლიტიკა სრულიად დაცლილია. თანამედროვე პოლიტიკაში ორი

→

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

წარმმართველი კომპონენტია, გეოსტრატეგია-გეოპოლიტიკა და სტერეოტიპი, რაც პრინციპში წამგებიანია. საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისთვისაც, რომლებიც ასე თუ ისე აქტიურად მონაწილეებენ პოლტიკაში, პირველი კომპონენტი უფრო მნიშვნელოვანია, იდეოლოგიის მაგივრად მასზე აგებენ თავიანთ მომავალს, მათთვის მთავარია, ვის დაელაპარაკებიან, ვისთან ჩაიწერენ მეტ ქულას. ქვეყნის განვითარებას ხელს უშლის სტერეოტიპის მიხედვით მოქმედებაც, რადგან ის სტერეოტიპი, რომელიც პოლიტიკაში ბოლო 25 წლის განმავლობაში დამკვიდრდა, არავითარ შემთხვევაში არ მიგიყვანს წარმატებამდე. სტერეოტიპის ყველაზე კლასიკური მაგალითია, როცა წინა ხელისუფლების დროს მოქმედმა ოპოზიციამ იდეაფიქსად გაიხადა, რომ ნაციონალური მოძრაობაც ისე უნდა გაეშვათ პოლიტიკური არენიდან, როგორც ნაციონალებმა გაუშვეს შევარდნაძე, მათ ეგონათ, რომ 2003 წლის ნოემბერს გაიმეორებდნენ, რაც ვერ შეძლეს, ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელი გახდა არჩევნებით.

სტერეოტიპი დღესაც მოქმედებს, სხვათა შორის, ,,ქართული ოცნების‘‘ მმართველ ელიტასაც ჰგონია, რომ იგივეს გაიმეორებენ, რაც 2012 წელს მოხდა, ანუ კვლავ გამოვა პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი და იგივე შედეგები დადგება, მერწმუნეთ, ასე ნამდვილად არ მოხდება.

- ბოლო ხანს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა 31% საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეა. წლის მერე ამ ხალხის რაოდენობა რომ გაორმაგდეს, მაშინ რა მოვუხერხოთ სახელმწიფოს პროდასავლურ ორიენტაციას?

- სხვათა შორის, ეს ძალიან საინტერესო მოვლენაა, საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა პირდაპირ კავშირშია იმ პროცესებთან, რომელსაც ჩვენი დასავლელი პარტნიორები ხშირ შემთხვევაში, გარკვეულწილად უპატივცემულობის გამომჟღავნებით ახორციელებენ ჩვენს მიმართ, აქ მარტო უკრაინაში განხორციელებულ დანიშვნებზე არ არის საუბარი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი საზოგადოების მიმართ ღრმა უპატივცემულობა, ევროსაბჭოს, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარ რეზოლუციები, საზოგადოების განწყობების საჯარო იგნორირება, რომელიც თვლის, რომ ახალაია კრიმინალია, ამ დროს ევროსაბჭოს ტრიბუნიდან გვეუბნებიან, იგი უდანაშაულოა და გათავისუფლებისკენ მოგვიწოდებენ, ითხოვენ გიგი უგულავას გათავისუფლებას. ეს ყველაფერი ავტომატურად ბადებს ანტიდასავლურ განწყობებს, ამიტომ არ გამიკვირდებოდა, რომ ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდენობა უფრო მეტი ყოფილიყო.

მე ვერ გეტყვით, გაიზრდება თუ არა ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდენობა, მაგრამ, როცა საზოგადოების განწყობა და ხელისუფლების კურსი ერთმანეთისგან განსხვავებულია, სწორედ მაშინ ხდება მათ შორის გაუცხოება, მაგრამ რეალურად არაფერი შეიცვლება. 2008 წლის რეფერენდუმზე ამომრჩეველთა 77%-მა ნატოსკენ სწრაფვა დააფიქსირა, შეიძლება ზუსტი მონაცემიც იყოს, მაგრამ რა შეცვალა ამან? იგივე იქნება ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებითაც, უბრალოდ შეიძლება გამოჩნდეს რომელიც უფრო მხარდაჭერილი იქნება, მაგრამ რეალურად არაფერი შეიცვლება. თუ ინსტიტუციების საკითხი არ გადაწყდა, ყველაზე დემოკრატიული ძალაც რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, მასაც იგივე პრობლემები ექნება, რაც დღეს არის. სანამ საზოგადოების წევრი არ ჩათვლის, რომ ის არის ქვეყნის მმართველი და პატრონი, როგორც ეს დასავლეთშია, იქ ხალხი კარნახობს ხელისუფლებას, ხალხის მმართველობაა, მანამდე ყველაფერი უცვლელად დარჩება. როგორც გითხარით, საქართველოში მხოლოდ მაშინ ეწყება ხელისუფლებას პრობლემები, როცა მმართველ ელიტაში ჩნდება განხეთქილება, თორემ სხვა შემთხვევაში ხალხი ჩვენთვის ვიცხოვრებთ, ხელისუფლება თავისთვის, ის იტყვის, რომ შესანიშნავად აშენებს და აკეთებს ყველაფერს, ჩვენ კი ისევ ცუდ მდგომარეობაში ვიქნებით.

ქვეყნის უსაფრთხოება რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, ეს არ არის მარტო ტანკი და ქვემეხი, ეს არის ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოებები. ცალკე თემაა გრძელვადიანი ინვესტიციების საკითხი, გრძელვადიანი, სრულფასოვანი ინვესტიციებით არ არის დატვირთული საქართველო. ინვესტორთა მხოლოდ 20% თუ არის კეთილსინდისიერი, დანარჩენები ჭარბ მოგებაზე არიან ორიენტირებული, სხვა არაფერი აინტერესებს. ჩვენთან, როგორც წესი იცით რაზეა ინვესტიცია გათვლილი – იყიდიან მიწას, რომელსაც არ ჭირდება ყარაულობა, ათი წლის მერე, როცა მისი ფასი გაზრდილია, ძვირად ყიდიან. ძალიან ბევრმა ინვესტორმა უცხო მუშახელი შემოიყვანა, თავისი ქვეყნის მოქალაქეები დაასაქმა, იგივე აზერბაიჯანელებმა და ჩინელებმა. მაშინ რა აზრი აქვს ინვესტიციას თუ ჩვენი ხალხი არ დასაქმდება. თუ ეკონომიკური პოლიტიკა და მიდგომები არ შეიცვალა, იმ დეკლარირებულ სოციალურ პოლიტიკას რეალური ნაბიჯები არ მოყვა, არ ამუშავდა მსხვილი ინდუსტრიული, გადამამუშავებელი საწარმოები და ამით არ დამაგრდა ლარი, დანარჩენი ყველაფერი არასერიოზულია, ეკონომიკური დამოუკიდებლობაა ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედი.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

სანამ ჩვენ ვზივართ და ფუფალასავით შიოლას ველოდებით...

9 მაისს წითელ მოედანზე რუსეთის ჯარებთან ერთად ყოფილ საბჭოთა ქვეყნების (დღეს უკვე დსთ-ს) საჯარისო ნაწილებიც მონაწილეობდნენ. ყველაზე საგულისხმო და თვალში საცემი მაინც ჩინეთის, ინდოეთის, სერბეთისა და მონღოლეთის საჯარისო ნაწილების გამოჩენა გახლდათ, რომლებმაც მწყობრით ჩაიარეს წითელ მოედანზე.

ახლა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ქვეყნების ჯარებმა პატივი მიაგეს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს. ბოლო წლებში განსაკუთრებით დათბა რუსეთისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ურთიერთობები. სამხედრო აღლუმზე მათი ყოფნით მსოფლიოს, განსაკუთრებით კი ნატო-ს წევრ ქვეყნებს აჩვენეს, რომ აქვთ არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამხედრო მხარდაჭერაც. რუსეთმა, ფაქტობრივად, გააფრთხილა მსოფლიო ქვეყნები ომის შემთხვევაში მარტო არ ვიქნებითო. აზიის გარდა რუსეთს შუაგულ ევროპაშიც აქვს დასაყრდენი სერბეთის სახით. ყველამ კარგად ვიცით მათი დამოკიდებულება ნატო-ს მიმართ. ჩავლით აღლუმზე საუბარს უახლოეს სამხედრო-საბრძოლო ტექნიკით დავასრულებთ, რომელიც წითელ მოედანზე გამოიყვანეს.

აღლუმიდან რამდენიმე დღეში რუსეთ-ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ერთობლივი წვრთნები დაიწყო. ორივე ქვეყნის სამხედრო გემები შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვისკენ გაემართნენ. იმ დღეებში კი თურქეთი ნატო-ს სამიტს მასპინძლობდა, ესეც ერთგვარი მინიშნება გახლდათ.

ვიზიტი ორიგინალურად დაიწყო. ჯონ კერის თავისი რუსი კოლეგა სერგეი ლავროვი თეთრი რეტრო მანქანით ,,პობედით‘‘ დახვდა (შეგახსენებთ, რომ ეს მანქანები საბჭოეთში 1945 წლის ომის შემდეგ გამოდიოდა თითქმის 15 წელი). კოლეგებს შორის საუბარი სასტუმრო ,,როდინაში‘‘ გაგრძელდა (არც ეს იყო, ალბათ, შემთხვევითი). სამთავრობო რეზიდენციაში კი ვლადიმერ პუტინმა მიიღო სტუმარი. შეხვედრა 4 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ვიზიტის შედეგებზე დაწვრილებით არ ვისაუბრებთ, მაგრამ ერთს კი აუცილებლად აღვნიშნავთ. შემაჯამებელ ბრიფინგზე ჯონ კერიმ უკრაინის პრეზიდენტს მოუწოდა, თავი შეიკავოს უპასუხისმგებლო განცხადებებისგან, ომის რიტორიკისგან. ყოველივე ეს მოულოდნელი იყო და ბევრი დააბნია კიდეც. მათ შორის, ჯონ კერის მოადგილე ვიქტორია ნულანდიც იყო. რომელიც, ფაქტობრივად, გაექცა ჟურნალისტებს.

შეხვედრაზე ლავროვმა ამერიკელ სტუმარს პომიდორი და კარტოფილი მიართვა. თან აღნიშნა, ყუბანურიაო. საბოლოოდ კი მსოფლიო პრესამ კერის ვიზიტი რუსული დიპლომატიის გამარჯვებად აღიარა.

საქართველოს იფიციალური პირები, როგორც ვიცით, მოსკოვში არ ჩასულან. სამაგიეროდ, რუსეთის დედაქალაქში გამარჯვების დღის აღსანიშნავად იყვნენ აფხაზეთის და ,,სამხრეთ ოსეთის‘‘ ,,პრეზიდენტები‘‘. ამით რა ხეირი ნახა ჩვენმა ქვეყანემ, მოიგო რამე? ვფიქრობთ, არც არაფერი, პირიქით. იმის მაგივრად, რომ დაკარგული ტერიტორიების პატრონები ვეძებდეთ გამოსავალს, ვითომც არც არაფერია, დუმილს ვამჯობინებთ, კვლავ ვიღაცის იმედად ვართ. კარგია ქართული და უცხო ქვეყნების ჯარების ერთობლივი წვრთნები, მაგრამ შედეგი? შედეგი ნული!

დღეს საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე ,,სამხრეთ ოსეთი‘‘ რომ არსებობს, კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი რომ დაერქვა, სწორედ შინაური მტრების დამსახურებაა, ვინც მოამზადა ის დასაწვავი კანონი და ვინც პარლამენტში მხარი დაუჭირა მის დაკანონებას. გაუქმებული ავტონომიური ოლქის ნაცვლად რესპუბლიკა მივიღეთ! რადგან ჩვენს შინაურ მტრებზე ვსაუბრობთ, ერთსაც ვიტყვით. რუსეთის ერთ-ერთ არხზე წამყვანმა ირონიულად თქვა: ,,...ასე მგონია, პოროშენკო და სააკაშვილი ჩვენი გაგზავნილებია. თავიანთ ქვეყნებში მათ რუსეთის საქმე გააკეთეს‘‘-ო.

სამწუხაროდ, ახლაც ჯიუტად ვცდილობთ გავარღვიოთ ყრუ კედელი. ნატო-ში გაწევრიანება იდეა-ფიქსად გვაქვს გადაქცეული. ერთი კვირის წინ თურქეთში გამართულ სამიტზე კვლავ თავაზიანი უარი გვითხრეს. სამიტის დაწყებამდე ნატო-ს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა პირდაპირ განაცხადა, რომ ალიანსის სამხედრო მხარდაჭერის იმედი არაწევრ ქვეყნებს ნუ გექნებათო. თუმცა ეს ისედაც უკვე კარგად ვიცით 2008 წელს საქართველოს და შარშან უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ. მსგავს პასუხს, ალბათ, ევროკავშირის სამიტზეც მივიღებთ.

ნატო-ს ახლანდელ სამიტზე თურქეთი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელ;მაც მხარი ორგანიზაციის გაფართოებას დაუჭირა. მათი მიზნები გასაგებია, რომ შორს მიმავალი და მზაკვრულია. ჩვენი ახლო მეზობლები სომხეთი და აზერბაიჯანი არ ეთანხმდებიან საქართველოს ნატო-ში შესაძლო გაერთიანებას. სომხეთი ევრაზიულ კავშირშია, აზერბაიჯანი ნეიტრალურ პოზიციას იკავებს. ამიტომაც სომხეთის მთავრობის მეთაურმა ღიად გვითხრა, რომ ისინი შეშფოთებულები არიან ჩვენი ნატოსკენ სწრაფვის გამო.

...სოჭში, ჯონ კერისთან შეხვედრის შემდეგ, ვლადიმერ პუტინი აფხაზეთის ,,პრეზიდენტს‘‘ შეხვდა. ჩვენ კი ვსხედვართ და ფუფალასავით შიოლას ველოდებით.

გია ბურდული
551 71 27 07

გიგლა ბარამიძე:

ამერიკის ელჩი საქართველოში არის ჩვენი ქვეყნის გენერალ-გუბერნატორი — „ნამესტნიკი“

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე ვესაუბრებით პარტია გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერსა და პოლიტიკურ მდივანს, ბატონ გიგლა ბარამიძეს.

— დავიწყოთ იმით, რომ ტრანსნაციონალური, სექტანტური ანტიეროვნული ქმედებები და ევროპული ცივილიზაცია, ერთი და იგივე არ გახლავთ.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას დღეს პროდასავლელების სახელით მოადგნენ ის ძალები, რომელნიც საქართველოში ხედავენ მხოლოდ ტერიტორიას, მეტი არაფერი არ აინტერესებთ, ქართველი ხალხის გამოყენება კი სურთ საკუთარი მიზნებისთვის, ეს არის და ეს. მათ ბევრი მიზნები აქვთ. მათთვის უპირველესი არის გამდიდრება, გამდიდრება და გამდიდრება. რატომ უპირისპირდებიან რუსეთს? იმიტომ, რომ მართლმადიდებლური ფასეულობები მათთვის აბსოლუტურად მიუღებელია, და მეორე ის გახლავთ, რომ მგელივით უკაწკაწებთ კბილები, როცა იქ არსებულ სიმდიდრეს, წიაღისეულს ხედავენ. ამიტომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვის რა აინტერესებს საქართველოში, ხელი არ უნდა შევუწყოთ იმას, რომ პროდასავლურობის მიმხრეობის სახელით დავეხმაროთ იმ ძალებს, რომელთაც შეუძლიათ საქართველოში გაანადგურონ ყოველივე ეროვნული — ეს დაუშვებელია.

NDI-ს ან IRI-ს კვლევებს შეხედეთ, რითი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან? არაფრით, რაც ალხანა, ის ჩალხანაა — **ერთი მიზანი ამოძრავებთ მხოლოდ, სურთ გაათეთრონ ანტიეროვნული ნაციონალური მოძრაობა,** მეოთხე ადგილზე გადაწიეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა — განა ეს ასეა? ვინმეს სჯერა ამის? ცხადია, არა. სურთ, რომ ჩაქრეს ქართველ ერში ეროვნული თვითმყოფადობა, რომ იოლად მართონ ქართველი ერი — ეს მათი მიზანია. დასავლეთმა ვერ გაიგო, რომ აღმოსავლეთ ევროპისა თუ აფრიკის ქვეყნებს ყველას თავთავისი გამორჩეული ტრადიციები აქვთ და შეუძლებელია, ყველგან მოახდინონ ერთი და იგივე მეთოდით ფერადი რევოლუციები. დასავლეთმა მოსპო ამ ქვეყნებში სახელმწიფო ინსტიტუტები და პირიქით, ხელი შეუწყვეს ვაჰაბიზმს, ტერორიზმს და მკვლელების მიერ ისლამის სახელით სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობას, რომელიც მთელ მსოფლიოს წალეკვით ემუქრება — აი, ეს გახლავთ ის რეალური და სავალალო შედეგი, რომელიც მივიღეთ.

— თქვენ პარტიას პრორუსულ ძალად აღიქვამენ დღეს ხელისუფლებაში მყოფი პარტიები...

— ჩვენ არ ვართ არც პრორუსული ძალა და არც პროევროპული, ვართ ქართველები, თუმცა ვამბობთ, რომ აუცილებელია რუსეთთან სერიოზული დიალოგი, მიუხედავად იმისა, რომ 20 პროცენტი მიწისა დავკარგეთ იმ უნიათო და მზაკვრული გეგმის გამო, რომელიც ნაციონალებს ჰქონდათ და განახორციელეს. რუსეთს ელაპარაკება დღეს მთელი მსოფლიო და თუ ურთიერთობას არ აღვადგენთ, როგორ დავიბრუნებთ ტერიტორიებს? პოლიტიკა არის კომპრომისების ხელოვნება, საუბარი და ურთიერთობები აუცილებელია ამ ქვეყანასთან. გერმანიის ან საფრანგეთის ლიდერები რომ ჩადიან პუტინთან, ეს სიყვარულით კი არ არის გამოწვეული, არამედ თავიანთი ქვეყნების მომავალზე ფიქრობენ. 9 მაისს არ ჩავალთ მოსკოვში და იზოლაციაში მოვაქცევთ მას — ამბობდნენ ზოგიერთები, მაგრამ სინამდვილეში რა მოხდა? მილიარდ ნახევარი მოსახლეობის მქონე ჩინეთი იყო იქ ჩასული და ინდოეთი, რითაც დასავლეთს გული გაუსკდა. უფრო მეტიც, ამ ქვეყნების ჯარისკაცებმა მათთან ერთად გაიარეს მარშირება, ეს მანიშნებელია იმისა, რომ მათ სერიოზული პარტნიორები ჰყავთ. ამიტომაც მოხდა ის, რომ 9 მაისის მერე იქ ჩავიდა მერკელი, ამერიკის სახელმწიფო მდივანი და ა.შ. ლიდერები. სხვათა შორის, ჩეხეთის პრეზიდენტი ზემანი არის ერთ-ერთი პირველი პოლიტიკოსი, რომელმაც თქვა, რომ უკრაინაში არის ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი და ასევე აღიარა, რომ წინააღმდეგია უკრაინის ნატოში შესვლის. რუსეთის მიმართ კი განაცხადა, რომ თუ ოდნავ მაინც შეცვლის ის თავის კურსს, მომხრე ვართ არა მხოლოდ სანქციები მოეხსნას მას, არამედ ევროკავშირის წევრი გახდესო. ასეთია ამ პრეზიდენტის აზრი, საიდანაც ჩანს, თუ რამდენად საჭირო პარტნიორია ეს ქვეყანა დასავლეთისათვის.

— ამერიკის ელჩის შიდა პოლიტიკურ მოვლენებში ჩარევაზე რას იტყვით?

— მე ქვეყნის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი ვიყავი და ძალიან კარგად ვიცი ამ რანგის პოლიტიკოსის კომპეტენცია, დღევანდელი **ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი მარტო ელჩი არ გახლავთ, ის არის „ნამესტნიკი“, გენერალ-გუბერნატორი საქართველოსი**, ყველაფერს აჯამებს, დავალებებს იძლევა, კადრების საკითხს წყვეტს, რაღა დარჩა?

გიორგი მარგველაშვილი ევროსაბჭოში ქანდარაზე დასვეს, გვერდით ძებნილი სააკაშვილი მიუსვეს და ხმა ვერ ამოიღო, ასეთმა პიროვნებამ ქვეყანას რა უნდა გაუკეთოს?

— ბოლო კვლევებით ენდიაიმ, თქვენი პარტია საერთოდ არ მოიხსენია რეიტინგში, რეატომ?

— იმიტომ, რომ მათ არ აწყობთ დამოუკიდებელი პოლიტიკური სიძლიერის მქონე პარტია, ვერ დაგვიმონეს ისე, როგორც სხვები, რომელთაც მართავენ. იმ ხუთ პროცენტში, რომელიც მანამდე მოგვანიჭეს, ჩაანაცვლებენ სხვა მართულ პარტიას, რომლის წინ წამოწევაც სურთ, თუმცა, ნინო ბურჯანაძეზე უფრო ქარიზმატული და გამოცდილი ლიდერი მათ ფაქტობრივად არ ჰყავთ. ქალბატონი ნინო თავის დროზე როცა შეხვდა პუტინს, ძალიან აღელდნენ ზოგიერთი პოლიტიკოსები, თუმცა, ის გამორჩათ, რომ **სწორედ ამ შეხვედრის მერე თქვა რუსეთის პრეზიდენტმა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის გადაუჭრელი პრობლემები არ არსებობსო,** არ იყო ეს სერიოზული წინადადება შემდგომი დიალოგის დასაწყებად? რატომ არ გამოვიყენეთ ეს შანსი? იმასაც დავძენ, რომ იგივე პუტინი 2008 წლამდე ყოველთვის ამბობდა,რომ ის მხარს უჭერდა **მცირე ერებს, ოსებსა თუ აფხაზებს, მხოლოდ ერთიანი საქართველოს ფარგლებში — დღეს ეს რატომ დაივიწყეს?** ეს იყო 2008 წლამდე, ვიდრე სააკაშვილმა ამ საერთაშორისო მაწანწალამ, ამ ქვეყნის გაპონმა სისულელე არ ჩაიდინა და პროვოკაციებს არ წამოეგო. მერე მოხდა ის, რაც მოხდა. ძალიან ცუდი მოხდა, მაგრამ ხომ უნდა ვეძებოთ გამოსავალი?

— ევრაზიის კავშირზე მსურს გკითხოთ, მოსახლეობის 31 პროცენტი მომხრეა ამ კავშირის, იქნება მეტიც, ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა შორეულია, რა გამოსავალს ხედავთ ამ შემთხვევაში?

— ევროკავშირში გაწევრიანება, ცხადია, მისაღებია ხალხისთვისაც და ქვეყნისთვისაც, თუმცა მაინც შორეული პერსპექტივაა, მაგრამ გავითვალისწინოთ ის, **რომ ჩვენ გვინდა ევროპული ღირებულებები, მისი ფასეულობები და არა კონჩიტას მსგავსი გადაგვარებული ხალხის გაფეტიშება**. ზოგიერთს ერთსქესიანთა ქორწინებები ჰგონია ევროპა და მეტი არაფერი. **სხვათა შორის თომას მანი ჯერ კიდევ მაშინ ამბობდა, რომ ევროპა არის ველური ინსტინქტების ზეობაო, ხოლო პოლ ვალერი ფერდა, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ევროპას მართავს რომელიღაც ამერიკული კომისიაო** — წარმოიდგინეთ, როდის ითქვა ეს, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, მას შემდეგ რამდენი დრო გავიდა, როგორ დაეცა ევროპა — დღეს თვალნათელია. **ის ევროპა არ იყო, რომელმაც 7 ნოემბერი ვერ დაინახა, ან 26 მაისი? რატომ ხმა არ ამოიღეს, არ დაირღვა ადამიანთა უფლებები? 9 წლის განმავლობაში პოლიტდევნილებს რატომ ვერ ხედავდნენ?** მეც ვიყავი მათ შორის ასეთი, მათი მხარდაჭერა არ მიგრძვნია, რატომ? ახლა გაახსენდათ პოლიტდევნილები საკაშვილი რომ თავისთან წაიყვანეს? აბა ჰკითხეთ ხალხს, ასეთი ევროპა მათ არ უნდათ?.. დღეს სიტუაცია ისე მიდის, რომ თუ ჰიპერინფლაცია მოხდება და პოლიტიკური კრიზისი დაიწყება, 31 პროცენტი კი არა, მოსახლეობის 90 პროცენტი მოითხოვს ევრაზიის კავშირში შესვლას, დღევანდელი ხელისუფლება არის მირაჟი, მოსახლეობის 45 პროცენტმა არ იცის, ვის მისცეს ხმა, ხალხი გაურკვევლობაშია, როდემდე? ხდება ხალხის ზომბირება NDI-ის კვლევებზე დაყრდნობით, კვლევების სიზუსტე ამ ორგანიზაციას არ აინტერესებს, ისინი არიან საშოვარზე ჩამოსული სექტანტები, ამით კი ხალხი შეურაცხყოფილია.

ასეთ სიტუაციაში გამოსავალი ერთადერთია, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

ეთერ კასრელიშვილი
599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

„ინტელექტუალი“ ვანო მერაბიშვილი „პროვინციელ“ ბიძინა ივანიშვილს განათლებას უწუნებს!

ვანოსაგან, რომ ყველაფერია მოსალოდნელი და მისგან კაცს არაფერი უნდა გაგიკვირდეს, ეს საყოველთაოდ ცნობილია და ამაში ეჭვი აღარავის ეპარება. მაგრამ ის რაც მან მიმდინარე წლის 17 აპრილს უგულავას სასამართლო პროცესზე განაცხადა, ყოველგვარ ზღვარს ცილდება. თავის ვრცელ "რეჩში" მსჯავრდებულმა ვანო მერაბიშ-

ვილმა, ბიძინა ივანიშვილს, არც მეტი არც ნაკლები, "პროვინციელი, გაუნათლებელი და ტლუ" უწოდა. მართლა ღმერთი რატომ არ გაიცინებს, ეს მართლა პროვინციის ჭაობში ჩაფლული და სოფელ უდეს არგაცილებული, გაუნათლებელი, ტლუ და ენაბლუ ვანიჩკა ბიძინას, რომ ასეთი სიტყვებით შეამკობს. ბიჭო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კაცი 10 თუ 15 წელი პარიზში ცხოვრობდა. ამ ქალაქში სულ რომ არაფერი გაეკეთებინა და ყოველდღე უსაქმურად ეხეტიალა ქუჩებში, შენზე, 100-ჯერ უკეთეს განათლებას მაინც მიიღებდა. თუ სოფელი ჭორვილა გაქვს მხედველობაში, ჩემო ვანო, ამ სოფელმა იმდენი ცნობილი პიროვნება მისცა ქვეყანას, შენს უდეს არ დაესიზმრება. როგორც შენს "განათლებაზე" ლაპარაკობენ, სანამ სკოლას დაამთავრებდი, თურმე რამდენჯერმე ყოფილხარ ნამყოფი ადიგენში. რაც შეეხება სამცხე ჯავახეთის კულტურულ ცენტრს, ახალციხეს, იქაც სულ ორჯერაა ნამყოფი, და ისიც კომკავშირულ ღონისძიებაზეო, დაბეჯითებით ამტკიცებენ შენი „ბიბლიოგრაფები“. ყველა-ყველა და შენ ენა როგორ გიტრიალდება სხვის განათლებაზე ილაპარაკო. კაცს რომელსაც ტექნიკური უნივერსიტეტის დიპლომი უკვე ჯიბეში გედო, განცხადების დაწერა არ იცოდი. ამ სახელოვანი უმაღლესი სასწავლებლის მაშინდელი რექტორის, ბ-ნ რამაზ ხუროძის სახელზე დაწერილ შენს სამხაზიან განცხადებაში, იმდენი შეცდომაა რამდენი სიტყვაცაა. აი ზუსტად მაშინ დაიწყო ამ სანაქებო სასწავლო დაწესებულების დისკრედიტაცია და გაუფასურება, შენნაირ უვიც კურსდამთავრებულებს დიპლომებს, რომ ურიგებდნენ.

ისე, ბ-ნო ბიძინა, ამ მოუსავლეთში წასული ნაციონალებისა და მათ დამქაშ ნარჩენებთან, კოჰაბიტაციისა და მათი გაცოცხლებისათვის მათგან მეტის ღირსი ხართ. იმის მაგვრად, რომ სიკვდილამდე თქვენი მადლობლები იყვნენ, მათი პოლიტიკურად გაცოცხლებისა და სულის ჩაბერვისათვის, ეს სალახანები აქეთ გიტევენ და გლანძღავენ. ხომ გაგიგონიათ, "ძაღლის კუდს სამარე გაასწორებსო". ამიტომ, ამ პოლიტიკურ სამარეში ჩასვენებული "ნაციონალები" იქედან არ უნდა ამოგეყვანა და საკითხიც მოგვარებული იქნებოდა. მათთან, დემოკრატობანას თამაში და მაღალ მატერიებზე საუბარი წყლის ნაყვაა. მათ, არა ჰუმანური და დემოკრატიული გზით, არამედ თავიანთი მეთოდებით უნდა ებრძოლო, მაშინ ამდენს ველარ გაბედავდნენ და სადღაც კუთხეში იქნებოდნენ მიყუჟული. ქვეყანაში აღარც ამდენი საბოტაჟი იქნებოდა, ამდენი განაწყენებულიც არ გეყოლებოდა და ქვეყნის ეკონომიკაც უკეთეს მდომარეობაში აღმოჩნდებოდა.

ბ-ნო ბიძინა, თქვენ სიცოცხლისა და საკუთარი ოჯახის საფრთხეში ჩაგდებასაც არ შეუშინდით და პოლიტიკაში მოხვედით, რათა სააკაშვილის რეჟიმისაგან გეხსნათ საქართველო და იხსენით კიდეც. ამ თავდადებასა და უდიდეს ამაგს, მადლიერი ქართველი ხალხი არასოდეს დაგივიწყებს. აქედან გამომდინარე, ხალხმაც არანაკლები რისკის ფასად, ასევე ერთსულოვნად დაგიჭირათ მხარი. უკვე დროა ამ მხარდაჭერის სანაცვლოდ ქართველ ხალხსაც უფრო მეტად დაუჭიროს მხარი ხელისუფლებამ.

არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ამ ეტაპზე, პირველ რიგში ქვეყანაში სერიოზული არჩევანია გასაკეთებელი, ოღონდ არჩევანი უნდა იყოს სწორი და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. და არა ისე, თუ რას იტყვის მინაშვილი, კანდელაკი, მალაშხია, ჯაფარიძე, ფანჯიკიძე, ალასანია, ჩიხრაძე და მათთან ერთად, ეს დაპროგრამირებული სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებელი და თავიანთი ქვეყნის მოღალატე არასამთავრობები. ეკა გიგაურმა, რუსთავი-2-ის ეკრანზე აქციზურ მარკასავით რომ არის მიწებებული, საკუთარ ქვეყანას საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივლა, მთავრობამ კონსტიტუცია დაარღვია და უცხოელებისათვის მიწის მიყიდვაზე მორატორიუმი დააწესაო, მაგას რა უნდა ელაპარაკო. სააკაშვილის სასამართლომაც არ დააყოვნა და სარჩელი უმალ დაუკმაყოფილა. დავიჯერო ახლა გიგაურს საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა და ქვეყნის ბედი აწუხებს?

ისედაც მცირემიწიანი ქვეყანა ვართ და ამ გიგაურებმა ჩვენი მიწა უცხოელებზე ტყუილად უნდა გაანიავონ? ახლახან, ახლად დანიშნულ პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, ბ-ნ მეჭიაურის ინტერვიუ მოვისმინე ტელევიზიით და უნდა ვაღიარო, ასეთი საღად მოაზროვნე და თავისი ქვეყნის ინტერესების დამცველი პარლამენტარი მე მგონი ბევრი არ გვყავს. კაცმა პირდაპირ თქვა, რომ თუ ასე გაგრძელდა საკაშვილის ოცნება ახდება და საქართველოს სინგაპურიზაცია ელისო. „კორესპოდენტმა, გახარებულმა იმით, რომ ბ-ნი მეჭიაური სიტყვაში გამოიჭირა, პირდაპირ ახალა: სინგაპურში ისე მაღალია ცხოვრების დონე, ჩვენთანაც თუ ასე იქნება რაა ამაში ცუდიო? ბბ-ნმა მეჭიაურმა მშვიდად მიუგო, რომ ცხოვრების დონე კია მაღალი, მაგრამ არა სინგაპურელებისთვისო.

ქ-ბნ ფიქრია ჩიხრაძის ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს თუ დავუჯერებთ, თურმე ჩვენი წინაპრების აუხდენელი ოცნება ყოფილა ევროპულ სივრცეში ერთ ოჯახად გაერთიანება. კი ბატონო, მართალია იყო ამის მცდელობა, მაგრამ აქედან რაც გამოვიდა ყველამ კარგად ვიცით.

რაც შეეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დაწყებას, ეს მაშინ მოხდა, როცა ჩვენი "ისტორიული მეგობრების" სპარსეთისა და თურქელჯუკების შემოსევებითა და დარბევებით დაუძლურებული, ერთ დროს ძლიერი 8 მილიონიანი საქართველო, ნახევარ მილიონზე იყო დასული. ქვეყანა ფაქტიურად სულს ღაფავდა და გადაშენების პირზე იყო მისული. რუსეთთან შეერთების შემდეგ,

თუ ილიას დავესესხებით, ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგურა. დაიწყო აღმშენებლობა, მოსახლეობა გამრავლდა.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, აღმაშენებლის, თამარ მეფის და გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ, საქართველოს ისტორიაში XIX საუკუნე იყო რენესანსის ხანა. განვითარდა კულტურა, გასაქანი მიეცა მწერლობას, აშენდა და გალამაზდა თბილისი. რაც მთავარია ერი გამრავლდა. კი ბატონო, რაშიც იმსახურებს ვაკრიტიკოთ და ვლანძღოთ რუსეთი, მაგრამ კარგი რაც გაგვიკეთა ისიც ავღნიშნოთ. უ"უმადურობა ეს ყველაზე დიდი ნაკლია" ამბობენ ინგლისელები. ასე, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ორმაგი სტანდარტებითა და შერჩევითი სამართლით მოღვაწეობას, წარმატება და დიდება ჯერჯერობით არავისათვის მოუტანია. ამიტომაა, რომ ქართველმა ხალხმა, ასეთი პოლიტიკის გატარებისათვის წირვა გამოუყვანა სააკაშვილს, ხოლო მთელი სანაცეთი პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრა.

P.S. წერილი დამთავრებული მქონდა, როცა რუსთავი 2–ის ეეეთერიდან ბ-ნი მინაშვილის დემაგოგიური და ცილისმწამებლური განცხადება, უკვე მერამდენჯერ მოვისმინე. რა დონის ნამუსგარეცხილი უნდა იყო კაცი, ივანიშვილის მიმართ ასეთი რამ რომ განაცხადო: თურმე ბ-ნ ივანიშვილს პირველ რიგში სამართლიანობა თავისთვის აღუდგენია, სახელმწიფო ხაზინიდან სააკაშვილის მიერ წართმეული 80 მილიონი დაუბრუნებია და ჯიბეში ჩაუდვია. აივანიშვილიც ადამიანია და შეცდომები მასაც მოსდის, განსაკუთრებით კადრების შერჩევასა და ადამიანების ცნობაში, მაგრამ კაცმა, რომელმაც მარტო ქველმოქმედებაში საქართველოში ორი მილიარდი დახარჯა, დააბრალო სახელმწიფო ხაზინიდან აღებული ფული ჯიბეში ჩაიდოო, უკანასკნელი გარეწარი უნდა იყო. არა და ეს ფული მისი იყო და სრულიად კანონზომიერია, ასეც რომ მოქცეულიყო. მიუხედავად ამისა, ის ამჯერადაც ღირსეულად მოიქცა, ამ 80 მილიონს კიდევ 15 მილიონი დაამატა, და ეს თანხა სტიქიით დაზარალებულ კახეთის მოსახლეობას დაურიგა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, უმადურობა და სიკეთის არდანახვა ძალიან დიდი ნაკლია, რომელიც სასიკეთოდ ჯერჯერობით არავის წასდგომია, და არც მომავალში წაადგება ვინმეს.

ომარ გოცაძე
555 33 55 36

ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №8-15

კაციჭამია გიგანტები

მეცნიერებას ის ვერ გაურკვევია, ვინ იყვნენ, საიდან და რატომ მოვიდნენ დედამიწაზე პირველი გიგანტები (უფრო მომცროები, 3-7 მეტრი, ან მეტი სიმაღლისა, ჩავთვალოთ, რომ ადამიანებთან შეწყვილების შედეგად იყვნენ დაპატარავებულები) და თავსატეხად დაერთო, რომ გიგანტების ცალკე კატეგორიაც ყოფილა, გიგანტი წითური კაციჭამიები.

ამერიკელ ინდიეთა ტომმა, პაიუტებმა, გადმოცემით იციან, რომ შორეულ წარსულში მათი წინაპრები გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებდნენ მტაცებელ, მოხტუნავე თეთრ-წითურ გიგანტებთან, რომლებიც ადამიანებს იტაცებდნენ და ჭამდნენ. მათი სიმაღლე 12 ფუტს (4,8 მეტრი) ან მეტსაც აღწევდა და როგორც ჩანს, ისინი იქ შემდგომში კი არ გაჩდნენ, უკვე ცხოვრობდნენ. ისინი გიგანტებს „სი-ტე-კა-ს“ უწოდებდნენ. მათი თქმით, ყველა ტომი გაერთიანდა რათა მოესპოთ წითური გიგანტები. ერთხელ, როდესაც ჯერ კიდევ შემორჩენილ წითურებზე ნადირობდნენ, გაქცეულმა გიგანტებმა გამოქვაბულს შეაფარეს თავი, რომელსაც გარედან ცეცხლი შეუნთეს და აიძულებდნენ დაეტოვებინათ გამოქვაბული. ვინც გამოვიდა – დახოცეს, შიგნით დარჩენილები კი გაიგუდნენ. შემდგომ მიწისძვრამ ჩახერგა გამოქვაბული.

თორმეტ ფუტამდე სიმაღლის წითური გიგანტების არსებობას მართლაც ადასტურებს პალეონტოლოგიური მატიანეები და გათხრების შედეგად აღმოჩენილი უამრავი არტეფაქტი.

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის წითურ გიგანტებზე, რომლებიც გამოთვლის მიხედვით მამონტების ამოწყვეტამდე დიდი ხნით ადრე შიშის ზარს სცემდნენ ადამიანებს, ბევრი არაფერია გამოკვლეული. ნამარხების მიხედვით, მათ ეცვათ საშუალო ზომის პერანგები და შარვლები, რომლებიც მუხლებთან ფართოვდებოდა. ქურქი ცხვრისას წააგავს, მაგრამ თანამედროვეობისთვის უცხო ცხოველს ეკუთვნის. ანუ „წითურები“, როგორც სხვა გიგანტები, სხვა რასა იყო თუ არა, გაურკვეველია.

წლების წინ ჩრდილოეთ ჩინეთშიც აღმოაჩინეს არქეოლოგიური გათხრების დროს 22 უცნაური გიგანტის სამარხი. ყველა მათგანი თითქმის 12 ფუტი სიმაღლის იყო და გამხმარ თავზე შერჩენილი ჰქონდათ წითური თმები.

წითური გიგანტი ქალი ჩინეთში

მეცნიერთა ერთი ჯგუფი დაბეჯითებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ 1890 წელს ეგვიპტეში, ქვის სარკოფაგში, თიხის „კუბოში“ ორმეტრიანი ქალის მუმია ესვენა მცირეწლოვან გოგონასთან ერთად და მისი აღნაგობა არ ჰგავდა ადამიანისას. ხაზი გასმულია იმაზე, რომ დედაშვილი წითურთმიანები იყვნენ, ადრინდელი დიაოხის მოსახლეობა კი სწორედ მოწითურო ქერათმიანი იყო. და რას ნიშნავს ეს განაცხადი, რომ დიაოხელები დედამიწელები არ იყვნენ?

უცნაურია – თუ მხოლოდ თმის ფერით მოხდება „რაღაცების“ დასკვნა, მაშინ ისღა დარჩება გამოსკვლევი, დიოხების წინაპრები და წითური კაციჭამიები ახლო ნათესავები ხომ არ იყვნენ. სადაც თეთრი ზორბა კოლხები იყვნენ სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, იქაც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე წითური ზორბა კაციჭამია დიაოხები ყოფილიყვნენ, რა გასაკვირია, რამ გაყო დიაოხი და კოლხა – ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით...

მეგალითის ხანის ნაგებობები

საქართველოში მეგალითურ (მეგა – დიდი, ლითი – ქვა) ნაგებობებს დევების ნასახლარებად, ქვაკაცებად მოიხსენიებენ. ისინი მრავლადაა წარმოდგენილი საქართველოში, განსაკუთრებით აფხაზეთში და მათი ასაკი ხშირ შემთხვევაში ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებია. ყველაზე საინტერესოა ჯავახეთში, აბულის მთაზე მდგარი მეგალითი, ე.წ აბულის ციკლოპური ციხე ზღვის დონიდან 2670 მეტრზე. ის უკაცრიელ ადგილზე, ჩამქრალ ვულკანზეა აღმართული. ეს არის ყოველგვარი დუღაბის გარეშე ნაშენი ქვის ქალაქი სახლებით, ქუჩებით, მოედნებით, სათავსოებით, ციტადელით, რაც მთლიანობაში ნიჭიერად დაგეგმილი საფორტიფიკაციო ნაგებობაა.

ტიტიკაკას ტბასტან გიგანტთა ქალაქის კიბე

აბულის ციხე

ციხე გრანდიოზული და რთული დაგეგმარებისაა. მთის სამხრეთი კალთა მორენებითაა დაფარული. ამით უსაგებლიათ, ლოდების მცირე გადაადგილებით მიუღიათ ისეთი დარანსამალავები, რომლებსაც ვიწრო და დაბალი შესაძვრომი აქვს, საკმარისია ერთი ლოდის აფარება და ყველაფერი სეუმჩნეველია, არაფრით გამოირჩევა ქვის საერთო მასისგან. სიმაგრეს წყაროც გადმოუდის, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა ციხის თავდაცვისუნარიანობას.

მსგავსი მეგალითები მრავლადაა საქართველოში, სადაც თითოეული ლოდი 2-3 ტონაზე მეტი სიმძიმისაა, რაც კითხვას ბადებს: ვისი დახმარებით, ვისი მიბაძვით, ვის წინააღმდეგ, ან რა ტექნიკის დახმარებით აგებდა ადამიანი, მაშინდელი დიაოხელი ამ ნაგებობებს, როცა მხოლოდ ბრინჯაოს ცული და მწირი ცოდნა ჰქონდა?

სამხრეთ ამერიკაში, ტიტიკაკას ტბის მახლობლად, ზღვის დონიდან 4 ათასამდე მეტრის სიმაღლეზე დღესაც დგას მეგალითი „გიგანტთა ქალაქი“. საინტერესო და საკვირველია, რომ არქეოლოგებმა ამ სიმაღლეზე ზღვის კვალს მიაგნეს და ქალაქი საპორტო ნაგებობას წარმოადგენს, მაგრამ ამ შემთხვევაში იმით არის საინტერესო, რომ კლდეში ნაკვეთია ორი სავალი საფეხური, იმ ხანად იქ მცხოვრები (ალბათ, სტუმრებისთვისაც) გიგანტი და ტანმორჩილი „მოქალაქეებისთვის“.

შუმერული ფილა სიცოცხლის ხით და ორი ჩასასვლელით

ბუნებრივია, გაჩნდა მოსაზრება, რომ პირამიდები იქნება თუ სტოუნჰენჯი, ყველა დიდი ნაგებობა ასეთი გიგანტური ადამიანების რასის აშენებულია, რომლებიც უდიდეს ფიზიკურ და სულიერ ძალას ფლობდნენ. ა დავუშვათ, ეს ყველაფერი, ზემოთქმული, მართლაც ასეა, აქედან გამომდინარე უფრო მეტი კითხვა ჩნდება, ვთქვათ: – აღდგომის კუნძულის ქვის გიგანტური ქანდაკებები კოლხური (მეგრული) თავსაბურავებით, პირდაპირი ასლი ხომ არ არის ზომებში კუნძულის პირველი მეფეების? ან, ეს ყველაფერი, აქამდე ზემოთთქმული, პირდაპირ კოლხეთს რომ უკავშირდება, რა ვუყოთ, მსოფლიო მეცნიერების მთელი კვლევები ზღაპრად ჩავთვალოთ?

სხვადასხმა მიმართულების მეცნიერების მიერ აქამდე აღმოჩენილი, გაშიფრული თუ დადასტურებული დასკვნები, მხოლოდ მოსაზრებები და ვერსიები რომ შევაჯეროთ და მარტივად ვთქვათ, ისე ჩანს, რომ ადამსა და ევამდე არსებობდნენ უფრო ძველი ხალხები, ცის ღმერთის, ანის შვილები – ანუ კოლხები?

რაც შეეხება მითიურ ტიტანებსა და გოლიათებს, ჩავთვალოთ, რომ მართლაც მიწიერი ბუმბერაზები იყვნენ, ადამიანების გვერდზე ჩვეულებრივ

18 gv.

ელისო ვირსალაძე

საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

რაფინირებული, ინტელექტუალური და პოეტური პიანისტი

ცხოვრების გზის არჩევანს ხშირად ოჯახური ტრადიციები განაპირობებს. მას ან ექიმობა უნდა აერჩია ან მუსიკოსობა. ბებიას, ანასტასია აბდუშელიშვილ-ვირსალაძეს, რომელმაც პეტერბურგის კონსერვატორია დაამთავრა, დიდი წვლილი მიუძღვის ქართული საფორტეპიანო სკოლის ჩამოყალიბებაში. წლების განმავლობაში პიანისტობდა, ადრეულ ასაკში დაიწყო პედაგოგობა და მრავალი პიანისტი თუ მუსიკოსი აღუზარდა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას. პაპა, სპირიდონ ვირსალაძე კი ექიმი იყო, საქართველოში პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის დამფუძნებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების აქტიური მონაწილე. მამა — კონსტანტინე ვირსალაძე, წლების განმავლობაში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი იყო...

ანასტასია ვირსალაძე მოსწავლეებს სახლშიც ამეცადინებდა და ამ პროცესის უშუალო შემსწრე და მონაწილე იყვნენ მისი შვილიშვილები — დათო და ელისო. მოზარდობისას დათომ ისე აიყარა ტანი, რომ როიალთან ვერ ეტეოდა და მუსიკიდან კალათბურთში გადაინაცვლა, საბოლოოდ კი ისიც პაპისა და მამის კვალს გაჰყვა — ექიმი-ენდოკრინოლოგის პროფესია აირჩია.

„მუსიკალური მონაცემები ჩემში ბებიამ აღმოაჩინა. მან ივარაუდა, რომ აბსოლუტური სმენა მქონდა. ძალიან მალე დავიწყე დაკვრა — სმენით ვაწყობდი ყველაფერს — მელოდიებს ფილმებიდან, ბებიასთან სამეცადინოდ მოსული მოსწავლეების ნაწარმოებების ნაწყვეტებს. არასოდეს ვფიქრობდი იმაზე, გავხდებოდი თუ არა მოქმედი პიანისტი. უბრალოდ ვუკრავდი, რადგან მუსიკა მიყვარს“.

თვითონვე აღიარებს, მარტივი მოწაფე არ ვიყავი — ვსწავლობდი და არც ვსწავლობდი, სიბეჯითით არ გამოვირჩეოდი, სხვადასხვა ეტიუდის დაკვრით თავს დიდად არ ვიწუხებდიო. ბებია ამეცადინებდა, მაგრამ როიალთან გულმოდგინე მეცადინეობის ჩვევების გამომუშავებას დედის დამსახურებად მიიჩნევს. დედამ, წარმატებულმა მეცნიერ-ბიოლოგმა, როცა ელისოზე ფეხმძიმედ იყო, უარი განაცხადა სადოქტორო დისერტაციაზე — ჩემი სადოქტორ ესააო, და მუცელზე იდებდა ხელს.

ელისო ვირსალაძე — უკვე ხუთ ათეულ წელზე მეტია ამ სახელს იცნობენ და აფასებენ მთელს მსოფლიოში. მისი საურთიერთობო ენა მუსიკაა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულის გარდა შვიდი უცხოური ენა იცის: ინგლისური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, გერმანული, რუსული, პოლონური. ენების ცოდნა პროფესიულ საქმიანობაში ძალიან ეხმარება, რადგან უკვე 50-წელზე მეტია სხვადასხვა ქვეყანაში უწევს მოგზაურობა — კონცერტებს მართავს, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. მისი თითოეული კონცერტი მუსიკალური მოვლენაა, რომელიც უდიდეს ემოციურ გავლენას ახდენს მსმენელზე. XX საუკუნის სახელგანთქმული პიანისტი სვიატოსლავ რიხტერი, რომელსაც არაერთხელ მოუსმენია მისთვის, ამბობდა: **„ელისო ვირსალაძე გამორჩეული ხელოვანია, იგი სერიოზული, ღრმა, გულწრფელი და სადა მუსიკოსია, დიდი მასშტაბის არტისტია, შესაძლოა, ჩვენი დროის ყველაზე ძლიერი პიანისტი ქალია“.**

მისი პირველი წარმატება ჯერ კიდევ თბილისის კონსერვატორიაში სწავლის პერიოდს უკავშირდება (ბებიის — ანასტასია ვირსალაძის კლასში სწავლობდა), როცა 17 წლისამ მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, ორ წელიწადში გახდა კიდევ ერთი საერთაშორისო კონკურსის პრიზიორი, ხოლო 1962 წელს — ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის ლაურეატი. მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა 1966 წელი და ცვიკაუს (გერმანიის) შუმანის სახელობის კონკურსში გამარჯვება.

„დედა ახალგარდაცვლილი იყო, როდესაც ამ კონკურსზე მომიწია გამგზავრება. ეს ჩემთვის ემოციურად უმძიმეს კონკურსად დარჩა. სიამოვნებით ვიტყოდი უარს, მაგრამ არ შეიძლებოდა — პროგრამა შედგენილი იყო. საბჭოთა კავშირიდან მე ვმონაწილეობდი და თანხმობა თუ უარი მარტო ჩემზე არ იყო დამოკიდებული. პირველი ადგილი ავიღე. ბებია ძალიან ბედნიერი იყო“.

ჯანსუღ კახიძესთან

იმავე პერიოდში ჩააბარა მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტურაში, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ XX საუკუნის უდიდესი მუსიკოსები ჰენრიხ ნეიჰაუზი და იაკობ ზაკი.

ქალბატონ ელისოს პატარაობიდან ახსოვს ნეიჰაუზი. ანასტასია ვირსალაძის ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსები. პატარა ელისოს მეხსიერებას განსაკუთრებული ემოციით შემორჩა მათთან ჰენრიხ ნეიჰაუზის სტუმრობა:

„მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ უკვე ვიცოდი, რომ უდიდესი პიანისტი იყო. მე და ჩემი ძმა ფარდის უკან დამალულები დიდხანს ჩუმად ვუთვალთვალებდით მას. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ პირადად მე საკმაოდ დამიახლოვდა, მის მიმართ განსაკუთრებული კრძალვა არასოდეს გამნელებია. მას თითქმის ფანატიკურად უყვარდა ჩვენი ქვეყანა და ქართველები. მეუღლე შვეიცარიელი მევიოლინე ჰყავდა და მასთან ერთად ყოველ ზაფხულს საქართველოში ატარებდა. ერთსა და იმავე ბინას ქირაობდა, ბაკურიანის სახლოვეს, სოფელ ციხისჯვარში ისვენებდა, საკუთარი ინსტრუმენტიც კი ჩამოჰქონდა. ჩვენ აგარაკი წაღვერში გვქონდა და იქ ხშირად გვსტუმრობდა“.

ასპირანტურაში სწავლის დროს ელისო ვირსალაძე თავისი პედაგოგის ასისტენტი გახდა და მალევე დიდი ტრადიციების მქონე მუსიკალური უმაღლესი სასწავლებლის — მოსკოვის კონსერვატორიის პედაგოგი გახდა.

„სტუდენტებთან ურთიერთობის სიყვარული ბებიისგან მემკვიდრეობით მივიღე. ძალიან დავემსგავსე მას — სწორედ ისევე ვუდგები მოწაფეებთან ურთიერთობას. მთელი ბავშვობა ვუსმენდი, როგორ ამეცადინებდა პიანისტებს, როგორ ინდივიდუალურად უდგებოდა თითოეულის შესაძლებლობებს, ურჩევდა რეპერტუარს. ფიზიკურ მონაცემებსაც კი ყურადღებას აქცევდა“.

როცა ბებია გარდაიცვალა, ელისო და დათო მოსკოვში ცხოვრობდნენ. გადაწყდა, რომ თბილისში მარტოდ დარჩენილ მამასთან დათო დაბრუნდებოდა, ელისო კი მოსკოვში დარჩა — პროფესიული თვალსაზრისით ეს აუცილებელი იყო, რადგან სხვაგვარად საგასტროლოდ გასვლას ვერ შეძლებდა — ყველა გზა მოსკოვზე გადიოდაო, ამბობს ქალბატონი ელისო — გარდა კონცერტებისა, პიანისტისთვის აუცილებელია საზღვრები გახსნილი იყოს, სხვადასხვა ქვეყანაში თავის კოლეგებთან ჰქონდეს ურთიერთობა.

პოეტურ, რომანტიკულ, გულწრფელ და უშუალო მუსიკოსს ბევრზე ბევრი კონცერტი ჰქონია მსოფლიოს სახელგანთქმულ საკონცერტო დარბაზებში თანამედროვეობის გამოჩენილ დირიჟორებთან (რიკარდო მუტი, ევგენი სვეტლანოვი, კურტ ზანდერლინგი, ვოლფგანგ სავალიში, გენადი როჟდენსტვენსკი, იური ტემირკანოვი...) და მუსიკოს-შემსრულებლებთან (სვიატოსლავ რიხტერი, ოლეგ კაგანი, ნატალია გუტმანი, ედუარდ ბრუნერი...). მიუხედავად გრანდიოზულ წარმატებებისა, მაინც ვერ შეეჩვია ამას:

„წარმატება მოდის, მიდის, დღეს გაქვს, ხვალ შეიძლება არ გქონდეს, ან ზეგ დაბრუნდეს. წარმატება სასიამოვნოა, მაგრამ რთულია მის სიმაღლეზე დარჩენა. ყველაზე მნიშვნელოვანია ისიც, ხარ თუ არა კმაყოფილი საკუთარი თავით. იყო პიანისტი, მაგრამ ფანატიკურად არ გიყვარდეს მუსიკა, არ შეიძლება, რადგან ეს ნიშნავს, რომ შენ მუსიკაში არ ცხოვრობ.

კონცერტის მერე უძნელდება განტვირთვა, რადგან ემოციებს იოლად თავს ვერ აღწევს, კონცერტის დღეს ღამე ძილსაც ვერ ვახერხებს. ამიტომაც ხუმრობს ქალბატონი ელისო, შეიძლება ითქვას, რომ ნახევარი ცხოვრება არ მიძინიაო.

ელისო ვირსალაძე პირველია საბჭოთა კავშირის პიანისტებს შორის, რომელმაც მოცარტის ყველა საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა.

„თითქმის ყველა კომპოზიტორის ნაწარმოებებს ვუკრავ. ჩაწერილი მაქვს მოცარტისა და ბეთჰოვენის ყველა კონცერტი. ჩემს რეპერტუარშია სკრიაბინის, შუმანის, შოპენის, შუბერტის ნაწარმოებები. სტუდენტებს ვეუბნები ხოლმე, რომ რომანტიკოსების შესრულებას ოქროს შუალედის დაცვა სჭირდება — თუ ემოციებს გასაქანს მისცემ, ოდნავ მდარე სენტიმენტალობა გამოვა, მაგრამ თუ რამეს დააკლებ, მხოლოდ უსიცოცხლო ბგერებად გადაიქცევა“.

ელისო ვირსალაძე წლებია მოსკოვის პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში ასწავლის, არის მიუნჰენის კონსერვატორიის პროფესორი. ხშირად იწვევენ საერთაშორისო კონკურსების ჟიურის წევრად, მასტერკლასების ჩასატარებლად. ქალბატონი ელისო აღიარებს, რომ მაინცდამაინც არ უყვარს ერთჯერადი მასტერკლასები, რადგან, როგორც თავად ამბობს, სარგებელი არ მოაქვს და თავის მოსაზრებას შემდეგი არგუმენტით ამყარებს:

„ელემენტარულ მაგალითს მოვიყვან — რომელიმე სტუდენტთან ერთ ნაწარმოებზე სამუშაოდ შეიძლება მთელი წელიწადი არ მეყოს. ერთ საათში რას მოასწრებ? შემიძლია რაღაც ვურჩიო ან ის შევძლო, რომ მუსიკის შესახებ ჩემთან მოსაუბრეს მუსიკის ახლებური განცდა გავუჩინო... მასტერკლასები, რა თქმა უნდა, მაქვს და ძალიან მიყვარს კიდეც — იტალიაში, რომის მახლობლად, შუა საუკუნეების ციხესიმაგრეში, უკვე ათეულ წელზე მეტია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან სტუდენტები, ძირითადად ერთი და იგივენი. საინტერესოა, თვალი გაადევნო, როგორ ვითარდებიან არა მარტო როგორც შემსრულებლები, არამედ როგორც პედაგოგები“.

მის მოწაფეებს შორის არიან დიდი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები: ბერეზოვსკი, ვოსკრესენსკაია, ბრონევიცკაია, კაცნელსონი, ოსმინინი... ბევრი მათგანისთვის თბილისელ მაყურებელს არაერთხელ მოუსმენია.

ახალმა დროებამ ახალი ტენ-

18 gv.

ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!

16 gv.

ცხოვრობდნენ და სულაც ადამიანებისა და მათი თავდაპირველი წინაპრის შერწყმის შთამომავლები იყვნენ, ვინ იგულისხმება „ღმერთებში“, რომლებსაც ისინი ებრძვიან, ზოგჯერ ამარცხებენ კიდეც და ის „მეხთამტყორცნელი“ ღმერთები მაშინაც ციდან რატომ მოდიან? – თუმცა, ჯერ „დედამიწელებზე“ შევყოვნდეთ.

„ღრუ დედამიწის თეორია“

საბჭოთა „ენკავედესგან“ განსხვავებული, მაგრამ ამოუცნობის ფანატიკური ინტერესი ჰქონდა ჰიტლერსაც, რომელიც ამგვარ საკითხების შესწავლას დაუფარავად აწარმოებდა მისი საყვარელი ორგანიზაცია „ანენერბე-ს“ მეშვეობით. არსებობს ეჭვი, რომ სამამულო ომის დროს კავკასიონის ქედზე ტაქტიკურად ყოვლად გაუმართლებელი სვლა, სპეციალურად გაწვრთნილი დესანტის გადმოსხმა (სვანებმა ამოხოცეს) პირადად ჰიტლერის მიერ მისტიკურის ძიებას უკავშირდებოდა...

ისტორიული ფაქტებია, რომ იგი ისეთი აღტკინებით ყვებოდა რაღაც იდუმალ ქალაქზე, რომელიც მიწისქვეშეთშია ქვეყნის უზენაესი მბრძანებლის გამგებლობის ქვეშ, რომ დუჟმომდგარს გონება ეკარგებოდა. მას იმდენად დადასტურებულად კარნახობდნენ მაგები „რაღაცას“, რომ „ღრუ დედამიწის“ თეორიაც კი შეიქმნა და ჰიტლერის თანამედროვე ასტროლოგები სიკვდილის მუქარით აიძულებდნენ პროფესორებს ამ ახალი „თეორიის“ გაზიარებას. ჰიტლერს იმდენად სჯეროდა მისტიკური ამბების, რომ „ფაუ-2-ის“ წარმოებაც კი შეაჩერა დროებით, რათა „მარადიული ყინულის სამეფოს“ განრისხება არ გამოეწვია.

ჰიტლერი გენერალური კომისრის რეზიდენციად, ისევე როგორც კავკასიის რაიჰსკომისრისა, (ოტო ოლენდორფი) თბილისს ასახელებდა, ბაქო მხოლოდ ნავთობის ვებერთელა რეზერვუარად მოიაზრებოდა, ანუ პასუხგაუცემელი დარჩა საქართველოსადმი ინტერესი.

შემთხვევითი არ არის, რომ ნიურნბერგის პროცესზე ბურუსით იყო მოცული ნაცისტების წარმოშობა. როგორც ამბობენ, საქმე იმაში გახლდათ, რომ თვით პარტია აღმოცენდა ოკულტური საზოგადოების ფესვებიდან და შშ -იც არ ნიშნავდა „თავდაცვით ქვედანაყოფს“ (შცჰუტზშტაფფელ), არამედ ის იყო „შავი მზის“ (შცჰწარზე შონე) სატანისტური საზოგადოება.

ფიურერი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ იარაღის ტარების უფლება მხოლოდ გერმანელს უნდა ჰქონოდა, თუმცა, არნო შიკედანცის (ის იყო დანიშნული ჩვენს „უფროსად“) ანგარიშში გამოკვეთილად ეწერა, რომ სხვა ხალხებისგან განსხვავებით, კავკასიელებისთვის, პირველ ხანებში მაინც, უფლება უნდა მიეცათ ცივი იარაღის ტარებისა, რადგან ეს (ხმალი, ხანჯალი) თავისუფლების სიმბოლოდ მიაჩნიათო; ასევე, ნება უნდა მივცეთ, რომ ეროვნული სამოსიც ჩაიცვან, თავიანთი წეს-ჩვეულებები შეასრულონ, შეინარჩუნონ საკუთარი ენა და ეროვნული სიმღერებიო (ვინაიდან, ქართული ენა კოდირებულია და მასში ჩადებულია საიდუმლოების გასაღები). ამას თავის შუამდგომლობასაც ურთავდა პოლიციისთვის ეროვნული ფორმის შენარჩუნების თაობაზე და უმთავრესი, კონკრეტულად თბილისში ერთი უმაღლესი სასწავლებლის დატოვებაზე. შიკედანცი წერდა, როგორმე უნდა შევაგნებინოთ, რომ მათთან ისე არ მოვიქცევით, როგორც რუსეთსა და უკრაინაშიო. რეალურად რა მოხდებოდა საბჭოთა კავშირს რომ არ გაემარჯვა სამამულო ომში, ვინ იცის, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ამგვარი დამოკიდებულება ფაშისტების მხრიდან, კონკრეტულად, საქართველოს მიმართ?

(გაგრძელება იქნება)

აღდგომის კუნძულის ქანდაკებები



ხათუსას კედელი

რაფინირებული, ინტელექტუალური და პოეტური პიანისტი

17 gv.

დენციები გააჩინა თითქმის ყველა სფეროში. გამონაკლისი, ცხადია, არც მუსიკალური სამყაროა. ელისო ვირსალაძე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მომრავლდნენ ისეთი შემსრულებლები, რომლებიც მსმენელებს აბნევენ, ატყუებენ.

„მათგან ძნელია გამოარჩიო ისეთები, ვინც თავის თავს ხედავს ხელოვნებაში და არა პირიქით. მათ შორის ცოტანი არიან ინდივიდუალისტები. ადრე ყველაფერი სხვანაირად იყო, დროც სხვა იყო და თაობებიც. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თაობა იყო უარესი, უფრო უკეთესი ან უფრო გენიალური. დღესდღეობით, დიდი იმედისმომცემი პიანისტების უმრავლესობას დრო აღარ აქვს – ისინი პუბლიკის მომხმარებლური გემოვნების პროდუქტად იქცნენ. იძულებული არიან, ჩაერთონ საკონცერტო მარათონებში. როცა უკვე სახლმოხვეჭილ მუსიკოსს ვეკითხები, რად გინდა ამდენი კონცერტი-მეთქი, მეუბნება – ერთხელ თუ უარს ვიტყვი, შემდეგ აღარ მიმიწვევენო. ამ „შიშით“ არიან შეპყრობილი. ამიტომაც მუსიკოს-შემსრულებლებს შორის იშვიათად ნახავ პიროვნებებს. პიანისტის გამოჩენა მსოფლიო მასშტაბით და წარმატების მოპოვება ძალიან სწრაფად ხდება, მაგრამ ამ გზაზე ვერც ერთი მათგანი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ვერ ასწრებს გარკვეული ევოლუციის გავლას, წინსვლას“.

„ქება ვაზისა“

ელისო ვირსალაძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თელავის საერთაშორისო ფესტივალს, რომლის იდეა 80-იანი წლების დასაწყისში ფინეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში, კუჰმოს კამერულ ფესტივალზე ყოფნისას გაუჩნდა. თავდაპირველად უბრალოდ ფესტივალის იდეა გაუჩნდა, უნდოდა, მსგავსი რამ საბჭოთა კავშირშიც ყოფილიყო, მაგრამ არა დიდ ქალაქში. მერე კი მიხვდა, რომ ამ იდეას მხოლოდ საქართველოში თუ განახორციელებდა, თანაც – თელავში, რადგან იქ არსებობდა თეატრი, სამუსიკო სასწავლებელი, სასტუმრო... ამ მუსიკალურმა ფორუმმა წარუშლელი კვალი დააჩნია ქართულ მუსიკალურ კულტურას, მას დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. ეს იყო უნიკალური ფესტივალი – მასშტაბურობით, ფორმატით, მონაწილეებით...

„თავიდან მინდოდა, ფესტივალი ნეიჰაუზის სახელობისა ყოფილიყო – საქართველოსადმი მისი დიდი სიყვარულის დასაფასებლად, მაგრამ შემდეგ „ქება ვაზისა“ დავარქვით. არაჩვეულებრივად მახსენდება ის დრო – მუსიკოსები მთელი მსოფლიოდან ჩამოდიოდნენ, გარემო იმპროვიზებული კონცერტების საშუალებას იძლეოდა...“

1992 წელს ელისო ვირსალაძისა და ნატალია გუტმანის კონცერტის დაწყებამდე შუქი გამოირთო. ეგონათ, მალე მოვაო, იცდიდნენ, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდნენ სიბნელეში დაეწყოთ დაკვრა. საქართველოში უმძიმესი პერიოდი დადგა, აქაურთა ცხოვრებაში ხელოვნებისთვის ადგილი აღარ დარჩა და ფესტივალმა არსებობა შეწყვიტა.

„ბოლო ფესტივალის დროს აფხაზეთში ომი იყო და სწორედ თელავში გავიგე, რომ იქ ჩემი მამიდაშვილის შვილი მოკლეს. შეიძლება ითქვას, იმ დროს ცხოვრება არ იყო...“

18-წლიანი პაუზის შემდეგ, 2010 წლის ოქტომბერში ფესტივალი ხელახლა ადგა და მას მერე ყოველწლიურად იმართება. ელისო ვირსალაძის პარტნიორები, მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები კვლავაც სიამოვნებით ჩამოდიან ქალაქში, სადაც საფესტივალო დღეებში საოცარი ატმოსფერო იქმნება.

„ვერ წარმომიდგენია ეს ფესტივალი თელავის გარეშე. რომ ჩავედით, ყველა მეკითხებოდა, რატომ შეწყვიტეთო. გამიკვირდა, როგორ? 1992 წელში ომი იყო, ბოლოს რომ ვუკრავდით, გარეთ ისროდნენ. ასეთ დროს იქ შეუძლებელი იყო გაჩერება... მერე მივხვდი, რომ ეს ფესტივალი ჩემსავით მონატრებიათ, იმასაც მივხვდი, რომ საჭიროა... მუსიკოსებს მოაქვთ ის ენერგეტიკა, მუსიკის ისეთი დიდი სიყვარული, რაც ასე აუცილებელია ფესტივალის არსებობისთვის. ისინი აქაურობას სხვა ხიბლს სძენენ. თითოეული კონცერტი არაჩვეულებრივია, ჩვენ საერთო ენაზე ვსაუბრობთ და ეს გადამდებია ყველასთვის...“

არასოდეს უნანია, რომ მთელი ცხოვრება მუსიკას მიუძღვნა. ამბობს, სხვა არჩევანი არც მქონია, ყველაფერი თავისთავად მოხდაო. ბედნიერია, რომ ასეთ გარემოში დაიბადა, ბედნიერია, რომ ემსახურება ისეთ პროფესიას, რომელსაც მუშაობასაც არ მიიჩნევს – ჩემთვის დაკვრა ფიქრიაო, ამბობს. მიუხედავად ამისა, ერთადერთი ქალიშვილი მაინც ვერ გაიმეტა პიანისტობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ კარგი მონაცემები ჰქონდა...

ქალბატონი ელისო აღიარებს, რომ პატარა ასაკშიც ყველაფერს თვითონ აკეთებდა, დამოუკიდებლობას ესწრაფვოდა. „სწორია თუ არასწორი, თვითონ უნდა გამეკეთებინა, ეს ჩემი ხასიათია“. მისი ნიჭის შემფასებლებიცა და დამფასებლებიც თანხმდებიან, რომ ეს მთლიანობა და დამოუკიდებლობა იგრძნობა პიანისტის ხელწერაში, იმაში, თუ როგორ უდგება თითოეულ ნაწარმოებს. ყველგან თვითმყოფადობას ინარჩუნებს, არ ემორჩილება ტრაფარეტებს, დამკვიდრებულ შტამპებს. სწორედ ამას აფასებენ მუსიკალური ხელოვნების ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები.

ელზა ნაბახტეველი



ვაჟა ხორნაული

ტრაგედიის ექო

პატარა ქვეყნის დიდი დარდი
აღარ გაძინებს
ერთურთის ტანჯულ სახეებზე
ვხედავთ სამძიმრებს.

პატარა ქვეყნის დიდი დარდი
გაძინებს აღარ
ყველგან ტკივილის ნათებაა
დაბლა თუ მაღლა.

აღარ გაძინებს დიდი დარდი
პატარა ქვეყნის
ციდან დაგხედავს წინაპარი
და მშვიდად გეტყვის:

"უფსკრულს ვერ ამჩნევ
ცოტა დარჩა დრო და მანძილი
დღესაც გაზრუებს
მარილი და თაფლი მაცილის.

არ უნდა გჯობდეს
ჩრდილის ჩრდილი
და ლანდის ლანდი
ღმერთს დაუბრუნდი
და გახდები მძლეველი
დარდის."

ფერმკრთალი სივრცის
ჭრილობები
სტკივათ არწივებს,
პატარა ქვეყნის დიდი დარდი
აღარ გაძინებს.

სიყვარულისგან ნაკურთხი

სიცოცხლე გამილამაზა
ცით მოვლენილმა ძალამა-
ლექსმა-ძუძუმტემ ელვისა
ხანჯალა-რვამარცვალამა
სავანემ გულებისამა
ბრძენმა ყვავილის თვალამა
სევდის მამულში ნაზარდმა
სიხარულისა ყანამა
სიყვარულისგან ნაკურთხმა
მდინარემ კოხტატანამა
მოძლვარმა უზერებელმა
უბრალოდ მოუზარამა
სასწაულების მშობელმა
ზესკნელ-ქვესკნელის
მცნობელმა
ნათებით ღმერთისთანამა.

შემოქმედი

ზოგჯერ ქვესკნელთა
კოსმოსიდან
ზოგჯერ ზეციდან
ათოვდა გულის სიმაღლეებს
სულ სხვა ნათელი
მთელი ცხოვრება
უხილავი ცეცხლი მეკიდა
მთელი ცხოვრება
ვმარხულობდი
როგორც ხანძთელი.

ისმოდა ღმერთი
დუმილიდან
სიტყვის ოქროდან
ვერ დამირღვიეს საძირკველი
ეჭვის გველებმა
ტკივილის მწვანე ბაღებიდან
განძი მომქონდა
და ამ განძს ერქვა
მიწისა და
სივრცის მშვენება.

შვიდივე სალოცავის

მზის ამოსვლისა არ იყოს
მზის ჩასვლაც კაი რამეა -
დღე გარდასულა შორსაა
თვალწინ ახალი ღამეა
დაბლა შობაა ნამისა
მაღლა ვარსკვლავთა ჩქამია
გული სხვაგვარად წრიალებს
დასალიერი მკრთალია
მთვარე მოსულა წყაროსთან
ირემი მოუყვანია...

ქარს ბერი ზეხმელისათვის
მოუხვევია მკლავია
სიყვარულისგან ნაკურთხი
გალაღებულან მთანია
ბნელში ღუღუნი ნათლისა
და სითბო ღმერთის კალთისა
არც რასთან შესადარია
შვიდი ცის მეზობელი ხარ
შვიდივე სალოცავია
გაოცდები და შეკრთები
ისეთი სანახავია
სიკვდილ-სიცოცხლის ტაძრები
ერთურთის გვერდით მდგარია.

* * *

მავანმა ღმერთი
შეიყვარა
მავანმა ეშმა
მავანი შურმა გადარია
მავანი ეჭვმა.

მავანს შიშისგან
დასდებია
ფერი ბანანის
და ტკივილებთან
შერკინებით
ხარობს მავანი.

ყოველ წყაროსთან

მთების ნათლული ქარი
ამაღლებული ფიქრი
მელოდიები დარის
ჰორიზონტების იქით.

გაელვებანი ცელის
და ბულულები თივის
ციდან მოსული ფერი
მოკამკამე და თბილი.

ჩრდილში ნათება ბროილს
ყოველ წყაროსთან ღმერთი
შორს სილურჯეში ქორი
დამსგავსებული წერტილს.

დარდი-რამდენიც გინდა
და სიხარული ცოტა
მონყენილობა სიმთა
და მომლოდინე ოდა.

წვიმს
ლოგორც ადრე წვიმდა
თოვს
როგორც ადრე თოვდა.

სიზმარში სიზმრის გარეთაც

ცა უცნაურად აღელდა
ზღვაზე ნისლია მკრთალი
სიზმარშიც სიზმრის გარეთაც
კარგი რამეა ქალი.

გამქრალა ლალი რიოში
ოქრო ღუღუნებს ყანის
აქაც და საიქიოშიც
შაოცრებაა ქალი.

* * *

ცა გავიარე მზესთან ვიყავი
გამომაცილა ღრუბლის
კარვიდან
და მერე უფრო მაღლა ავიდა
და გააბრწყინა წყარო
მზისყანის.

ზვავის ნაწოლზე ვკრიფე
მტევნები
ტყემ მისახსოვრა ქუიდ ბუერის
აღარ მახსოვდა გზა და
ბულული
და არსებობა ავი მდევრების.

ახლაც შენი ვარ მთლიანად

მზემ ისე უცებ იალა
ფერები ააბრიალა
სიხარულს სალამურისას
/სალოცავ-საამურისას/
ბულბული შეეხმიანა
სამკაულების სიცილმა
ჰაერში გაიბრკიალა
კარუსელივით ტრიალებს
კრიალოსანი კრიალა
კამკამებს ტაძრის სარკმელი
კაფიამ დაიწკრიალა.

ყოველთვის შენი ვიყავი
ახლაც შენი ვარ მთლიანად!

ხმებს გადაევლო ძახილი
ხანჯლის პირივით პრიალა
სივრცეში ისე შორს არი
ცრემლივით მოჩანს ფრთოსანი
მიაფრენს ფრთების იარა
ხარობს ხალისის სოსანი
ხასხასა და სხივოსანი
დამჭკნარა ეჭვის ხვიარა
მეფესაც დაავიწყდება
ახლა ტახტი და ტიარა.

სამოთხის სითბო დატოვა
ჩრდილმა რომ გადაიარა.

ყოველთვის შენი ვიყავი
ახლაც შენი ვარ მთლიანად
შენი ხმის სურნელებასთან
თაფლი რაა და ია—რა
მემილიონედ დავცალე
უფალო, შენი ფიალა.



გამოვიდა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ „რიწის“ ახალი ნომერი, რომელშიც იხილავთ ვახტანგ ხარჩილავას, გულო კოგიაშვილის, გურამ პეტრიაშვილის, ჯარჯი ფხოველის, დავით გაბუნიას, როლანდ ნიჟარაძის, თორნიკე გოგნიაშვილის, გიზო თავაძის, ილია ერქვანიას პოეტურ და პროზაულ ნაწამოებებს, სხვა ქართველი მწერლების ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს და ახალ თარგმანებს. აგრეთვე ლევან ანჯაფარიძის, ზაურ კალანდიასა და ლაშა იმედაშვილის კინოსცენარს მხატვრული ფილმისთვის.

ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი

დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001

davexmaroT
jaba boj guas!

საბანკო ანგარიშია
GE22BR0000010381699630
ბანკი „რესპუბლიკა“
მანანა გვასალიას სახელზე.
ჯაბა ბოჯგუას დახმარების
მსურველებმა ბილაინის და
მაგთის აბონენტებმა დარეკეთ
შემდეგ ნომერზე 0901 700 039
ტელ.: 599 40 00 13 მანანა გვასალია

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

–რა წესით ინიშნება გამასწორებელი სამუშაო, როგორ სასჯელი, და როგორია სამართლებრივი შედეგები?

გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდილი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე.

გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით არანაკლებ ხუთისა და არა უმეტეს ოცი პროცენტისა.

თუ მსჯავრდებული ჯიუტად თავს აარიდებს გამასწორებელ სამუშაოს, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე – თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე; გამასწორებელი სამუშაოს სამი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

* * *

– ჩემი მეუღლე პატიმარია. მას მისჯილი აქვს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსურს მასთან განქორწინება. არის თუ არა ეს შესაძლებელი, მისი პატიმრობის გათვალისწინებით და, თუ შესაძლებელია, როგორ მოხდება ეს სამართლებრივად?

- ეს შესაძლებელია. დაგიკონკრეტებთ:

-საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინება ხდება იმ პირთან, რომელიც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

ამავე კოდექსის 1139-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლე, რომელსაც სურს განქორწინება ხსენებული საფუძვლით, ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული , კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან განაჩენის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მეორე მეუღლეს შეფადებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეტანილი განცხადების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აუწყებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მეუღლეს. უწყებაში უნდა განისაზღვროს იმის თაობაზე პასუხის შეტყობინების ვადა, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3თვეს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

დავის არსებობის შემთქვევში განქორწინების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივაა.

* * *

– ვშორდები მეუღლეს. ყველა საბუთი მაქვს მის გვარზე. შეიძლება თუ არა, განქორწინების შემდეგ, მიუხედავად მეუღლის წინააღმდეგობისა, დავიტოვო მისი გვარი?

– შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1133- ე მუხლის მიხედვით, მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს, განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი, ან მისი მოთხოვნით დაუბრუნდება ქორწინებამდელი გვარი.

ასე, რომ, მიუხედავად, თქვენი მეუღლის წინააღმდეგობისა, თქვენ შეგიძლიათ განქორწინების შემდეგაც შეინარჩუნოთ მისი გვარი.

ავეჯის
გადაზიდვა

593 20 46 87